პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგე 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

— დაიხურა ამერიკის შრომის ფედერაციის ყრილობა.
— საბჭოთა კავშირში მოემგზავრება ინგლისის ახალგაზრდათა დელეგაცია.
— საფრანგეთში გრძელდება კომუნისტების დევნა.
— ჩინეთის პოლიციას გადაეცა ფრანგების მიერ დატუსაღებული საბჭოთა 5 მოქალაქე.
— ინდოეთში რკინისგზებზე გამოცხადებულია ლოკაუტი.
— შვეციის კონსერვატორების ორგანო საბჭოთა კავშირის და შვეციის შეთანხმების შესახებ.

კვირა, 16 ოქტომბერი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 235 (1980)

გადაუდებელი ამოცანა

მოსახლეობის მომარაგება როგორც ფაბრიკა-ქარხნების პროდუქციით, ისე სურსათ-სანოვაგით დღეს ჩვენი ერთი უპირველესი ამოცანათაგანია. ამ მხრივ ჯერ-ჯერობით მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად არ შეიძლება ჩაითვალოს. სამრეწველო საქონლის ნაკლებობა საგრძნობია. ზოგიერთი ნაწარმოები სულ არ იშოვება.

ეს აიხსნება არა იმით, რომ მრეწველობის პროდუქცია კლებულობს, პირიქით, —უკანასკნელ თვეებში ის სწრაფად და დიდი რაოდენობით იზრდება. მაგ., აგვისტოში ივნის-ივლისთან შედარებით ფართე მოხმარების საგნების დამზადებამ მოიმატა 28,5 პროც., კერძოთ ბამბეულის მზაქსოვილების გამოშვება გადიდდა 27,5 პროც., ბამბეულის ნართის—35,4 პროც. (შარშანდელ აგვისტოსთან შედარებით—14,1 პროც.), შალეულის ქსოვილების პროდუქცია გაიზარდა აგვისტოში 59,7 პროც. (გასული წლის აგვისტოს წინააღმდეგ—40,2 პროც.). მეტად საგრძნობია სხვა საგნების დამზადების ზრდაც, ისეთი საგნების, რომლებსაც განსაკუთრებით ეტანება ფართე მომხმარებელი.

ამნაირად ფაქტია შემდეგი: მრეწველობის პროდუქციის გაცემის მიუხედავად ჩვენ განვიცდით საქონლის ნაკლებობას და ადგილი აქვს ბაზრის დაუკმაყოფილებლობას. რით აიხსნება ეს მოვლენა? პირველ ყოვლისა იმით, რომ გაიზარდა მოსახლეობის კეთილდღეობა, მისი სყიდვითი უნარი და ეს ზრდა იმდენად დიდია, რომ წინ უსწრებს მრეწველობის პროდუქციის ზრდას. მეორე მიზეზი სეზონური ხასიათისაა: ზამთრის მოლოდინში მოსახლეობა ჩვეულებრივ გაძლიერებულ მოთხოვნებს უყენებს ბაზარს და იძენს სხვა დროზე მეტ საქონელს; ამასთან, გლეხობამ ნაწილობრივ მაინც მოახდინა თავის ნაწარმოების რეალიზაცია და აქედან აღებული ფულით ბაზარზე გამოდის ოჯახისა და მეურნეობისათვის საჭირო სამრეწველო საგნების შესასყიდად.

როგორიც არ უნდა იყოს საქონლის ნაკლებობის მიზეზები, ჩვენ ენერგიული ზომები უნდა მივიღოთ აუცილებელი საქონლით მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად. აქ ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ საჭიროა მრეწველობის მუშაობის უფრო ფართედ გაშლა და რაც შეიძლება მეტი რაოდენობის პროდუქციის გამოშვება. ამ მიმართულებით ყველაფერი შესაძლებელი კეთდება. აუცილებელია საქონლის არსებული მარაგის რაციონალურად განაწილება მომხმარებლებ შორის და მისი თავის დროზე და იაფად მიწოდება მათთვის.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საკითხი სრულებით არ განისაზღვრება მუშების მომარაგებით მარტო საფაბრიკო ნაწარმოებით. გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს საკვები პროდუქტების მიწოდებას მათთვის. ეს პროდუქტები ძვირია, რაც ემუქრება მუშის რეალურ ხელფასს. ძვირია იმიტომ, რომ ამ პროდუქტების ბაზარზე კერძო კაპიტალს ჯერ კიდევ ფეხი მომაგრებული აქვს. ცნობილია, რომ მუშის საგასავლო ბიუჯეტში სურსათ-სანოვაგეს უკავია 60—70 პროც. აქედან კოოპერაცია აკმაყოფილებს მხოლოდ 30—35 პროც. კვების პროდუქტების ბაზარი აუცილებლად უნდა დაიპყროს კოოპერაციამ და აქედან კერძო ვაჭარი განდევნოს.

როგორც სამრეწველო ნაწარმოებით, ისე სურსათ-სანოვაგით მუშების მომარაგების საქმეში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ თვით მუშათა მასებმა, რომელთა კონტროლ ქვეშ უნდა მოვაქციოთ იგი. ამ მხრივ გადადგმულია სერიოზული ნაბიჯი: ვაჭრობის ორგანოებთან იქმნებიან მუშათა კომისიები, რომლებმაც მონაწილეობა უნდა მიიღონ პროფესიულ და კოოპერატიულ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. ამ კომისიებმა ხელი უნდა შეუწყონ მუშათა მომარაგებას იაფი და კარგი ღირსების საქონლით.

უფრო მწვავედ სდგას სამეურნეო პროდუქციით გლეხობის მომარაგების საკითხი. დღეს ვათავსებთ ქვედა-საფეხურის კოოპერაციის მუშაკთა თათბირის ანგარიშს. როგორც ამ ანგარიშიდან სჩანს, მანუფაქტურა ძალიან მცირე რაოდენობით აღწევს სოფლამდე; მაგ., 1926—27 წლის უკანასკნელი მეოთხედის განმავლობაში საქართველოში შემოზიდულ მანუფაქტურის 50 პროცენტზე მეტი თბილისს არ გასცილებია. ეს უეჭველად არა ნორმალური მდგომარეობაა და მას ბოლო უნდა მოეღოს. სოფლის კოოპერაციას შესაძლებლობის ფარგლებში უნდა დაეთმოს საკმაო რაოდენობის საქონელი, რათა მას საშუალება მიეცეს აუცილებელი საგნებით გლეხობა დააკმაყოფილოს.

ჩვენს სოფელს კიდევ სხვა საჭიროება აწუხებს დღეს. საქმე ის არის, რომ ჩვენში ბევრგან კერძოდ დასავლეთ საქართველოში წრეულს ჭირნახული საშუალოზე დაბალი მოვიდა. ამის გამო პურეულის ფასმა ძალზე აიწია. ჩვენი ამოცანაა მოუსავლიან რაიონებს დროზე მივაწოდოთ პურეული. ზოგან, ცხადია, გლეხობას ფული არ აღმოაჩნდება მის შესაძენად. ალაგ-ალაგ ალბად, საჭირო გახდება პურის ნისიად გაცემა და სამისოდ ერთგვარი კრედიტების გახსნა კოოპერაციისათვის. უმთავრესი კი ის არის, რომ გლეხობის სხვადასხვა ნაწარმოებს ხელსაყრელი ბაზარი მოუპოვოთ და ამ გზით მას შევაძლებინოთ პურეულის შესყიდვა.

ყველა ამ ამოცანების გადასაჭრელად საჭიროა დაუყოვნებლივ ზომების მიღება. ამ მიზნით უნდა გაერთიანონ მუშაობა სახელმწიფოებრივ, კოოპერატიულ, პროფესიულ და სხვა სათანადო ორგანიზაციებმა. ასეთი შეთანხმებული და ამასთან გეგმაშეწონილი მუშაობით ამოცანა წარმატებით იქნება გადაჭრილი.

საიუბილეო სესია

დღეს ლენინგრადში გაიხსნება საბჭოთა კავშირის ცაკის საიუბილეო სესია. ლენინის ქალაქში, ჩვენი კავშირის მუშათა უდიდეს ცენტრში, რომლის პროლეტარიატმა პირველად აღმართა აჯანყების დროშა და პირველმა მსოფლიოში დაამხო კაპიტალისტებისა და მემამულეების ბატონობა, ამ ქალაქში საბჭოთა კავშირის ცაკი გაუკეთებს ჯამს ათი წლის განმავლობაში წარმოებული ბრძოლისა და აღმშენებლობის შედეგებს. უდიდეს ქვეყანაში, რომელიც დაუძლურებული იყო ომით, ქვეყანაში, სადაც ჩამორჩენილი იყო ტეხნიკა, სადაც სჭარბობდა გლეხთა წვრილი მეურნეობა, სადაც საფუძვლიანად იყო შერყეული ეკონომიკა, ჩამკვდარი იყო ტრანსპორტი, შეჩერებული იყო ფაბრიკა-ქარხნები, ამ ქვეყანაში რუსეთის პროლეტარიატმა ხელთ იგდო ძალაუფლება, რათა აეშენებია ახალი საზოგადოება და მოესპო მშრომელი ხალხის ექსპლოატაცია. ინგლის-საფრანგეთის ინტერვენციები, თეთრგვარდიელი გენერლები, პარტახტიანი ტიფი, მენშევიკ-ესერთა პროვოკაციები, ეკონომიური ნგრევა, სიმშილი,—ასეთი იყო პირვანდელი ელემენტარული დაბრკოლებანი, რომელნიც უნდა დაგვეძლია პროლეტარული დიქტატურის განსამტკიცებლად. მრავალი ათასეული ვერსის მანძილზე გადაშლილ ფრონტებზე—ციმბირის დიდი გზაზე, დონის და ყუბანის ველებზე, პიტერთან, პოლონეთის საზღვართან, არხანგელსკისთან და ოდესასთან მუშათა კლასმა, მშიერმა და შიშველმა, გლეხობის დახმარებით გაანადგურა თეთრგვარდიელთა არმიები და დაამარცხა ინგლის-საფრანგეთის დესანტები. ლენინის ხელმძღვანელობით, კომპარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის მუშებმა, მიუხედავად საშინელი გაჭირვებისა, სილატაკისა, მიუხედავად საშინელი სამეურნეო ნგრევისა, გაიმარჯვეს პირველ შეიარაღებულ ბრძოლაში მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ათეული მილიონი მშრომელის აურაცხელი მსხვერპლით იქნა მოპოვებული სოციალისტური მშენებლობის ელემენტარული სახელმწიფოებრივი წინასწარი პირობები.

მენშევიკთა ბუზღუნი, მათი რწმენის უქონლობა გამარჯვების შესაძლებლობაში, რომელიც თან სდევდა ჩვენი რევოლუციის პირველ პერიოდს, კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა პარტია, მუშათა კლასი და გლეხობა შეუდგენ მეურნეობის აღდგენას. საჭირო იყო მარტოლე ლენინური რწმენა მასებისადმი, ლენინის რწმენა განთავისუფლებული პროლეტარიატის ძალისა და შემოქმედებითი უნარისადმი, რომ არ შეგვეშინებოდა ჩვენი „ტეხნიკური და ეკონომიური ჩამორჩენილობის“, ქედი არ მოგვეხარა წვრილ-ბურჟუაზიული სტიქიის წინაშე, არ წამოგვეჩოქა მსოფლიოს კაპიტალისტური ბაზრის შემოტევის წინაშე, და წამოვეყენებია ლოზუნგი სოციალიზმის აღმშენებლობისა ჩვენს ქვეყანაში.

ამ ლოზუნგით სწარმობდა დიადი მუშაობა უკანასკნელი წლების განმავლობაში. მუშათა კლასმა ამ ლოზუნგით ძლია ომის შემდგარი ქაოსი და უკვე მიმდინარე წელში აღადგინა მეურნეობა ომამდე არსებულ დონეზე მაღლა.

აღმშენებლობის გზა გაცილებით უფრო გრძელია, გაცილებით უფრო მიხვეულ-მოხვეულია, ვიდრე პირდაპირი სამხედრო ბრძოლის გზა. პროლეტარული დიქტატურის შენარჩუნება და განმტკიცება, სამეურნეო ზრდა და სოციალიზმის შენება ისეთ ქვეყანაში, როგორიც არის ჩვენი ქვეყანა, წარმოუდგენელია რთული კლასობრივი მანევრების გარეშე. ნამდვილი პროლეტარული რევოლუციონერის მამაცობა, გმირობა, სხვათა შორის იმაში მდგომარეობს, რომ იგი პანიკას არ მიეცეს ასეთი მანევრების აუცილებლობის გამო და ქედი არ მოიხაროს იმ ძალების წინაშე, რომელნიც ამ აუცილებლობას იწვევენ.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის განვლილ წლებს თან სდევდა მთელი რიგი ასეთი მანევრებისა, რომელნიც დაკავშირებული იყო კერძო კაპიტალის დაშვებასთან ვაჭრობაში და კულაკის ერთგვარ ზრდასთან სოფლად. მეურნეობის აღდგენა და მისი რეკონსტრუქცია ერთგვარი მსხვერპლის გაღებას მოითხოვდა მუშათა კლასის მხრივაც.

ეს მანევრები პანიკას იწვევენ ჩვენი პარტიის ნაკლებად მტკიცე ფენებში. ისინი ცდილობენ ეს მსხვერპლის გაღების აუცილებლობა გამოიყენონ, გაწიონ მასზე სპეკულიაცია თავის ბრძოლაში პარტიის პოლიტიკური ხაზის წინააღმდეგ. მაგრამ პარტიისათვის უცხოა მენშევიკური პანიკა და იგი სასტიკად გმობს სპეკულიაციას ამ სიძნელეებზე. პარტიამ იცის, რომ გზა, რომლითაც მას მიჰყავს მუშები, არის ერთად ერთი სწორი ლენინური გზა.

ჩვენ მიერ მოხდენილი მანევრების საშუალებით მივაღწიეთ საწარმოო ძალთა განვითარების ისეთ დონეს, პროლეტარული დიქტატურის ისეთ განმტკიცებას, სოფლის ისეთ დამშვიდებას და გლეხობასთან კავშირის იმდენად განმტკიცებას, რომელიც ცაკის დღევანდელ სესიას აძლევს საშუალებას დასვას საკითხი ჩვენი შემდგომი წინსვლის კონკრეტული ზომების შესახებ, საკითხი გლეხობისათვის რეალური დახმარების გაძლიერებისა და სოციალიზმის ეკონომიური შეტევის სოფლის მეურნეობაში. ჩვენ ისეთი პოზიციები დავიპყარით ვაჭრობაში, რომელიც გვაძლევს საშუალებას დავსვათ საკითხი კერძო მეურნეობის წინააღმდეგ შეტევისა და მისი თანდათანობითი განდევნის შესახებ. დაბოლოს, მრეწველობაში ჩვენ მივაღწიეთ ისეთ მდგომარეობას, რომელიც გვაძლევს შესაძლებლობას უკვე ეხლავე შეუდგეთ სამუშაო დღის შემცირებას სამუშაო ხელფასის დაუკლებლად, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა, წარმოების რაციონალიზაციის მიზნით.

წინააღმდეგ ყველა ობიექტიურ სიძნელეთა, წინააღმდეგ ცალკე პირთა და ჯგუფთა ყოველგვარ მერყეობისა, რომელნიც ობიექტიურად გამოხატავენ მსოფლიო კაპიტალიზმის და ჩვენი შინაური წვრილ-ბურჟუაზიული სტიქიის გავლენას, სოციალიზმის აღმშენებლობამ ჩვენს ქვეყანაში განვლილი წლის განმავლობაში უდიდესი ნაბიჯი გადადგა წინ. სოციალიზმის მშენებელი საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი—ეს არის ძირითადი და მსოფლიო რევოლუციის არმიის უმთავრესი რაზმი. მისი მიღწევები, მისი წარმატებანი არის მთელი მსოფლიო პროლეტარიატის მიღწევები და წარმატებანი.

1927 წ. 2 ნოემბერს ლენინი თავის მისალმებაში „პრავდა“-სადმი სწერდა:

„მე ვისურვებ, რომ შემდგომ ხუთ წელში ჩვენ დავიპყრათ, და ამასთანავე მშვიდობიანად, არა ნაკლებ იმისა, რაც აქამდე დავიპყარით შეიარაღებული ხელით“.

ცაკის საიუბილეო სესიას შეუძლია აღნიშნოს, რომ განსვენებული ბელადის ეს სურვილი განხორციელდა. მშრომელთა კაცობრიობის წინაშე სულ უფრო და უფრო ნათლად ბრწყინავს საბჭოთა კავშირის უდიდესი ხუთქიმიანი ვარსკვლავი, სოციალიზმის ამაყი სიმბოლო, რომელიც დაიპყრობს მსოფლიოს მთელ ხუთ ნაწილს.

„პრავდა“, 14 ოქტომბერი.

საკავშირო ცაკის საიუბილეო სესია

სესიის გახსნა.—ამხ. კალინინის სიტყვა.—ცვლილებები სესიის დღის წესრიგში

ლენინგრადის მშრომელთა მისალმება.—ამხ. რიკოვის მოხსენება

საკავშირო ცაკის მანიფესტი საბჭოთა კავშირის ყველა მუშებისადმი, მშრომელთადმი, გლეხებისა და წითელარმიელებისადმი, კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარებისა და დაჩაგრული ქვეყნების ხალხებისადმი.

სესიის საზეიმო გახსნა

ლენინგრადი, 15 ოქტომბერი. 15 ოქტომბერს, 18 საათსა და 50 წუთზე, ლენინგრადში, ურიცკის სასახლეში გაიხსნა საბჭოთა კავშირის მე-4 მოწვევის ცაკის საიუბილეო სესია. ჯერ კიდევ სხდომის გახსნამდე სასახლის დარბაზი გავსებულია ცაკის წევრებით და სტუმრებით—ლენინგრადის, მოსკოვის და სხვა ქალაქების პროლეტარულ ორგანიზაციების წარმომადგენლებით. დარბაზი მორთულია წითელი დროშებით და პლაკატებით. პრეზიდიუმის ტრიბუნის უკან დადგმულია ლენინის დიდი ბიუსტი. მის წინ სდგას საპატიო ყარაული საბჭოთა კავშირის ცაკის დროშით და ყარაული საკავშირო ცაკის საშეფო კრეისერ „ავრორას“ დროშით. დიპლომატიურ ლოჟაში სხედან უცხოეთის სახელმწიფოების კონსულები და მოსკოვიდან ჩამოსული ელჩები. ბევრია უცხოეთის პრესის წარმომადგენლები. მთავრობის ლოჟაში ზიან საბჭოთა კავშირის მთავრობის და საკავშირო რესპუბლიკების მთავრობათა წარმომადგენლები: **ამხ. ლიტვინოვი, განეცკი, კარახანი, კუიბიშევი, სკრიპნიკი, ხაცკევიჩი, ლუნაჩარსკი, უნშლიხტი** და სხვ. პრეზიდიუმის ტრიბუნაზე **ამხ. კალინინის, რიკოვის და პეტროვსკის** გამოჩენას ხვდებიან მქუხარე ოვაციით.



ამხ. კალინინი
საქ. ცაკის თავმჯდომარე

ამხ. კალინინის სიტყვა

სხდომის გახსნის წინ ამხ. კალინინი ამბობს მოკლე სიტყვას, ის აღნიშნავს, რომ სესიის გახსნა ლენინგრადში ოქტომბრის რევოლუციის მეათე წლის თავის წინა დღეებში არ წარმოადგენს უბრალო შემთხვევითი მოვლენას. ლენინგრადი აკვანია საბჭოთა ხელისუფლების და მნიშვნელოვნად არის კომპარტიის აკვანიც. ლენინგრადის პროლეტარიატის რიგებიდან გამოვიდენ მსოფლიო მნიშვნელობის რევოლუციონური მოღვაწენი. უკანასკნელ ათ წელიწადში ლენინგრადის პროლეტარიატის ისტორია აღსავსეა გმირობით. ამიტომ პარტია და მთავრობა ოქტომბრის მეათე წლის თავის წინ უნდა წარსდგენ ლენინგრადის მუშების წინაშე და გადასცენ მათ მთელი ჩვენი ქვეყნის სალამი (ტაში). თავის სიტყვის დასასრულ ამხ. კალინინი ამბობს: „ამჟამად ჩვენი კავშირი განიცდის ძალთა უდიდეს დაჭიმვას სოციალიზმის და ჩვენი ქვეყნის მეურნეობის მშენებლობისათვის. **ჩვენი შინაგანი ძალები და მატერიალური შესაძლებლობანი გვარწმუნებენ იმაში, რომ ჩვენ მშენებლობას არ შეხვდება დაბრკოლებები ქვეყნის შიგნით.** სოციალიზმისა და ჩვენი მეურნეობის მშენებლობისათვის ხელის შეშლა შეუძლია მხოლოდ გარეშე მომენტებს, ლენინგრადის პროლეტარიატი იყო, არის და იქნება საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს სიმაგრის ურთგულესი მცველი“ (მქუხარე ტაში). ამხ. კალინინი გახსნილად აცხადებს საბჭოთა კავშირის მეოთხე მოწვევის ცაკის მეორე სესიას. ორკესტრი ასრულებს ინტერნაციონალს.

ამხ. სკრიპნიკის წინადადება

ეროვნებათა საბჭოს წევრების სახელით სკრიპნიკს შემოაქვს წინადადება, რომ მთელი სესიის განმავლობაში ორივე პალატის სხდომები ხდებოდეს ერთად.

ანალოგიური წინადადება საკავშირო საბჭოს სახელით შეაქვს ამხ. **უგაროვს**. ორივე წინადადება მიღებულ იქნა ერთხმად ეროვნებათა საბჭოს და საკავშირო საბჭოს მიერ ცალ-ცალკე კენჭისყრით.

ცვლილებები დღის წესრიგში

ამხ. ენუქიძე აქვეყნებს საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის წინადადებას დღის წესრიგის შეცვლის შესახებ. სესია ერთხმად ღებულობს შემდეგ ცვლილებებს: მესამე სესიაზე იქნეს გადატანილი განხილვა იმ კანონების, რომლებიც მიღებულ იქნენ მეორე და მესამე სესიებს შუა; საბჭოთა კავშირის სამეურნეო განვითარების შესახებ ორი მოხსენების ნაცვლად გაკეთებული იქნება მხოლოდ ერთი მოხსენება—ამხ. **კუიბიშევის** მიერ; დღის წესრიგში დასმული აგრეთვე ამხ. **რიაზანოვის** მოხსენება მუშათა მოძრაობის შესწავლის შესახებ.

ამხ. კომაროვის მისალმება

დღის წესრიგის მიღების შემდეგ ამხ. კალინინი მისალმებისათვის სიტყვას აძლევს ლენინგრადის მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. **კომაროვს**, რომლის გამოჩენას სესიაზე მქუხარე ტაშით ხვდებიან.

ლენინგრადის საბჭო,—ამბობს ამხ. კომაროვი,—ლენინის ქალაქის მუშების სახელით სალამს უძღვნის საკავშირო ცაკის მეორე სესიას. ლენინგრადის მუშებმა და მუშა-ქალებმა თავისი მონაწილეობით საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზაციაში, თავისი ლტოლვით—აღადგინონ და განამტკიცონ ქვეყნის მეურნეობა, თავისი სურვილით განავითარონ კულტურული მშენებლობა, დაუმტკიცეს მთელს მსოფლიოს, რომ მათ შეუძლიათ სოციალიზმის შენება და ახლა, როცა ქვეყნიერებას ემუქრება ახალი ომის საფრთხე, ლენინგრადისა და მთელი საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი გამოიჩენს კიდევ უფრო მეტ ენერგიას მუშურ-გლეხური ხელისუფლების განმტკიცების და აგრეთვე წითელი არმიისა და ფლოტის გაძლიერების საქმეში. გაუმარჯოს საბჭოთა ქვეყანაში მცხოვრებ ერების კავშირს! გაუმარჯოს მსოფლიო ოქტომბერს!

ამხ. კომაროვის უკანასკნელ სიტყვებს ფარავს მთელი დარბაზის მქუხარე ტაში.

ამხ. ლენინის ხსოვნისათვის

ამხ. კომაროვის სიტყვის შემდეგ ამხ. კალინინი წინადადებას აძლევს სესიას პატივი სცეს ყველა იმათ, ვინც თავისი სიცოცხლე შესწირა რევოლუციის გამარჯვებას და მათ რიცხვში **პატივი სცენ რევოლუციონური მასების უდიდესი ბელადის—ლენინის ხსოვნას. ყველანი ფეხზე დგებიან. ორკესტრი ასრულებს სამგლოვიარო მარშს.**

ამხ. რიკოვის მოხსენება

ამხ. რიკოვის გამოჩენას ტრიბუნაზე დარბაზი ხვდება ხანგრძლივი და მქუხარე ტაშით და ოვაციებით. დიდის გაჭირვებით ახერხებს ამხ. რიკოვი დაიწყოს თავისი მოხსენებისას, რომლის პირველ ნაწილში ის ეხება ოქტომბრის რევოლუციის ისტორიულ და მსოფლიო მნიშვნელობას და საბჭოთა კავშირის პროლეტარიატისა და გლეხობის მიღწევებს.

შემდეგ ამხ. რიკოვი აქვეყნებს პროექტს საკავშირო ცაკის მანიფესტისას „საბჭოთა კავშირის ყველა მუშებისადმი, მშრომელებისადმი, გლეხებისა და წითელი არმიელებისადმი, ყველა ქვეყნების პროლეტარიატისა და მსოფლიოს დაჩაგრულ ხალხებისადმი“.

მანიფესტში აღნიშნულია, რომ ოქტომბრის გადატრიალების ათი წლის თავი მოასწავებს პროლეტარიატის საერთაშორისო რევოლუციონური მოძრაობის უდიდეს მიღწევას. 1917 წ. ოქტომბერში, ათი წლის წინათ,— ნათქვამია მანიფესტში, გაბატონებული კლასების ბატონობა აღგავა პროლეტარების, ჯარისკაცთა და გლეხთა აჯანყების გრიგალმა, რითაც რუსეთის პროლეტარიატმა გაარღვია იმპერიალიზმის ფრონტი. დაჩაგრული კლასების ეს უდიდესი აჯანყება, პროლეტარული რევოლუციის ეს პირველი მტკიცე გამარჯვება, უსათუოდ გადაიქცევა მთავარ მიჯნად, რომლითაც მომავალი თაობები აღნიშნავენ კაცობრიობის უახლესი ისტორიის დასაწყისს, ვინაიდან იმპერიალიზმის მტაცებლებს შორის, მსხვილ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის, იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც სისხლს სწოვენ პროლეტარიატს, აღატაკებენ გლეხობას, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე სცლიან კოლონიალურ ხალხებს. —წარმოიშვა მუშათა სახელმწიფო, თვით დაჩაგრულ კლასის დიქტატურა, პროლეტარულ რევოლუციის დიქტატურა, კომუნიზმის დროშა, ბრძოლის ზარი, რომელიც მოუწოდებს ყველა ქვეყნის პროლეტარებს განთავისუფლებისაკენ, —პროლეტარიატის დიადი სახელმწიფო, რომელსაც მიჰყავს ხალხი სოციალიზმისაკენ. აჯანყების ბელადათ, გამარჯვების ორგანიზატორათ, მშენებლობის ხელმძღვანელათ გამოვიდა მუშათა კლასი— პროლეტარიატი. პროლეტარიატის ოქტომბრის რევოლუციამ გარდაქმნა რუსეთი საერთაშორისო ჟანდარმისა და ჯალათისაგან ყველა ჩაგრულთა მფარველად, საერთაშორისო რევოლუციის მთავარ სიმაგრეთ, მშვიდობიანობის და ექსპლოატატორებზე გამარჯვების მაუწყებლად. ძველი ქვეყნის ყველა ძალები გაერთიანდენ საბჭოთა კავშირის პროლეტარებისა და გლეხების წინააღმდეგ.

მათ მიერ გამოყენებულ იქნა ბრძოლის ყველა საშუალებები; ყველა ლოზუნგები გამოსცადეს მათ: მონარქია და დამფუძნებელი კრება, რესპუბლიკა და „საბჭოები უკომუნისტებოთ“. და ყველა ეს ცდები ძველი წესწყობილების დასაბრუნებლად დამსხვრეულ იქნა პროლეტარების და გლეხების ძალით. სამოქალაქო ომის და სამხედრო კომუნიზმის პერიოდში დაგვანახვა და დაამტკიცა, რომ პროლეტარიატს გლეხობასთან ერთად შეუძლია ძლიერი მტრის დამარცხება, რომ მას ძალუძს თავისი ძალაუფლების განმტკიცება-გამაგრება, რომ მას აქვს უნარი აშენოს თავისი სახელმწიფო და რკინის ხელით დასძლიოს ექსპლოატატორთა წინააღმდეგობა. ამასთანავე, ამავე პერიოდმა დაგვანახვა, რომ გამარჯვება შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ პროლეტარიატის და მისი პარტიის ხელმძღვანელობით. წინათ საჭირო იყო ძველის დანგრევა, ეხლა,—ვახვევინებთ რა უკან მოწინააღმდეგეს, საჭიროა, პირველ რიგში, ახალის აშენება. წინათ საჭირო იყო ბრძოლა იარაღით ხელში, ეხლა აუცილებელია მეურნეობის შენება. ამასთანავე ყველა ეს უნდა შენდებოდეს ისე, რომ დამარცხებულ იქნეს კაპიტალიზმი (ადს).

(ამხ. რიკოვის მოხსენების დასასრული არ არის მიღებული).

საბჭოთა პრესა

წარსულის შედეგები და მომავალი ამოცანები

გასული სამეურნეო წელი ხასიათდება პირველ ყოვლისა რეკონსტრუქციის ელემენტების გაძლიერებით. საგრძნობლად გაფართოვდა ქვეყნის სამრეწველო ბაზა. მსხვილ მრეწველობაში გვაქვს ზრდის ისეთი ტემპი, როგორზე ოცნებაც არ შეუძლიათ კაპიტალისტურ ქვეყნებს. გეგმიანი მეურნეობის უპირატესობანი სავსებით იქნა გამოყენებული პარტიის მიზანშეწონილი ხელმძღვანელობის წყალობით, რამაც შესაძლებელი გახადა მეურნეობის უკრიზისო განვითარება. აქ ხაზგასასმელი ის არის, რომ ჩვენი ზრდა სოციალიზმის მიმართულებით სწარმოებდა. გასული წლის შედეგებმა უმოწყალოდ დაამსხვრიეს ოპოზიციის მოსაზრებები კრიზისების აუცილებლობის და კერძო კაპიტალის როლის გადიდების შესახებ. „პრავდა“, აღნიშნავს რა ამას, სწერს:

„მრეწველობის გაშლა, ქვეყნის ეკონომიური სიმძლავრის ზრდა ხდებოდა სახალხო მეურნეობის სოციალისტური ელემენტების განმტკიცების და ზრდის ნიადაგზე. წარმოებაში და ვაჭრობაში სოციალისტური სექტორი იზრდებოდა გაცილებით უფრო სწრაფად, ვინემ კერძო—სამეურნეო სექტორი, და ამით იქმნებოდა პირობები კერძო სამეურნეო სექტორის მიმართ სწორი კლასობრივი პოლიტიკის უზრუნველსაყოფად. სოფლის მეურნეობისათვის წარმოებათა საშუალების წარმოების ზრდამ, მათი განაწილების პოლიტიკამ, რომელიც უზრუნველყოფს პირობებს ღარიბ და საშუალო მეურნეობის განმტკიცებისათვის, გლეხობის კოოპერატიულ შეკავშირების ზრდამ, მრეწველობის საგასაცემო და საცალო ფასების დაკლებისაკენ მიმართულმა პოლიტიკამ და პურის დამზადების ფასების სიმტკიცემ უკვე განვლილ წელში უზრუნველჰყვეს მუშათა კლასის და გლეხობის კავშირის შემდგომი განმტკიცება უმნიშვნელოვანეს ფრონტზე — ქალაქის და სოფლის ეკონომიურ დაკავშირების ფრონტზე“.

მიღწევები დიდი გვაქვს, მაგრამ დამდგარ სამეურნეო წელში მაინც სერიოზულ დაბრკოლებების გადალახვა მოგვიხდება. საქმეს ართულებს კერძოდ ეხლანდელი საერთაშორისო მდგომარეობა, რომელიც მოითხოვს საგრძნობ თანხების და რეზერვების გამოყოფას თავდაცვის საჭიროებისათვის. აგრეთვე სამი წლის ზედიზედ კარგი მოსავლის შემდეგ მოსალოდნელია მოუსავლიანობა და ამ შემთხვევისათვის აგრეთვე უნდა შემოვინახოთ რეზერვები, როგორ უნდა შევხვდეთ ამ სიძნელეებს. „პრავდა“ უპასუხებს:

„საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი ომის მუქარაზე უპასუხებს სოციალისტურ მშენებლობის ტემპის გაძლიერებით. კაპიტალურ ხარჯების ზრდა, მრეწველობის და სას. მეურნეობის პროდუქციის შეუნელებელი მატება წარმოადგენენ მის ნაცად საშუალებებს იმპერიალისტების ზრახვებთან ბრძოლისათვის. რომ განვახორციელოთ გეგმით გათვალისწინებული სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპი დამდგარი წლის უძნელეს პირობებში, პარტია ახდენს მთელი მუშათა კლასის და მისი პროფესიულ, სამეურნეო და საბჭოთა ორგანიზაციების მობილიზაციას. ძირითად მეთოდს სახალხო მეურნეობის დარგში ამჟამად მდგარ ამოცანების გადასაჭრელად წარმოადგენს **წარმოების რაციონალიზაცია.** ტეხნიკურ ჩამორჩენილობის დაძლევა ახალი ქარხნების აგების და მომქმედ წარმოებათა, რაც შეიძლება რაციონალურ გამოყენების გზით არის მთავარი საშუალება იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ **თვითღირებულების შემდგომი დაკლება,** დაგროვების გადიდება, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს წარმოების უფრო გაფართოვებას და საჭირო რეზერვების შექმნას“.

ამ ამოცანების გარშემო მასების დარაზმვით, გეგმიანი მშენებლობის გაძლიერებით, მომჭირნეობის დაცვით და რაციონალიზაციის გატარებით ჩვენ შევძლებთ გასული წლის მიღწევების გაღრმავებას და ახალი გიგანტიური ნაბიჯის გადადგმას სოციალიზმის განსახორციელებლად.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოლონეთი ამერიკის კაპიტალის ტყვეობაში

ამერიკამ კონტროლი დააწესა პოლონეთის ფინანსებზე

გერმანიის პრესა საბჭოთა საპასუხო ნოტის შესახებ

„ვაჭრობა საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის თანდათან იზრდება“

ამერიკის კონტროლი პოლონეთის ფინანსებზე

ვარშავა, 14 ოქტომბერი. პოლონეთის მთავრობასა და ამერიკის ბანკების კონსორციუმის წარმომადგენლებს შორის პოლონეთისათვის 72 მილ. დოლარის სესხის მიცემის შესახებ დადებულ ხელშეკრულებაზე საბოლოო ხელმოწერასთან ერთად გამოქვეყნდა პრეზიდენტის დეკრეტი, რომელიც შეიცავს ზლოტის სტაბილიზაციის გეგმას. დეკრეტი აწესრიგებს პოლონეთის ბანკის ურთიერთობას ხაზინასთან და განსაზღვრავს ამერიკის მეთვალყურის უფლებებს პოლონეთის ბანკის გამგეობაში და სესხის გამოყენების წესს პოლონეთის მთავრობის საბიუჯეტო პოლიტიკისათვის. **დეკრეტი პოლონეთის ბანკის გამგეობაში წევრის უფლებით შემავალ ამერიკის მეთვალყურეს მეტად ფართო რწმუნებებს ანიჭებს.** სესხი უზრუნველყოფილია საბაჟო შემოსავლით. პოლონეთის მთავრობამ იკისრა აგრეთვე ვალდებულება მისცეს ავტონომია რკინის გზებს, რომლებიც სამეურნეო ანგარიშზე იქნებიან გადაყვანილი.

იმ 60 მილ. დოლარიდან, რომელსაც პოლონეთის ბანკი მიიღებს სესხის ანგარიშში, სამეურნეო საჭიროებას 15 მილ. მოხმარდება. დანარჩენი თანხა გადაეცემა სასოფლო-სამეურნეო ბანკს მემამულეებისათვის კრედიტების მისაწოდებლად.

საფინანსო მეთვალყურედ და პოლონეთის ბანკის გამგეობის წევრად დანიშნულია ჩრ. ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრის ამხანაგი ჩარლზ დიუი.

ურთიერთობა საფრანგეთთან

წვრილი მესაკუთრეები ნულანსის წინააღმდეგ

პარიზი, 14 ოქტომბერი. რუსეთის სესხის ობლიგაციების წვრილ მეპატრონეთა ინტერესების დამცველმა დროებითმა კომიტეტმა, რომელმაც ამას წინედ დე-მონზის მიმართა პროტესტით საფრანგეთ-საბჭოთა შეთანხმების ჩაშლის პოლიტიკის წინააღმდეგ, **აირჩია დროებითი აღმასრულებელი კომისია შარპანტიეს მეთაურობით. ერთ-ერთზომად წვრილ მეპატრონეთა ინტერესების უზრუნველყოფისათვის შარპანტიემ დაასახელა რეფერენდუმის მოწყობა წვრილ მესაკუთრეთა შორის და მათი საერთო კრების მოწვევა.** (ადს)

გერმანიის პრესა საბჭოთა ნოტის შესახებ

ბერლინი, 14 ოქტომბერი. გერმანიული გაზეთების უმრავლესობამ გამოაქვეყნა ჩიჩერინის საპასუხო ნოტა ერბეტისადმი; კომენტარიებს მხოლოდ ზოგიერთი გაზეთები უკეთებენ. გაზეთები აღნიშნავენ, რომ საფრანგეთის პრესა დუმილით შეხვდა ნოტის მკაცრ ტონს. **რაკოვსკის გარშემო შექმნილ ინციდენტის დამთავრებას გაზეთები აფასებენ, როგორც საკითხის კომპრომისულ გადაწყვეტილებას, რომელიც სრულიად არ შეეფერება საფრანგეთის რეაქციონური პრესის ზრახვებს.**

„ბერზენ ცაიტუნგი“ სწერს ჩიჩერინის გამარჯვების შესახებ. „ჩიჩერინმა,—აცხადებს გაზეთი,—არ დაუშვა, რომ რაკოვსკის პიროვნების საკითხის გამო გადაეხვია მისი პოლიტიკის ძირითადი ხაზიდან, რომლის მიზანიც იყო შეთანხმების მიღწევა საფრანგეთთან. **ჩიჩერინის გონიერი პოლიტიკა ძალიან აბრაზებს საფრანგეთის მემარჯვენე პარტიებს.** ერთი კვირის შემდეგ შესწყდება ლაპარაკი რაკოვსკიზე და საფრანგეთი კვლავ განაგრძობს მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირთან, ან შეეცდება გამოძებნოს საბაბი ახალი კონფლიქტისათვის, ეს კი ადვილი არ იქნება. **ლონდონშიაც უკმაყოფილონი არიან და აღნიშნავენ, რომ საუკეთესო საშუალება საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტისათვის ხელიდან იქნა გაშვებული.**

საბჭოთა კავშირი და ამერიკა

ნიუ-იორკი, 14 ოქტომბერი. „ჯორნალ ოფ კომერს“ ათავსებს მოწინავე წერილს, რომელშიაც აღნიშნავს, რომ აბსურდულია ახლანდელი მდგომარეობა, როდესაც ამერიკის წრეები საბჭოთა ოპერაციების ფინანსებს აწვდიან არაპირდაპირი გზით, არამედ გერმანიის საშუალებით. გაზეთი მოუწოდებს, რომ შექმნილ იქნას „რაციონალური საქმიანი საფუძველი“ ამერიკა - საბჭოთა კავშირის ურთიერთობისათვის. ეს გაზეთის სიტყვით, არ ნიშნავს იმას, რომ ჩრდ.-ამ. შეერთ. შტატებმა უნდა „მოიწონონ საბჭოთა სისტემა“, მაგრამ მოითხოვს იმის ცნობას, რომ **ვაჭრობა ჩრდ.-ამ. შეერთ. შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებობს და იზრდება.** (ადს)

ლატვიასთან შეთანხმების რატიფიკაციის წინ

სეიმის კომისია მხარს უჭერს რატიფიკაციას

რიგა, 14 ოქტომბერი. **ლატვიის სეიმის გარეშე საქმეთა კომისიამ მხარი დაუჭირა ლატვია-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების რატიფიკაციას.** ამგვარად ხელშეკრულების განხილვა სეიმის კომისიებში დამთავრდა და ხელშეკრულებას ეხლა განიხილავს სეიმის პლენუმი. (ადს)

რეაქციონური მინისტრის გადადგომა

რიგა, 14 ოქტომბერი. ლატვიის იუსტიციის მინისტრმა ბიტემ შეიტანა განცხადება გადადგომის შესახებ.

პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ბიტეს გადადგომის შესახებ ლატვიის პრემიერმა **სკუენეკმა** განაცხადა: „ბიტეს გადადგომის ნამდვილი მიზეზი არის დემოკრატიული ცენტრის გადაწყვეტილება, (რომლის წევრიც არის ბიტე), რომ ხმა მისცეს ლატვია-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების რატიფიკაციის წინააღმდეგ. **დემოკრატიული ცენტრის გასვლა მთავრობის კოალიციიდან მთავრობას არ ართმევს უმრავლესობას სეიმში.** (ადს)

ჟურნალისტები ამხ. ბოგომოლოვთან

ვარშავა, 14 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში მიღებულ იქნენ ვარშავის და პროვინციალური გაზეთების წარმომადგენლები და აგრეთვე უცხოეთის ჟურნალისტები. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ბოგომოლოვმა წარმოსთქვა სიტყვა პოლონეთ-საბჭოთა პოლიტიკურ და სამეურნეო დაახლოების პერსპექტივების შესახებ. (ადს)

ამხ. ბოგომოლოვი

ალბანეთის ელჩის მოკვლა

პრაღა, 14 ოქტომბერი. ჩეხო-სლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ ამას წინედ პრაღაში დანიშნული ალბანეთის ელჩს ცენაბეგს, რომელიც ამავე დროს იყო ალბანეთის ელჩი ბელგრადში, თავს დაესხა ვიღაც ალკივიადი ბები, წარმოშობით ალბანელი. თავდასხმა მოხდა ერთ კაფეში, ქალაქის ცენტრში, სადაც თავდამსხმელმა ცენაბეგს რევოლვერი ესროლა ახლო მანძილიდან. ცენაბეგი გარდაიცვალა. თავდამსხმელი დააპატიმრეს. **იგი აცხადებს, რომ ცენაბეგი მოჰკლა იმიტომ, რომ ცენაბეგს უნდოდა ალბანეთის გადაცემა სამხრეთ-სლავიისათვის.** (ადს)

ახალი სასკოლო კანონი

გერმანიაში

ბერლინი, 14 ოქტომბერი. ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ გერმანიის მთავრობა ახალ სასკოლო კანონის პროექტს რეიხსტაგში შეიტანს პირვანდელი რედაქციით.

კანონპროექტი ითვალისწინებს სკოლების სამ ძირითად ტიპს: პროფესიონალურს, სახალხოს და საეროს. პირველი ტიპის სკოლებში მიღებულ იქნებიან ერთგვარი სარწმუნოების მოსწავლენი, საღვთო-სჯულის სწავლება სავალდებულოა. სახალხო სკოლებში მიიღებიან სხვადასხვა სარწმუნოების მოსწავლენი, საღვთო-სჯულის სწავლება აქაც სავალდებულოა, საერო სკოლებში მიიღებიან იმ პირთა შვილები, რომელთაც არავითარი რელიგია არ სწამთ.

სასკოლო ინსპექცია, კანონპროექტის მიხედვით სამღვდელოების გავლენის ქვეშ ექცევა.

ლოკაუტი ინდოეთში

ლონდონი, 14 ოქტომბერი. მუშათა უმრავლესობის მიერ ბენგალია-ნაგპურის რკინის გზის სახელოსნოებში გამოცხადებულ იტალიანურ გაფიცვის გამო, სახელოსნოები კვლავ დაიხურა. ადმინისტრაციამ სახელოსნოების 12.000 მუშას ლოკაუტი გამოუცხადა. (ადს).

ენ-სი-შანის დამარცხება

ენ-სი-შანი ურიგდება პეკინს?

პეკინი, 14 ოქტომბერი. იაპონიის „ნიპპონ-დემპოს“ სააგენტო აღნიშნავს, რომ პეკინის პოლიტიკურ წრეებში დადის ხმები პეკინისა და ენ-სი-შანის შერიგების შესახებ უკანასკნელის კაპიტულიაციის შემთხვევაში. ანგოციზიუნის შტაბის უფროსი გენერალი **იან-იუ-ტინი** არ უარჰყოფს ამ შესაძლებლობას და აცხადებს, რომ **მუკდენს არა აქვს განზრახვა განაგრძოს შანსის ჯარების დევნა, თუ ენ-სი-შანი მიიღებს მუკდენის საზავო პირობებს.** (ადს)

შანსის ძალები დამარცხდენ

ლონდონი, რეიტერის სააგენტო იუწყება:

„ლონდონში მიღებული ოფიციალური ცნობებით, მუკდენელთა ძალებმა აიღეს ხუაილუ (ჩრდილოეთით პეკინიდან). იუწყებიან აგრეთვე, რომ შანსის ჯარებმა კალგანი დასტოვეს.

ეს ცნობები მოწმობენ, რომ შანსის ჯარებმა დიდი დამარცხება განიცადეს. (ადს)

ჩიხში

შანხაი, 14 ოქტომბერი. ინგლის-ამერიკის თამბაქოს ფაბრიკაში გაფიცვა გრძელდება. **გაფიცვაში 8.000 მუშა იღებს მონაწილეობას.** მოლაპარაკება მუშათა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შორის ჩიხში მოემწყვდა იმის გამო, რომ ადმინისტრაცია არ სცნობს პროფკავშირის უფლებას მუშების წარმომადგენლობაზე. **ფაბრიკის შენობა დაკავებულია ინგლისის ჯარისკაცების მიერ.** ინგლისური გაზეთები გაძლიერებულ კამპანიას აწარმოებენ გაფიცულთა წინააღმდეგ და აცხადებენ, რომ გაფიცვას მხარს უჭერენ კომუნისტები. (ადს).

არავითარი ბრალდება

შანხაი, 14 ოქტომბერი. საფრანგეთის კონცესიის პოლიციამ ჩინურ სამხედრო ხელისუფლებას გადასცა 12 ოქტომბერს ინგლისის გემზე დაპატიმრებული 5 საბჭოთა მოქალაქე. დაპატიმრებულებისათვის დღემდე არავითარი ბრალდება არ წაუყენებიათ. (ადს).

ჰამბურგის კომუნისტების მოთხოვნილება

ბერლინი, 14 ოქტომბერი. გერმანიის კომპარტიის ჰამბურგის საოლქო კომიტეტის წერილში წამოყენებულმა მინიმალურმა მოთხოვნილებებმა, რომელთა შესრულებაც მოსთხოვა კომპარტიამ ჰამბურგის სოციალ-დემოკრატიული მთავრობის მხარის დაჭერისათვის, არევ-დარევა გამოიწვიეს სოციალ-დემოკრატებში. სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ჰამბურგის ორგანიზაციისაგან ოფიციალური პასუხი ჯერ-ჯერობით არაა მიღებული. სოციალ-დემოკრატიული „ჰამბურგერ ეხო“ კომუნისტური პარტიისაგან მოითხოვს მთელი პოლიტიკის ძირიანად შეცვლას და განცხადებას, რომ ის მზადაა იცნოს გერმანიაში არსებული სახელმწიფოებრივი წყობილება.

„ფორვერტსი“ იუწყება, რომ კომუნისტური პარტიის ჰამბურგის კომიტეტის მიერ წამოყენებულ მინიმალურ მოთხოვნილებებს მეტად მკაცრი კრიტიკით შეხვდენ ჰამბურგის სოციალ-დემოკრატები. (ადს).

შვეციასთან შეთანხმების შემდეგ

შვეციის კონსერვატორების ორგანოს წერილი

სტოკჰოლმი, 14 ოქტომბერი. უკუთებს რა კომენტარიებს შვეცია-საბჭოთა შეთანხმებას სავაჭრო წარმომადგენლობის შესახებ, კონსერვატიული „ნიუა დაგლიგდ ალლეჰანდა“ სწერს:

„ჩვენ უყოყმანოთ ვაცხადებთ, რომ ეხლანდელ პოლიტიკურ პირობებში **შვეციის მხრით ბუნებრივი და სწორი იქნებოდა განცხადება, რომ ის არაა დაინტერესებული საბჭოთა კავშირის სრულ იზოლიაციაში**“.

გაზეთი გადაჭრით წინააღმდეგია საბჭოთა კავშირის შინაურ ცხოვრებაში ყოველგვარი ჩარევისა და სწერს, რომ შვეცია მიილტვის იქონიოს მშვიდობიანი ურთიერთობა საბჭოთა კავშირის ხალხებთან“ (ადს).

ამერიკის შრომის ფედერაციის ყრილობა

ნიუ-იორკი, 14 ოქტომბერი. დასრულდა ამერიკის შრომის ფედერაციის ყრილობა ლოს-ანჟელოსში. გრინი ხელახლა აირჩიეს ფედერაციის თავმჯდომარედ. ხელახლა აირჩიეს აგრეთვე სხვა თანამდებობის პირებიც. **ფედერაციის ახლანდელი ყრილობა ატარებდა განსაკუთრებულ რეაქციონურ ხასიათს. ორატორები თავის სიტყვებში ხაზს უსვამდენ, რომ შრომისა და კაპიტალის ინტერესები ერთი და იგივეა. მემარცხენე დელეგატებს რიცხავდენ ყრილობიდან. ზოგიერთი მათგანი ფედერაციის ხელმძღვანელ წრეების დახმარებით დააპატიმრა ლოს-ანჟელოსის პოლიციამ. ლოს-ანჟელოსის ხელისუფლების რეაქციონური წარმომადგენლები და მრეწველთა დელეგატები ყრილობაზე სიტყვებით გამოდიოდენ.** (ადს).

კომუნისტების დევნა

პარიზი, 14 ოქტომბერი. საფრანგეთის კომკავშირის ორგანოს „ავანგარდი“-ს რედაქტორს ფურკარდს და „ლიბერტე“-ს რედაქტორს სელტონს წარუდგინეს ბრალდება, რომ მათ სამხედრო პირებს მოუწოდეს არ დამორჩილებოდენ ხელისუფლებას. ბრალდებას ასაბუთებენ „ავანგარდ“-ში და „ლიბერტეერ“-ში გამოქვეყნებული წერილებით. საფრანგეთის კომპარტიის ორგანო „ლიუმანიტეს“ რედაქტორი გეი გამომძიებელმა დაიბარა ჩვენების გამოსართმევად იმ 25 ახალი ბრალდების გამო, რომელიც მას წარუდგინეს ანარქისტული პროპაგანდის შესახებ. გეისადმი ბრალდების წარდგენა გამოწვეულია „ლიუმანიტე“-ში გამოქვეყნებული წერილით, რომელიც შეეხებოდა რეზერვისტების განმეორებით შეკრებას (ადს).

საკავშ. კომპარტიის ცეკას დადგენილება

პარტიის ზრდის მოწესრიგების შესახებ

აღწერის შედეგებთან დაკავშირებით

მოსკოვი, 15 ოქტომბერი. პარტიის ზრდის მოწესრიგების შემოწმებამ პარტიულ აღწერის წინასწარ შედეგებთან დაკავშირებით,—ნათქვამია დადგენილებაში,—გამოარკვია პარტიის შემდგომი ზრდა მე-14 პარტყრილობის შემდეგ და უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მიღებულთა ძირითადი მასის აქტიურად ჩაბმა პარტიის რიგებში (მიღებულია 800 ათასზე მეტი, მათ შორის ნახევარ მილიონზე მეტი მუშები). პარტიამ შესძლო გადაეჭრა თავის რიგებში მიღებულ პროლეტარების უდიდეს ფენის აღზრდის ამოცანა. პარტიის სწრაფი ზრდის პროცესს აუცილებლად თან სდევდა ახლად შემოსულთა მცირედი ნაწილის გასვლაც. აღწერის დროს პარტიიდან გასულ მუშების დიდი უმრავლესობა შესდგება კანდიდატებისა და პარტიის ახალგაზრდა წევრებისაგან სტაჟით 1924 წლიდან და შემდეგ, ე. ი. იმათთაგან, რომლებიც შევიდნენ პარტიაში მასიურ მიღების დროს იმ გაძლიერებული ყურადღების წყალობით, რომელსაც პარტიის ცეკა და ადგილობრივი ორგანოები იჩენენ პარტიის ზრდის მოწესრიგებისადმი, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ახლად მიღებულთა შემადგენლობაში სისტემატიურად მატულობს დაზგის მუშების რიცხვი, რომელიც 1925 წელში შეადგენდა 42 პროცენტს, 1927 წ. კი 56 პროც. ამავე დროს შესაფერად მცირდება მოსამსახურეთა ჯგუფი, ზრდის ეს ტემპი უეჭველად არასაკმაოა, ვინაიდან მიღებულთა ნაწილის აუცილებლად გასვლისა, პარტიულ და საბჭოთა მუშაობაზე დაწინაურებისა, უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისა და სხვ. მიზეზების გამო, პარტიის ზრდა მუშათა რიცხვის ხარჯზე არა თუ არ ფარავს დანაკლისს, არამედ ადგილი აქვს პარტიის შემადგენლობაში საწარმოო მუშების რაოდენობის რამოდენიმედ შემცირებას. ხელმძღვანელობს რა პარტიის მერვე და მეთოთხმეტე პარტიულ ყრილობების დადგენილებებით, რომ უნდა გაძლიერდეს პარტიაში საწარმოო მუშების მიღება და მხედველობაში იღებს რა აგრეთვე მუშათა კლასის აქტივობის ზრდას, ცეკა მიაქცევს ყველა პარტიულ ორგანიზაციების ყურადღებას იმაზე, რომ საჭიროა გაძლიერდეს მუშაობა პარტიაში დაზგის მუშების მისაღებად იმ ანგარიშით, რომ ორი წლის განმავლობაში საწარმოო მუშებმა შეადგინონ პარტიის საერთო შემადგენლობის ნახევარი მაინც. გამოდის რა ზემოხსენებულ მოსაზრებებიდან ცეკა იძლევა წინადადებას: პარტიაში მუშების მიღების დროს, საჭიროა მთავარი ყურადღება მიექცეს პარტიაში აქტივისტ მუშების მიღებას. ვინაიდან მუშათა ახალგაზრდობის აქტივის უმრავლესობა თავის პოლიტიკურ ზრდასთან ერთად ჩაბმულ უნდა იქნეს პარტიის რიგებში, წინადადება მიეცეს პარტიულ ორგანიზაციებს გააძლიერონ მუშაობა კომკავშირის ორგანიზაციისათვის დახმარების აღმოსაჩენად ახალგაზრდობის პარტიულად აღზრდის მიზნით.

წინადადება მიეცეს პარტიულ ორგანიზაციებს ყურადღება მიაქციონ მოჯამაგირეთა და ღატაკთა აქტივის მომზადებას და პარტიაში ჩაბმას.

სასტიკად გატარდეს ის შეზღუდვა, რომელიც მე-13 ყრილობამ დააწესა მოსამსახურეთა მისაღებად პარტიაში. ყოველ ახალ წევრის მიღებამდე უნდა მოხდეს შემოწმება მის აქტივობისა საზოგადოებრივ მუშაობაში, მუშებს შორის; უნდა მოხდეს იმის შემოწმება, თუ რამდენად არის ის მომზადებული და რამდენად შესწევს უნარი ნამდვილი და არსებითი სარგებლობა მოუტანოს პარტიას და პროლეტარიატის დიქტატურას" (ადს).

ღამის ცნობები

კებლეშის გაცემის გარშემო

პრაღა, 10 ოქტომბერი. კებლეშის გამცემი გაემგზავრა ბუდაპეშტში იმ მასალებთან გასაცნობათ, რომლებიც შეეხება კებლეშისადმი წარდგენილ ბრალდებას. ამ ბრალდების თანახმად რუმინეთის მთავრობამ მოითხოვა კებლეშის გაცემა (ადს).

დემოკრატიული ცენტრი რატიფიკაციის წინაალმდეგ

რიგა, 14 ოქტომბერი. „სოციალ-დემოკრატს" ადასტურებს ცნობას იმის შესახებ, რომ დემოკრატიული ცენტრის ცეკამ გადასწყვიტა ხმა მისცეს ლატვია-საბჭოთა ხელშეკრულების რატიფიკაციის წინაალმდეგ და გავიდეს კოალიციიდან იმ შემთხვევაში, თუ სეიმი დაამტკიცებს ხელშეკრულებას; გაზეთი სწერს, რომ ამ გადაწყვეტილებით უკმაყოფილოა პარტიის წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი, და ეს უმრავლესობა შეეცდება გააუქმოს პარტიის გადაწყვეტილება

მეწყერი ყირიმში

სიმფეროპოლი, 15 ოქტომბერი. ყირიმის ცაკის პრეზიდიუმმა მოისმინა მოხსენება შექცაკის პრეზიდიუმმა მოისმინა მოხსენება მიწის ძვრასთან დაკავშირებით შექმნილ მდგომარეობის შესახებ. მეწყერების სივრცე ფართოვდება. სევასტოპოლსა და ალუპკას შორის არსებობს 76 დიდი და ამდენივე მცირე მეწყერი. ფოროსსა და იალტას შუა მეწყერმა დაანგრია 56 შენობა და დააზიანა 116. მეწყერთან საბრძოლველად განზრახული იყო 16 მილ. მანეთის გადადება, მაგრამ მიწისძვრასთან დაკავშირებით საჭირო იქნება არა ნაკლებ 2,4 მილ. მანეთისა.

მეცნიერების [illegible]

მოსკოვი, 15 ოქტომბერი. რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახკომსაბჭომ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეების სახელწოდება მიანიჭა ქირურგ-კლინიცისტს ფედოროვს, ქირურგ ორტოპეტს ტურნერს და ჰიგიენის პროფესორს ხლოპინს, (უკანასკნელს დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე ქიმიური თავდაცვის საქმეში).

—:—

ა. ბარბიუსი ბათომში

ბათომი, 15 ოქტომბერი. 15 ოქტომბერს ბათომში გოდერძის უღელტეხილით ახალციხიდან ავტომობილით ჩამოვიდნენ ამხ. ჰანრი ბარბიუსი და ს. თოდრია. ქედაში მათ შეხვდნენ სახ. კომ. საბჭოს წარმომადგენლები.

ხვალ ბარბიუსი მიემგზავრება ჩაქვში, შემდეგ კი ოზურგეთში. (ადს)

ინგლისის ახალგაზრდობის დელეგაცია

ლონდონი, 14 ოქტომბერი. დიდის წარმატებით მიმდინარეობს კამპანია ინგლისის ახალგაზრდობის დელეგაციის გაგზავნისათვის საბჭოთა კავშირში—ოქტომბრის ზეიმში მონაწილეობის მისაღებად. კომკავშირის გარდა, კამპანიაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ დამოუკიდებელ მუშათა პარტიის „ქაბუკთა გილდიის" შოტლანდიის, ლანკაშირისა და ლონდონის საოლქო საბჭოები. ახალგაზრდობის დელეგაცია საბჭოთა კავშირში გაემგზავრება 25 ოქტომბრისათვის. (ადს).

მდგომარეობა ნიკარაგუაში

ნიუ-იორკი, 14 ოქტომბერი. საზღვაო სამინისტრო იუწყება, რომ ამერიკელმა მეზღვაურებმა ნიკარაგუაში მოჰკლეს 8 აჯანყებული. უკვალოდ დაიკარგა ორი ამერიკელი ავიატორი, რომლებიც როგორც ფიქრობენ, ტყვედ უნდა ჰყავდეს წაყვანილი ლიბერალებს. ჩრდ.-ამ. შეერთ. შტატების ხელშეწყობით დაიწყო მზადება საპრეზიდენტო არჩევნებისათვის. (ადს).

კაპაბლანკა—ალიოხინი

ბუენოს—აირესი, 14 ოქტომბერი. ალიოხინ-კაპაბლანკას მატჩის მე-14 პარტია მე-25 სვლის შემდეგ უშედეგოდ დამთავრდა. (ადს)

აბრამოვიჩის გასტროლი

ჩემბერლენის შიკრიკი

რიგა, 14 ოქტომბერი. რიგაში ჩამოვიდა რუსი მენშევიკი აბრამოვიჩი (ადს).

უცხოეთში

დაუესის გეგმის სამი წლის თავი

სექტემბერში შესრულდა სამი წელი მას შემდეგ, რაც გერმანიას მიაღებინეს დაუესის გეგმა. ამ გეგმის არსებობის სამი წლის განმავლობაში გერმანიამ მოკავშირეებს გადაუხადა (სარეპარაციო გადასახადების ანგარიშში) 2.920 მილიონი ოქროს მარკა. ამას გარდა გერმანიის მევალეებმა მიიღეს კიდევ 800 მილიონი ოქროს მარკა გერმანიის ე. წ. „სარეპარაციო" სესხიდან, რომლის გადახდა და პროც. შეტანილია გერმანიის გადასახადების საერთო გეგმაში.

წლების მიხედვით გერმანიის მიერ გადახდილი თანხები ასე ნაწილდება:

1924—25 წ.	200	მილ. ოქროს მარკა.
1925—26 „	1.220	„ „
1926—27 „	1.500	„ „

ეს თანხები შესდგა შემდეგი წყაროებიდან (მილიონ ოქროს მარკებში).

	1 წელი.	მეორე წ.	მე-3 წ.
გერ. რკ. გზ. ექსპლოატაცია	200	595	550
სახელმწიფო ბიუჯეტიდან	—	500	700
სამრეწველო ობლიგაციები	—	125	250

შემდეგ წლებში, დაწყებული მიმდინარე (1927—28) წლიდან, რკინის გზების წილი სარეპარაციო გადასახადებში ყოველწლიურად უნდა შეადგენდეს 660 მილიონ ოქროს მარკას, მრეწველობის—300 მილიონ ოქროს მარკას, სახელმწიფო ბიუჯეტის კი უნდა გაიზარდოს 790 მილიონ ოქროს მარკამდე, შემდეგ წლებში კი—1.540 მილიონ ოქროს მარკამდე. ამრიგად მხოლოდ 1928—29 წლიდან დაიწყება „ნორმალური" განხორციელება დაუესის გეგმისა, რომელიც მოწოდებულია რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში გამოჰქაჩოს გერმანიის მეურნეობიდან ასეული მილიარდი მარკა.

მაგრამ მოყვანილი ციფრები არ გამოხატავენ იმ მოხერხებული მექანიკის ბუნებას, რომელსაც დაუესის გეგმა ეწოდება. ვალის უბრალო გადაგზავნა გერმანიის კრედიტორებისათვის გამოიწვევდა კრახს გერმანიის ვალიუტისა და სახელმწიფო ბიუჯეტისას და ამრიგად მოჰკლავდა იმ ქათამს, რომელიც მოკავშირეებისათვის ოქროს კვერცხს სდებს. ამის თავიდან ასაცილებლად ვალის უმთავრეს ნაწილს გერმანია იხდის რეალურ ფასეულებათა, ე. ი. საქონლის ან უცხოეთში შეძენილ ვალიუტის სახით, გერმანიას მიერ მიწოდებულ საქონლის ან გერმანიის ექსპორტიორების კუთვნილ უცხოეთის ვალიუტის ღირებულებას იხდიან სარეპარაციო ფონდის ხარჯზე გერმანული ვალიუტით, რომელიც ამრიგად ქვეყნის შიგნით რჩება. ეს სისტემა, რომელიც მძიმე ტვირთად აწვება გადასახადების გადამხდელთა ფართო მასას, როგორც ჩანს, ხელსაყრელია გერმანიის მრეწველთა განსაზღვრული წრისათვის, რითაც აიხსნება ის ფაქტი, რომ უკიდურესად ნაციონალისტური მსხვილი ბურჟუაზია შეურიგდა ე. წ. „ვერსალის ხელშეკრულების შესრულების პოლიტიკას". მეორე მხრივ, ეს სისტემა საშუალებას არ აძლევს გერმანიას დააგროვოს ვალიუტის მარაგი და აბრკოლებს გერმანიის მრეწველობის უზრუნველყოფას საჭირო ნედლი მასალით. ეს ფინანსიური დაბრკოლებები, რომლებიც გამომდინარეობენ დაუესის გეგმიდან, მთელი სიმწვავით იჩენენ თავს მაშინ, როცა დაიწყება გეგმის „ნორმალურად" განხორციელება.

დაუესის გეგმის ზეგავლენა გერმანიის კრედიტორ-სახელმწიფოების (საფრანგეთის და ბელგიის) სამეურნეო ცხოვრებაზე შიშს იწვევს ამ სახელმწიფოებში. ამ ქვეყნების მსხვილი მრეწველობა სულ უფრო და უფრო მწვავედ განიცდის გერმანიის მრეწველობის მეტოქეობის ზრდას. ომის დროს დანგრეულ ოლქების აღდგენასთან დაკავშირებულ სამუშაოთა დასრულების გამო ვიწროვდება მსხვილი მრეწველობის პროდუქციის გასასაღებელი ბაზარი და საკითხი იმ საქონლის მოხმარების შესახებ, რომელსაც ბელგია-საფრანგეთი იღებს რეპარაციების ანგარიშში, საჭირბოროტო ხასიათს იღებს. დაინტერესებული კაპიტალისტური წრეები გამოსავალს ეძებენ საერთაშორისო კარტელების შექმნაში და ბელგიელ და ფრანგ კაპიტალისტების არაპირდაპირ მონაწილეობაში გერმანიის მრეწველობის მოგებაში.

მაგრამ მოსპობა იმ წინაალმდეგობების, რომელთაც შეიცავს დაუესის გეგმა, არ შეიძლება არავითარი კომბინაციებით. გეგმის შემდგომი განვითარება დაისახება ქრონიკულ კრიზისს როგორც გერმანიის ისე გამარჯვებულ ქვეყნების მრეწველობის პროდუქციის გასაღების მხრივ, რაც კიდევ უფრო გაამწვავებს კაპიტალისტურ ჯგუფებს შორის არსებულ უთანხმოებას და წინაალმდეგობებს.

ბ. რ.

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი

ოპოზიციის გამთიშველი მუშაობის შესახებ

მოსკოვი, 15 ოქტომბერი. ამ დღეებში დასრულებულ საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი თავის რეზოლიუციებში ღრმა აღშფოთებით აღნიშნავს, რომ პროლეტარულ რევოლიუციაში გამოცდილს, ჩვენი პროფმოძრაობის ლენინურ ხაზს დემაგოგიური კრიტიკით თავს დაესხა პლენუმის წევრების გამთიშველი და ოპოზიციონური ჯგუფი. ფაქტების დამახინჯებით და ყალბი ცნობების საშუალებით მათ სურდათ მშრომელთა ფართო მასების წინაშე სახელი გაეტეხათ პარტიის ხელმძღვანელობისათვის. სურდათ მოეხდინათ განხეთქილება პროფმოძრაობაში და ამით დაესუსტებიათ პროლეტარული დიქტატურის მთავარი ბაზა.

უპირდაპირებენ რა სოციალისტურ მშენებლობის ინტერესებს მუშათა მასების ინტერესებს, სურთ რა პარტიის და პროფკავშირების მუშაობის ჩაშლა რაციონალიზაციის მომჭირნეობის რეჟიმის და წარმოების ამაღლების დარგში—ფრაქციონერ-ოპოზიციონური ჯგუფი მიისწრაფვის დაუკარგოს ნდობა პროლეტარულ რევოლიუციის გეგემონსა—კომუნისტურ პარტიას—მუშათა ფართე მასებში. უპირდაპირებენ რა პროფკავშირებს კომპარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას, მათ სურთ ააგონ პროფკავშირები ისეთ საფუძველზე, როგორიც არის კაპიტალისტურ სახელმწიფოებში.

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის პროფმოძრაობას არ აქვს არაფერი საერთო შიშით მოცულ ოპოზიციონერებთან.

პლენუმი აცხადებს, რომ, რევოლიუციის ქარცეცხლში ნაცად საბჭოთა პროფმოძრაობის რევიზიის მოხდენის ცდას მთელი შეგნებული პროლეტარიატი გასცემს სათანადო პასუხს. (ადს).

მუშა და გლეხ-ქალთა ყრილობა

კამათი ამხ. ლუნაჩარსკის მოხსენების გარშემო

მოსკოვი, 15 ოქტომბ. მუშა და გლეხ-ქალთა ყრილობის 12 ოქტომბრის საღამოს სხდომაზე გაიმართა კამათი ამხ. ლუნაჩარსკის მოხსენების და ამხ. კრუპსკაიას და ნიურინას თანამოხსენებების გარშემო.

ორატორთა უმრავლესობა განათლების დარგში საბჭოთა ხელისუფლების დიდ მიღწევებთან ერთად აღნიშნავდა იმ ნაკლსაც, რომელსაც აქვს ადგილი. ორატორთა სიტყვებში სხვა სურვილებზე უფრო ხშირად, გაისმოდა იმის სურვილი, რომ სოფლად დაარსებულიყო სპეციალური, უმაღლესი ტიპის სკოლები. დელეგატ - ქალი ამხ. კამრაკოვამ, კალუგის გუბერნიიდან გამოსთქვა სურვილი, რათა გადიდებულიყო სოფლის სკოლის კლასების რიცხვი შვიდწლედამდი მაინც. კამათის დროს უყურადღებოთ არ იქნა დატოვებული არც საკითხი სკოლის ასაკამდე აღზრდის და საბავშვო ბაგების მოწყობის შესახებ. რამოდენიმე დელეგატ - ქალმა მოითხოვა, რათა გატარებულიყო სახელმძღვანელოების სტაბილიზაცია.

უცხოელი სტუმრები

დელეგატ - ქალების სიტყვები ორჯერ იქნა შეწყვეტილი საფრანგეთის და ინგლისის ქალთა დელეგაციების წარმომადგენელთა გამოსვლებით. უცხოელ სტუმრებს მთელი დარბაზი შეხვდა მხურვალე ოვაციებით. ინგლისის ქალთა დელეგაციის წარმომადგენელმა ერთმანეთს შეადარა ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმე კაპიტალისტურ ქვეყნებში და საბჭოთა კავშირში და განაცხადა, რომ ის დარწმუნდა, რომ საბჭოთა სკოლები აღზრდიან თაობას, რომელიც შესძლებს სოციალიზმის მშენებლობას.

ამხ. რიკოვის სიტყვა

სხდომის დასრულების დროს მოკლე მისალმებით გამოვიდა ამხ. რიკოვი, რომელსაც მთელი ყრილობა მხურვალე ტაშით შეხვდა (ადს).

15 ოქტ., დილის სხდომა

მოსკოვი, 15 ოქტომბერი. მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა ყრილობის 15 ოქტომბრის დილის სხდომაზე გაგრძელდა კამათი ამხ. ლუნაჩარსკის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღო გერმანელ მასწავლებელთა დელეგაციის წარმომადგენელმა მასწავლებელ-ქალმა კნაპმა.

„ჩვენ ბედნიერნი ვართ,—სთქვა მან,—რომ ვესწრებით თქვენს ყრილობას. ჩვენ აქ მთელი ქვეყნის გამოძახილს ვხედავთ. ჩვენ დიდის ინტერესით და სიხარულით ვეგებებით იმ კულტურულ მიღწევებს, რომელნიც საბჭოთა კავშირს აქვს".

საფრანგეთის დელეგაციის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა დერიუმომ, რომელმაც აღნიშნა, რომ საფრანგეთის კაპიტალისტები ემზადებიან საბჭოთა კავშირთან ომისათვის.

„მაგრამ ფრანგ ქალებს,—სთქვა მან,—არ სურთ ომი საბჭოთა კავშირთან. როცა საფრანგეთში დავბრუნდებით, მთელი ჩვენი ძალღონით შევეცდებით, რომ უფრო განმტკიცდეს პროლეტარიატის მთლიანი ფრონტი საბჭოთა კავშირის დასაცავად".

უკანასკნელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. კრუპსკაიამ

სხდომის დასასრულს კრებამ გამოჰყო დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირის ცაკის საიუბილეო სესიას მიესალმება ყრილობის სახელით

ანარიცხები ნავთის მრეწველობაში

მოსკოვი, 15 ოქტომბ. შრომის და თავდაცვის საბჭომ აღნიშნა, რომ ნავთის მრეწველობის ანარიცხების რაოდენობის დაკავშირება კონიუნქტურის პირობებთან, ხელს უშლის მეურნეობის სწორად დაყენებას მრეწველობის ამ უმნიშვნელოვანეს დარგში და ქმნის მუშაობისათვის არახელსაყრელ პირობებს სწორედ იმ დროს, როდესაც ნავთის მრეწველობა განიცდის მძიმე მდგომარეობას საგარეო ბაზარზე.

შრომის და თავდაცვის საბჭო იღებს რა მხედველობაში ამ გარემოებას, ადგენს, რათა ნავთის მრეწველობაში დღეს არსებული ანარიცხების დაწესების წესი რადიკალურად იქნეს გადასინჯული. გადასინჯული უნდა იქნეს აგრეთვე ის ურთიერთობა, რომელიც არსებობს დღეს ნავთის მრეწველობასა და იმ რესპუბლიკებს შორის, რომლის ტერიტორიაზე მოიპოვება ნავთიანი ადგილები.

საკავშირო სახელმწიფო საგეგმო კომისიას წინადადება ეძლევა მოკავშირე რესპუბლიკების დაინტერესებულ უწყებებთან ერთად დაამუშაოს საკითხი ნავთის მრეწველობის ანარიცხების შესახებ და იმ დამოკიდებულების შესახებ, რომელიც უნდა დაწესდეს ნავთის მრეწველობასა და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის. 1927—28 წლისათვის, როგორც დროებითი ზომა დაწესებულია ანარიცხები აზნავთისათვის 6 კაპ. რაოდენობით ფუთზე (ადს).

წყალთა მეურნეობის სამუშაოები

მოსკოვი, 15 ოქტომბ. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო ამიერ - კავკასიის წყალთა მეურნეობის სამუშაოების საჭიროებისათვის 1927—28 წლის პირველ მეოთხედში გადასდოს—2.800.000 მანეთი.

გადადებული თანხა განაწილებულია შემდეგნაირად: ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიეცემა — 259.500 მ. საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს — 797.825 მან. აზერბაიჯანის წყალთა მეურნეობის სამმართველოს—1.133.000 მან. და სომხეთის წყალთა მეურნეობის სამმართველოს 609.675 მან.

აღნიშნულ თანხიდან 2.180.000 მანეთი იქნება გაღებული საკავშირო ბიუჯეტით, 620.000 მანეთი-კი ა.-კ. რესპუბლიკების ბიუჯეტით. სახ. საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ უშუალო მუშაობა ფოთის ჭაობების ამოშრობის გარშემო არ უნდა სწარმოებდეს აჩქარებულის ტემპით, პირიქით პირველ რიგში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს გამოკვლევითი მუშაობას და ჭაობების ამოშრობის საერთო სქემის შედგენას. საკითხი დიგორის ამოშრობის შესახებ, სულ იხსნება სახბიუჯეტიდან. აღნიშნული სამუშაოებისათვის საჭირო თანხები (თუ ასეთი სამუშაო აუცილებელი იქნა ცნობილი ადგილობრივ) უნდა გამოინახოს ადგილობრივ. 1927—28 წლის პირველ მეოთხედში მუღანლოში უნდა იწარმოოს მხოლოდ საექსპლოატაციო ხასიათის სამუშაოები, ე. ი. უკვე არსებული არხების აღდგენა, უკვე დასახლებულ რაიონის მოსარწყავი სისტემის გაფართოება და სხვ. (ადს).

იტალიელი მფრინავი სარატოვში

სარატოვი. 15 ოქტომბერი. იტალიელი მფრინავი სავოიია, რომელმაც ევროპის ირგვლივ გაიარა ათი ათასი კილომეტრის მანძილი, სარატოვიდან გაფრინდა სამარყანდში, საიდანაც იგი გაფრინდება მოსკოვში. მანძილი გენიჩესკიდან სარატოვამდე—1.350 კილომეტრი ჰაეროპლანმა შეუჩერებლად გაირა 71.15 წუთში (ადს).

ინდუსტრიალიზაციის სესხი

ინდუსტრიალიზაციის სესხი ხელს შეუწყობს აქტიურ ბალანსის შექმნას

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ვაჭრობის მომწესრიგებელ განყოფილების გამგემ ამხ. ლორთქიფანიძემ შემდეგი განაცხადა იმ მნიშვნელობის შესახებ, რომელიც ექნება ინდუსტრიალიზაციის სესხს აქტიური სავაჭრო ბალანსის შექმნის საქმეში:

საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს აქტიური ბალანსის მიღწევა ვაჭრობაში. ამას წინედ, მოსკოვში, ვაჭრობის სახ. კომისარიატთან, გაიმართა საკავშირო თათბირი. ამ თათბირზე აღნიშნულ იქნა, რომ აქტიური ბალანსის მიღწევას დიდად შეუწყობს ხელს არა მარტო ამ დარგში მომუშავე დაწესებულებათა და ორგანიზაციების მოქმედება, არამედ ცალკე მოქალაქეთა დახმარებაც, რომელთა საშუალებითაც შეიძლება იქნეს აღმოჩენილი ექსპორტისათვის გამოსადეგი ახალი ნედლეულის კონტიგენტი. მაგრამ მოქალაქეთა დახმარება აქტიური სავაჭრო ბალანსის შექმნის საქმეში შეიძლება სხვა მხრივაც გამოიხატოს: ყოველმა მოქალაქემ ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ შემცირდეს ჩვენი ვალიუტის გაქანა საზღვარგარეთ საქონლის შეძენისათვის. უკანასკნელ ხანებში საბჭოთა კავშირი უკვე შეუდგა ისეთი საქონლის დამზადებას, რომელიც წინედ საზღვარგარეთიდან შემოგვქონდა: მომავალში კიდევ უფრო მეტად უნდა გაძლიერდეს ასეთი საქონლის დამზადება ახალი ფაბრიკა - ქარხნების აგების საშუალებით. ამისათვის კი საჭიროა საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაცია. საშუალება ინდუსტრიალიზაციისათვის არის—ინდუსტრიალიზაციის სესხი.

ინდუსტრიალიზაცია შეამცირებს ჩვენს დამოკიდებულებას დასავლეთისაგან, შეუწყობს ხელს იმ საქონლის გაიაფებას, რომელიც წინედ საზღვარგარეთიდან შემოგვქონდა. მაშინ ჩვენ თვითონ დავამზადებთ ამ საქონელს, ავაშენებთ მანქანებს მისი ფაბრიკაციისათვის; უფრო მიზანშეწონილად გამოვიყენებთ ჩვენს ნედლეულს: ამ ნედლეულის მნიშვნელოვანი ნაწილი გადამუშავდება ჩვენს ქარხნებშივე.

რაც უფრო აქტიური იქნება სავაჭრო ბალანსი, მით უფრო გაუმჯობესდება ყოველ მოქალაქის ნივთიერი მდგომარეობა. ინდუსტრიალიზაცია კი უზრუნველჰყოფს ჩვენს აქტიურ ბალანსს საგარეო ვაჭრობაში, შეამცირებს ჩვენს დამოკიდებულებას დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური მრეწველობისაგან, გააძლიერებს სოციალისტური მრეწველობის მშენებლობის საქმეს. ამიტომ ყოველი მოქალაქე უდიდესი ყურადღებით უნდა მოეკიდოს ინდუსტრიალიზაციის სესხს.

სააგიტაციო მუშაობა თბილისში და პროვინციაში

ა.-კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო სესხების განყოფილების გამგემ გ. იროცფუხოვმა ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობა:

ოქტომბრის 1-დან დღემდე ა.-კ. ფინსახკომის, საქართველოს ფინსახკომის, სახელმწიფო ბანკის და შრომის შემნახველ სალაროების თანამშრომლებმა თბილისის საბჭოთა დაწესებულებებსა და სამეურნეო ორგანიზაციებში გააკეთეს 100-ზე მეტი მოხსენება სესხის შესახებ. მოხსენებების მეტი წილი გაკეთდა პროფაქტივებში და დელეგატთა კრებებზე, კონფერენციებზე და ფაბრიკა - ქარხნების ადგილკომებში. ამრიგად პროფორგანიზაციების ხელმძღვანელთა მეტი წილი დეტალურათ არის გაცნობილი ინდუსტრიალიზაციის სესხის შეძენის პირობებსა და შეღავათებთან და ისინი თავთავის დაწესებულებებში აწარმოებენ ფართო საგიტაციო კამპანიას. მოკლე ხანში განზრახულია მთელი რიგ საერთო კრებების ჩატარება ყველა პროფესიონალურ კავშირებში.

მიღებულია ყოველგვარი ზომები, რათა ქალაქში არ დარჩეს არც ერთი მუშა - მოსამსახურე, რომელსაც არ ექნება მიღებული ამომწურავი ცნობები ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ.

კამპანიის დასაწყისშივე ცხადი შეიქნა უდიდესი ინტერესი ამ სესხისადმი მუშა - მოსამსახურეების მხრივ. ბევრ დაწესებულებებში მოხსენებების და ინფორმაციის შემდეგ, დამსწრე მუშა - მოსამსახურეების მთელი ასი პროცენტი ხელს აწერს სესხზე.

რაც შეეხება პროვინციალურ ქალაქებს, მუშაობა იქაც ფართოდ სწარმოებს და მიღებული ცნობების თანახმად ინდუსტრიალიზაციის სესხის გავრცელება მშრომელ მასებში წარმატებით მიმდინარეობს.

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატმა პროვინციაში მიავლინა 4 პასუხისმგებელი თანამშრომელი, რომლებიც ადგილობრივ ხელმძღვანელობენ მუშაობას.

ხელის მოწერა ფაბრიკა-ქარხნებში

პირველ სტამბაში

13 ოქტომბერს, პროლიგრაფტრესტის პირველ სტამბის მუშა - მოსამსახურეთა საერთო კრებაზე ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **სირბილაძემ**. მომხსენებელმა გააცნო კრებას სესხის მნიშვნელობა და ობლიგაციების შეძენის პირობები.

კრებამ დაადგინა ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელი მოაწერონ კოლექტიურად.

ამხ. კალინინის სახელობის მექანიკურ ქარხანაში

13 ოქტომბერს, მუშაობის გათავების შემდეგ შესდგა კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის მუშა - მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელმაც მოისმინა მოხსენება ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ.

მოხსენების ირგვლივ კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოუწოდებს ყველას მოაწერონ ხელი სესხზე და შეიძინონ ობლიგაციები.

მთავარ ელექტრო-ტეხნიკურ სახელოსნოში

13 ოქტომბერს მუშაობის შემდეგ მთავარ ელექტრო-ტეხნიკურ სახელოსნოში შესდგა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. დღის წესრიგში დასმული იყო საკითხი ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობის შესახებ.

მოხსენებით გამოვიდა ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი ამხ. **ერისთავოვი**, რომელიც ვრცლად შეეხო ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობას.

მუშებმა მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვები და კამათში აღნიშნავდნენ, რომ ყოველმა მუშამ შეძლებისდაგვარად უნდა შეიძინოს ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაცია.

სახელგამში

სახელმწიფო გამომცემლობის მოსამსახურეთა შორის სწარმოებს გაცხოველებული ხელისმოწერა ინდუსტრიალიზაციის სესხზე. გაგზავნილია მოწოდებები აგრეთვე პროვინციალურ განყოფილებებშიაც, საიდანაც ხელის მომწერთა სიას ცენტრალური სამმართველო მიიღებს ორი კვირის განმავლობაში.

გარდა ამისა, იმ ორი ათასი მანეთის ანგარიშში, რომელიც ქოლა ლომთათიძის თხზულებათა ორი ტომის გამოცემის გამო უნდა გაიღოს სახელგამმა და რომელიც განზრახულია გადაიდოს განსვენებული ავტორის სახელობის სტიპენდიის დასაარსებლად საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში, შეიძინა ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციები.

ყველამ შევიძინეთ ობლიგაციები

პოლიგრაფ-ტრესტის მეხუთე სტამბის მუშების საერთო კრებამ, რომელსაც დაესწრნენ გაზეთ „კომუნისტი"-ს რედაქციის თანამშრომლებიც მოისმინა მოხსენება ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობის შესახებ, რის შემდეგ კრებამ ობლიგაციის რეალიზაციისათვის აირჩია კომისია ხუთი კაცის შემადგენლობით.

კომისიამ თავის პირველ სხდომაზე განიხილა სტამბისა და გაზ. „კომუნისტი"-ს თანამშრომელთა სურვილი, რის შემდეგ შეუდგა ობლიგაციებზე ხელის მოწერის ჩატარებას. გაზ. „კომუნისტი"-ს რედაქციიდან კანტორის და ექსპედიციის ყველა მუშა-მოსამსახურეებმა რიცხვით 78 კაცმა მოაწერეს ხელი ინდუსტრიალიზაციის სესხზე და შეიძინეს 1.480 მანეთის ობლიგაცია.

ხელის მოწერა აჭარისტანში

ბათომი, 13 ოქტომბერი. ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციების გასაღების კამპანია მთელ აჭარისტანში წარმატებით მიმდინარეობს. გლეხები საკრედიტო ამხ-ების საშუალებით იძენენ ობლიგაციებს, ბათომის მუშა - მოსამსახურეები აწარმოებენ კოლექტიურ ხელისმოწერას სესხზე. ყველა წარმოება - დაწესებულებაში ეწყობა ლექცია - საუბრები ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობის შესახებ.

ბათომის ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა შეიძინოს ინდუსტრიალიზაციის სესხის 10.000 მანეთის ობლიგაცია.

ობლიგაციებზე ხელისმოწერის კამპანია გრძელდება. (საკ. კორესპ.).

ოზურგეთის მაზრაში

(დეპეშა ოზურგეთიდან)

მიმდინარე კვირის განმავლობაში ოზურგეთის მაზრაში გასაღდა 4.255 მანეთის ობლიგაცია. კამპანიის დაწყების დღიდან ხელის მოწერა სესხზე უდრის 14.355 მანეთს, აქედან 4.300 მანეთი კოლექტიურ ხელის მოწერაზე. მოდის.

მ. სიმვულიდი.

ხაშურში

ხაშური, 13 ოქტომბ. ინდუსტრიალიზაციის სესხის გავრცელების შესახებ ჩატარდა მოხსენებები 7 კომუჯრედში, პარტაქტივის ორ გაფართოვებულ კრებაზე, მუშა - მოსამსახურეთა კრებებზე, რომელზედაც 1.500 კაცმა მიიღო მონაწილეობა, გამოყოფილია დამხმარე კომისიები და 5 რწმუნებული. 28 რაიკომთან გამოყოფილია სპეციალური დამხმარე კომისია. ხელის მოწერის კამპანიის სახელმძღვანელოდ. (საკ. კორესპ.).

ახალ - სენაკი

ახალ-სენაკი, 12 ოქტომბერი. ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელისმოწერა წარმატებით მიმდინარეობს. სამაზრო პარტკომის მოსამსახურეებმა ხელი მოაწერეს 1.020 მანეთის ობლიგაციაზე. სამაზრო აღმასკომისა და პროფბიუროს ყველა მოსამსახურეებმა შეიძინეს ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციები. (ადს).

სესხის ქრონიკა

ს. მ. უ. საბჭოში

ამ დღეებში ს. მ. უ. ს.-ში გაიმართა ადგილობრივ მუშა - მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრნენ ფინსახკომის და ს. მ. უ. ს. ქვემდებარე ტრესტების წარმომადგენლები.

კრებაზე მოხსენება გააკეთა ამხ. **კეპინოვმა**, რომელმაც დაწვრილებით განმარტა საბჭოთა კავშირის თანამედროვე ეკონომიური მდგომარეობა. აღნიშნა ჩვენი აღმშენებლობის ზრდა, დაახასიათა ჩვენი აღმშენებლობის მოთხოვნილებები და ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობა.

ორატორმა მოუწოდა დამსწრეებს ფართო მონაწილეობა მიეღოთ სესხის გავრცელებაში.

საერთო კრებამ ერთხმად დაადგინა შეიძინოს სესხის ობლიგაციები.

14 ოქტომბრამდე ს. მ. უ. ს. მუშა - მოსამსახურეთა მიერ შეძენილია 2.705 მანეთის ობლიგაციები.

ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოში

ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს თანამშრომელთა შორის შესდგა საერთო კრება, რომელზედაც გაკეთებულ იქნა მოხსენება ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობის შესახებ, გამოტანილ იქნა დადგენილება ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციების შეძენის შესახებ. მოსამსახურეთა პერსონალმა მიუხედავათ თავისი მცირე ხელფასისა, გადასწყვიტა შეიძინოს ობლიგაციები თავიანთი თვიური ხელფასის 50—60 პროც. რაოდენობით.

სულ ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს თანამშრომლებმა შეიძინეს 4.115 მან. ობლიგაცია.

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან—კვირამდე)

ამხ. რაკოვსკის გაწვევის გარშემო.—ლატვია-საბჭოთა ხელშეკრულების დამტკიცების წინ.—შეთანხმება ვენის მუნიციპალიტეტთან.—სპარსეთ-ოსმალეთის კონფლიქტი.—იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა.—არჩევნები ჰამბურგსა და კენიგსბერგში

ნოტების გაცვლა-გამოცვლამ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირს შორის, რასაც უკანასკნელ კვირაში ჰქონდა ადგილი, ერთხელ კიდევ ცხადჰყო ამხ. რაკოვსკის საკითხში საფრანგეთის მთავრობის პოზიციის სრული უსაფუძვლობა.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის მთავრობა ჯერ გაურბოდა ჩვენი ელჩის გაწვევის მოთხოვნის წერილობითი წამოყენებას და ფიქრობდა საკითხის „შინაურულად" მოგვარებას. ეს, რა თქმა უნდა, არა თავაზიანობის მოსაზრებით, როგორც ერბეტი არწმუნებს, არამედ იმიტომ, რომ ნოტის სახით წარმოდგენილი მოთხოვნა და ასეთივე ჩვენი პასუხი, რომლებიც აუცილებლად საჯაროთ იქნებოდენ გამოქვეყნებული, ყველას დაანახვებდა, თუ ვინ უშლის ხელს მხარეთა შორის ნორმალურ დამოკიდებულების დამყარების საქმეს. ამიტომაც იყო, რომ პირველ ხანებში საფრანგეთის პრესა და მთავრობის წრეებიც ცდილობდენ, რათა ამხ. რაკოვსკის გაწვევის ინიციატივა საბჭოთა მთავრობას აელო თავის თავზე.

მაგრამ ასეთმა ხერხმა არ გასჭრა და საფრანგეთის მთავრობა იძულებული გახდა წერილობით დაედასტურებია თავისი მოთხოვნა. რა სჩანს ამ ნაბიჯიდან? ყველაზე უფრო საკვირველი ის არის, რომ საფრანგეთის მთავრობას 4 ოქტომბერს დამაკმაყოფილებლად სცნო ამხ. ჩიჩერინის და რაკოვსკის განმარტება უკანასკნელის მიერ ცნობილ შინა-პარტიულ დოკუმენტზე ხელმოწერის გამო და „ინცინდენტი" ამოწურულად ჩასთვალა, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ იგივე მთავრობა სრულებით უსაბუთოთ არღვევს თავის გადაწყვეტილებას და კვლავ აყენებს გადაჭრილად გამოცხადებულ საკითხს. განა საფრანგეთის მთავრობის ასეთი წაჯექ-უკუჯექობა არ ამხელს, რომ ამხ. რაკოვსკის პიროვნება არაფერ შუაშია საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობის გართულების საქმეში.

პირიქით, ამხ. რაკოვსკი ის კაცი იყო, რომელმაც არაჩვეულებრივად ბევრი რამ გააკეთა ორივე ქვეყანას შორის არსებულ სადავო საკითხების მოსაწესრიგებლად. ეს დადასტურებულია ფრანგ სახელმწიფო მოღვაწეების მიერ და ერბეტიც თავის ნოტაში ვერ ბედავს ამ მხრივ რაიმე ცუდი სთქვას ჩვენი წარმომადგენლის შესახებ. ზედმეტია იმის თქმა, რომ ამხ. რაკოვსკი მთლიანად ატარებდა საბჭოთა მთავრობის დიპლომატიურ დავალებებს და შემდეგშიაც ის ყველაზე უფრო შესაფერი პირი იქნებოდა მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებისათვის.

ამხ. რაკოვსკის წინაალმდეგ საბუთად რა თქმა უნდა, ვერ გამოდგება იმაზე მითითება, რომ მან საბჭოთა წინადადებების შეთანხმების შესახებ პრესაში გამოაქვეყნა. ჯერ ერთი, ეს მოხდა დე-მონზის დასტურით. შემდეგ: მემარჯვენე ფრანგული პრესა საფრანგეთის ოფიციალურ წყაროებიდან მიღებულ ცნობებს მოლაპარაკების შინაარსის და მსვლელობის შესახებ დამახინჯებით აშუქებდა და საჭირო იყო სიმართლის აღდგენა. ბოლოს, საფრანგეთის მთავრობა, უკმაყოფილების გამოთქმის მაგივრად, უნდა მისალმებოდა ჩვენი წინადადებების გამოქვეყნებას: თუ ისინი მართლა მიღებელი იყო საფრანგეთისათვის, მის მთავრობას შეეძლო ამის განმარტება და თავისი მოთხოვნების დასაბუთება, ხოლო თუ მისაღები იყო, საბჭოთა წინადადებების გამოქვეყნება ხელს შეუწყობდა რეაქციონერების კამპანიის ჩაფუშვას, რომ ამის სურვილი ბრიანს ჰქონოდა. ორივე შემთხვევაში მთავრობის პოზიცია განმტკიცდებოდა საფრანგეთის საზოგადოებრივობის თვალში. ასე, რომ ხსენებული არგუმენტი ლაპარაკობს არა ამხ. რაკოვსკის, არამედ საფრანგეთის წინაალმდეგ. დასასრულ, ეს მაგალითი უჩვენებს საფრანგეთის მასებს, რომ საფრანგეთის მთავრობა თავისი საიდუმლო დიპლომატიის, როგორც ყოველთვის, ეხლაც ამ მასსების ზურგს უკან და, ცხადია მათ საზიანოდ აწყობს ბნელ კომბინაციებს.

ამნაირად, საფრანგეთის მთავრობის არგუმენტაცია ყოვლად უსუსურია, რაც კიდეც ცხადჰყო ჩვენმა მთავრობამ თავის საპასუხო ნოტაში. მაგრამ ფორმალურად მას, რა თქმა უნდა, უფლება ჰქონდა მოეთხოვა სხვა სახელმწიფოს ამა თუ იმ ელჩის გაწვევა. საკავშირო მთავრობამ ამ ფორმალურ მომენტს გაუწია ანგარიში და ამასთან, რაც უმთავრესია, მიიღო მხედველობაში მშვიდობიანობის განმტკიცების ინტერესები და დასთანხმდა ამხ. რაკოვსკის გაწვევაზე.

საფრანგეთის მთავრობამ ამ საკითხში დაუთმო მემარჯვენე ელემენტებს და ინგლისელ იმპერიალისტებს. რა იქნება შემდეგ? აშკარაა, რომ შავი ძალები შეეცდებიან სხვა ნაბიჯებიც გადადგან და საქმე საბოლოო ანგარიშით ჩვენთან ურთიერთობის გაწყვეტამდე მიიყვანონ. შესძლებს კი ბრიანი მათი იერიშების მოგერიებას? საფრანგეთის საერთაშორისო მდგომარეობა (ინგლისისაგან დამოკიდებულება), მისი შინაური პოლიტიკური (არჩევნების მოახლოება) და ეკონომიური (გასაღების კრიზისის პირობები) დაჟინებით მოითხოვენ საბჭოთა კავშირთან ნორმალურ ურთიერთობის აღდგენას. ამ გარემოებამ, ჩვენ გვგონია, უნდა დააფიქროს ბურჟუაზიის გონიერი წრეები, რო არ ვილაპარაკოთ ფართე მასსებზე, და ხელი უნდა შეუშალოს დეტერდინგების და ჩემბერლენების ზრახვების განხორციელებას. ჩვენი მთავრობის ეხლანდელმა სამშვიდობო ნაბიჯმა თავის მხრივ უნდა დაამსხვრიოს უკანასკნელთა გეგმები.

* * *

ინგლისის ანტისაბჭოთა ინტრიგები, როგორც ვიცით, მარტო საფრანგეთით როდი შემოიფარგლება. სხვათა შორის, ის ყოველნაირად ცდილობს ჩაშალოს ლატვია საბჭოთა-სავაჭრო ხელშეკრულება. ლონდონელ ბანკირების ორგანო „ფაინანშიელ ნიუს" ამას წინად სწერდა: „თუ ლატვიის მთავრობა დაამტკიცებს ხელშეკრულებას, ის ამით ახალ დაბრკოლებებს შექმნის ლატვიასა და ინგლისს შორის უფრო მჭიდრო ფინანსიურ და სავაჭრო დამოკიდებულების განვითარების გზაზე"-ო. ესაა პირდაპირი დამუქრება: ინგლისის იმპერიალიზმი მთელ თავის ფინანსიურ-ეკონომიურ შესაძლებლობას გამოიყენებს ლატვიის შესავიწროებლად, თუ უკანასკნელმა უარი არ სთქვა ხსენებულ ხელშეკრულებაზე,—აი რას ეუბნება ინგლისი ლატვიის მთავრობას.

ინგლისის დიპლომატია ამ მიმართულებით მოქმედებს აგრეთვე ესტონიის საშუალებით, რომლის მთავრობა და რეაქციონური წრეები არაფერს იშურებენ, რათა თავის მეზობელ ქვეყანაზე გავლენა მოახდინონ შეთანხმების დარღვევის მიზნით. ამავე დროს ლონდონის მთავრობა თვით ლატვიაში ემყარება ფაშისტურ და სპეკულიანტურ ელემენტებს. ლატვიის ერთ-ერთი გაზეთი 23 სექტემბერს სწერდა: „ხელშეკრულების წინაალმდეგ ფარულად მოქმედებენ უცხოეთის მნიშვნელოვანი კაპიტალები, რომლებიც რუსეთის კონკურენტებს წარმოადგენენ ნავთის და სხვა პროდუქტების ვაჭრობაში... დაინტერესებული მოქიშპე კაპიტალი არ ზოგავს საშუალებებს, რათა ლატვიის პოლიტიკაზე გავლენა მოახდინოს თავისთვის ხელსაყრელი მიმართულებით. ამის მიღწევას ის ლამობს პირველ ყოვლისა პრესის მოსყიდვით". ყველაფერი ნათელია. ანტისაბჭოთა პოლიტიკის სულის ჩამდგმელები ლატვიაში იგივე დეტერდინგია და საერთოდ ინგლისის კაპიტალი, რომელიც ლატვიაშიც ისევე მუშაობს, როგორც საფრანგეთში.

მიუხედავათ ასეთი კამპანიისა, ლატვიის მთავრობამ გადასწყვიტა ლატვია-საბჭოთა ხელშეკრულება დასამტკიცებლად წარუდგინოს სეიმს, რომლის სესია ეხლა მიმდინარეობს. მის რატიფიკაციას უკვე მხარი დაუჭირეს სეიმის სავაჭრო-სამრეწველო-საფინანსო და საგარეო საქმეთა კომისიებმა. ჯერი სეიმზეა მიმდგარი. აქ ძალთა განწყობილება ასეთია: ხელშეკრულების მომხრეთ აშკარათ ჰყავთ ხმების ნახევარი, 40-მდე დეპუტატი წინაალმდეგია, ხოლო ათიოდე კაცის პოზიცია საბოლოოდ არ არის გამორკვეული. მთავრობას იმედი აქვს, რომ ხმების უმრავლესობას შეკრებს და ხელშეკრულების რატიფიკაციას გაატარებს.

ზედმეტია იმის განმეორება, რომ ამ ხელშეკრულების დამტკიცებას დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობიანობის საქმის განმტკიცებისათვის აღმოსავლეთ ევროპაში. ეს იქნება ჩემბერლენ-დეტერდინგების სერიოზული დამარცხება. აღნიშნული ხელშეკრულება ამავე დროს ლატვიის სახელმწიფოებრივ-ეკონომიურ დამოუკიდებლობის საწინდარია. ამიტომ ლატვიის გონიერი წრეები, რომლებიც თავის ქვეყნის ინტერესებს ემსახურებიან, ვფიქრობთ, ყოველ ღონეს იხმარებენ უცხოელ მოძალადეთა დამღუპველ გავლენის შესასუსტებლად და საბჭოთა კავშირთან დაახლოებისათვის.

* * *

რამდენსაც არ სცდილობს ინგლისის იმპერიალიზმი, საბჭოთა კავშირის ეკონომიურ გარიყვას, ის ამას ვერ ახერხებს. ამის ერთი მაგალითი ზევით დავინახეთ ლატვიის მთავრობის გადაწყვეტილებაში. ეხლა ჩვენ გვინდა შევჩერდეთ ვენის ქალაქის თვითმართველობასთან მიღწეულ შეთანხმებაზე, რომლის მიხედვით ვენის მუნიციპალიტეტი უზრუნველჰყოფს საქონლის ექსპორტს საბჭოთა კავშირში ასი მილიონი შილინგის ან 50 მილიონ მანეთის რაოდენობით.

ეს თანხა, გერმანიაში გახსნილ კრედიტების შემდეგ, ყველაზე უფრო დიდია და მისი გამოყენება საგრძნობლად დააჩქარებს საბჭოთა კავშირის მრეწველობის განვითარებას, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას.

მაგრამ ამ შეთანხმების მნიშვნელობა სრულებით არ განისაზღვრება მისი ეკონომიური შედეგებით. არა ნაკლებ საგულისხმოა საქმის პოლიტიკური მხარე.

ჩვენ ვიცით, რომ ავსტრიის მთავრობა თანხმდებოდა უზრუნველეყო კრედიტები საბჭოთა შეკვეთებისათვის ავსტრიაში. ამ საკითხის გარშემო მოლაპარაკება გათავებული იყო, რომ ინგლისმა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა ჩაშალა. ინგლისის მთავრობა და ბანკები ამის შემდეგ ფინანსიურ და პოლიტიკურ ზეგავლენას ახდენდენ სხვა სახელმწიფოებზე, რომ უკანასკნელთ ჩვენთან აღებმიცემობა შეეწყვიტათ, ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის კრედიტები არ მოეცათ. ინგლისის ასეთმა ცდამ იმ ხანებში ყველაზე უფრო მკაფიო გამოხატულება სწორედ ავსტრიაში ჰპოვა. ლონდონის ბანკების და ბოლდუინის მთავრობის კარნახით, ავსტრიის ბანკებმა, მათ შორის სახელმწიფო ბანკმაც კრედიტები მოუსპეს იმ სავაჭრო-სამრეწველო ფირმებს, რომელთაც გადაწყვეტილი ჰქონდათ ჩვენთვის საქონლის ნისიად მოცემა. ინგლისის ბანკებმა უარი განაცხადეს ამ ფირმების თამასუქების განაღდებაზე ლონდონიდან აგრეთვე დაემუქრენ ავსტრიის მთავრობას, რომ ის თავის სესხის რეალიზაციას ვერ მოახდენდა ინგლისის ბაზარზე, თუ გაბედავდა საბჭოთა კავშირთან ვაჭრობისათვის ხელის შეწყობას.—ასეთმა რეპრესიებმა თავისი გავლენა მოახდინეს ავსტრიაზე, რომელიც ფინანსიურად ინგლისისაგანაა დამოკიდებული.

გარდა ამისა, ვენის მუშების აჯანყებამ რამდენიმედ გაართულა ავსტრიის დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან. ავსტრიის რეაქციონერები და მათ შორის მთავრობის ზოგიერთი წრეებიც საბჭოთა წარმომადგენლობას რევოლიუციონურ მუშაობას და კერძოთ აჯანყებაში მონაწილეობას აბრალებდენ. რა თქმა უნდა, ეს მოჭორილი იყო და თვით ავსტრიის მთავრობა გახდა იძულებული ეს ეღიარებია. მაგრამ კამპანია საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ შემდეგშიც გრძელდება დროგამოშვებით.

ასეთ პირობებში ჩვენ ვსდებთ მსხვილ ფინანსიურ შეთანხმებას ვენის თვითმართველობასთან. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ავსტრიელი სოციალ-დემოკრატები, რომელნიც ვენის მუნიციპალიტეტში გაბატონებული არიან, ისეთივე მტრობას იჩენენ ჩვენდამი, როგორც ყველა ქვეყნის მენშევიკები. მაგრამ ავსტრიის ეკონომიურმა კრიზისმა, უმუშევრობასთან წარმატებით ბრძოლის საჭიროებამ, როგორც ხსენებული მუნიციპალიტეტი აღნიშნავს, აიძულა ავსტრიელი მენშევიკები ამგვარ შეთანხმებაზე. ეს აშკარად მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიური წონა მსოფლიო მეურნეობაში ძლიერდება და ჩვენთან სამეურნეო თანამშრომლობა აუცილებელია კაპიტალისტური ქვეყნებისათვის. ამავე დროს, და ეს ხაზგასასმელია,, მიღწეული შეთანხმება ნიშნავს ინგლისის სერიოზულ დამარცხებას, ინგლისის, რომელიც, როგორც ზევით დავინახეთ, მთელ თავის გავლენას ხმარობდა, რათა ავსტრია-საბჭოთა სავაჭრო ურთიერთობა ჩაეშალა.

* * *

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ინგლისის იმპერიალიზმი ვერ გაიმარჯვებს აგრეთვე ოსმალეთ-სპარსეთის კონფლიქტში. შემთხვევითი არ არის, რომ ეს კონფლიქტი შეხვდა სპარსეთ-საბჭოთა ხელშეკრულების დადებას. ჩემბერლენის სამინისტროს ოფიციოზი „დეილი ტელეგრაფ" წერდა, რომ ეს ხელშეკრულება თითქო მიმართული იყოს ოსმალეთის წინაალმდეგ და დასძენდა, რომ მოსკოვი ვითომდა აქეზებს სპარსეთის აგრესიულ პოლიტიკას ოსმალეთის მიმართ და „საბუთად" ასახელებდა სპარსეთთან გადასულ ქურთების თავდასხმას ოსმალეთის ტერიტორიაზე.

ამგვარად, ინგლისი გვევლინება ოსმალეთის ინტერესების „დამცველის" როლში, ის ინგლისი, რომელიც ოსმალეთის განთავისუფლების დაუძინებელი მტერია. სხვათა შორის ის ცდილობს ოსმალეთ-სპარსეთის დამოკიდებულების გამწვავებას, რომ ამ გზით ადვილად შესძლოს ორივეზე გაბატონება. ჩვენ გვახსოვს, თუ რა განგაში ასტეხა ინგლისის მთავრობამ ერთა ლიგაში სპარსეთ-ოსმალეთის პაქტის დადების გამო, რაც ერთა ლიგის საწინაალმდეგო აქტად იქნა გამოცხადებული. თვით სასაზღვრო კონფლიქტებს ამ ორ ქვეყანას შორის, რასაც ხშირად აქვს ადგილი, ინგლისი ასაზრდოებს. მან ოსმალეთი აიძულა, რათა დასთანხმებულიყო ირაქის საზღვრებში სამხრეთ ქურთისტანის მოქცევაზე. აქედან ინგლისის მთავრობა პროვოკაციულ მუშაობას ეწევა ოსმალეთის და სპარსეთის ქურთებ შორის, აიარაღებს მათ და ჰქმნის კონფლიქტებს ოსმალეთ-სპარსეთის საზღვარზე. ამას ხელს უწყობს თვით ქურთების ყოფა-ცხოვრება, რომელნიც გადადიან ერთი ადგილიდან მეორეში, ბრძოლას აწარმოებენ საძოვრებისათვის და ძარცვა-გლეჯას ახდენენ. ეხლანდელი კონფლიქტი იმაში მდგომარეობს, რომ სპარსეთის ქურთები შეიჭრნენ ოსმალეთის მიწა-წყალზე. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეს მოხდა ინგლისის აგენტების წაქეზებით, მათ თავისი პროვოკაციული გამოსვლა შეუფარდეს სპარსეთ-საბჭოთა ხელშეკრულების დადების მომენტს, რომ „ორი კურდღელი" ერთად დაეჭირათ: ოსმალეთ-სპარსეთი ერთი-მეორისათვის გადაეკიდებიათ და დაეთესად უნდობლობა ოსმალეთ-საბჭოთა კავშირს შორის.

სპარსეთის მთავრობა, როგორც გუშინდელ ცნობებიდან სჩანს, ყოველ ზომას იღებს კონფლიქტის მოსაგვარებლად, რომელშიც მას, ცხადია, დანაშაული არ მიუძღვის. ეჭვი არ არის, რომ ოსმალეთის ხელმძღვანელებიც არ წამოეგებიან ინგლისის პროვოკაციულ ანკესზე და ინცინდენტს მშვიდობიანი გზით მოაგვარებენ. ამ მიზნით მოკლე ხანში გაიმართება მხარეთა მოლაპარაკება, რომლის შედეგი, დარწმუნებული ვართ, ინგლისის იმპერიალიზმს იმედებს გაუცრუებს. აღმოსავლეთის ხალხებისათვის ცხადი უნდა იყოს, რომ მათი თავისუფალი არსებობის საწინდარია მჭიდრო კავშირი როგორც ერთმანეთ შორის, ისე საბჭოთა სახელმწიფოსთან, რომელიც მათი უფლებების სადარაჯოზე დგას.

* * *

აქვე ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ ინგლისის დიპლომატიისათვის კიდევ ერთი არასასიამოვნო ფაქტი. ვლაპარაკობთ მეთევზეობის კონვენციაზე, რომლის შესახებ იაპონია-საბჭოთა კავშირს შორის მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა.

როდესაც იაპონიაში ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა გენერალ ტანაკას მთავრობა, ინგლისის იმპერიალისტები სიხარულს მიეცნენ: ვინაიდან ტანაკა ცნობილი იყო თავისი ინტერვენციით ციმბირში და საერთოდ საბჭოთა კავშირისადმი მტრობით, მათ იმედი ჰქონდათ, რომ მას ეხლაც გამოიყენებდენ ანტისაბჭოთა იარაღად.

თუმცა საერთაშორისო პოლიტიკის ზოგიერთ საკითხებში (მაგ., ერთიანი ფრონტით გამოსვლა ამერიკის წინაალმდეგ საზღვაო განიარაღების კონფერენციაზე და სხ.) ინგლისი და იაპონია თითქო შეთანხმებულად მოქმედებდენ. საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში ტანაკას კაბინეტი ჯერ-ჯერობით დამოუკიდებელ პოზიციას ადგას. იაპონიის მესვეურები, თუ გინდ ტანაკას ტიპისა, გამოცდილებით დარწმუნდენ, რომ საბჭოთა კავშირის მიმართ მტრობისა და ინტერვენციის პოლიტიკა მეტად საზიანოა პირველ ყოვლისა თვით იაპონიისათვის და ისინი იძულებული შეიქნენ ჩვენთან შეთანხმების გზას დასდგომოდენ.

ამ მხრივ, სხვათა შორის, ხსენებული კონვენციაც საგულისხმოა. მოლაპარაკება მის გარშემო თითქმის ერთ წელზე მეტი გაგრძელდა. თავდაპირველად იაპონიის მთავრობა აყენებდა ჩვენთვის მიუღებელ მოთხოვნებს (მაგ. მოითხოვდა, რომ მის დასტურის გარეშე საბჭოთა მთავრობას უფლება არ ჰქონოდა შეეცვალა ჩვენს ტერიტორიაზე მომქმედი მეთევზეობის კანონმდებლობა). ამგვარ მოთხოვნებზე ბოლოს მან ხელი აიღო და შეთანხმების მიღწევაც შესაძლებელი გახდა ორივე მხარისათვის მისაღებ საფუძველზე.

შორეულ აღმოსავლეთში მეთევზეობის საკითხის მოგვარებას დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს იაპონიასა და საბჭოთა კავშირისათვის. საბჭოთა წყლებიდან იაპონიას ყოველწლივ გააქვს 40 მილიონ მანეთის თევზი. თევზის სარეწაოების და ქარხნების უდიდესი ნაწილი მის ხელშია. აქედან საბჭოთა კავშირს შემოსდის საგრძნობი შემოსავალი, რომელიც კონვენციის მიხედვით უფრო გაიზრდება. ამასთან უფრო რაციონალურად იქნება დაყენებული მეთევზეობა, რასაც წინედ მტაცებლური ხასიათი ჰქონდა. ეს კი ხელს შეუწყობს მეთევზეობის განვითარებას.

გარდა ეკონომიური სარგებლობისა, კონვენციას, ეხლანდელ პირობებში, როცა ინგლისი ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნის ცდებშია, დიდი პოლიტიკური ღირებულებაც ენიჭება. ის გვიჩვენებს რომ ჩემბერლენი ვერ ახერხებს საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ იაპონიის მიმხრობას.

* * *

მრავალ მოვლენებ შორის, რომლებსაც გასულ კვირაში ადგილი ჰქონდა კაპიტალისტურ ქვეყნებში, საჭიროა აქ შევეხოთ გერმანიის კომუნისტების მორიგ ბრწყინვალე გამარჯვებას ჰამბურგის და კენიგსბერგის, არჩევნებში სამი მთავარი ძალა დაეტაკა ერთმანეთს ამ არჩევნებში: ბურჟუაზიულ პარტიების ბლოკი, მენშევიკები და კომუნისტები.

პირველყოვლისა აღსანიშნავია ბურჟუაზიულ პარტიების სასტიკი დამარცხება: მათ ჰამბურგში მიიღეს ხმები მხოლოდ 45 პროც. (წინეთ ჰქონდათ 50) ხოლო კენიგსბერგში 44 პროც. (წინანდელი 57 პროცენტის მაგივრად). ამავე დროს რამოდენიმედ გაძლიერდა სოციალ-დემოკრატია,—მაგ., კენიგსბერგში 1,3 პროცენტით, რაც შეეხება კომუნისტებს, მათ კენიგსბერგში მიიღეს ამომრჩეველთა მთელი რაოდენობის ხმების 17,1 პროც. (წინანდელ, 1925 წ. არჩევნებში კი ჰქონდათ მხოლოდ 13,33 პროც.) მანდატების მიხედვით თვითმართველობაში მათ დაიკავეს თანაბარი ადგილი სახალხო პარტიასა და სოციალ-დემოკრატიასთან ერთად. ჰამბურგში კომუნისტებმა ამომრჩეველთა ხმების მიხედვით (110.000) მეორე ადგილი დაიჭირეს და ახალ საბჭოში მათ ეკუთვნებათ 27 კაცი წინანდელ 24-ის ნაცვლად.

ორივე ქალაქის მმართველ ორგანოებში მენშევიკებსა და კომუნისტებს ერთად ეხლა გააჩნიათ უმრავლესობა ბურჟუაზიულ პარტიებთან შედარებით. ეს ფაქტი მოწმობს მასსების აშკარა გამემარცხენებას. წვრილი ბურჟუაზიის ფენები შორდებიან შმართველ ბურჟუაზიულ პარტიებს და მათი ნაწილი მენშევიკებისაკენ იხრება, ხოლო მისი უფრო ქვედა წრეები და კერძოთ პროლეტარული მასები კომპარტიის გარშემო იყრიან თავს. ამასთან, ხაზგასასმელი ის არის, რომ მასსების ამ გამემარცხენების პროცესში კომპარტია იზრდება გაცილებით უფრო სწრაფად და ძლიერად, ვინემ სოც.-დემოკრატია.

მენშევიკების წინაშე ეხლა სდგას არჩევანი: ან ბლოკი ბურჟუაზიულ პარტიებთან ან შეთანხმება კომპარტიასთან, ვინაიდან ჰამბურგის და კენიგსბერგის მუნიციპალიტეტებში ცალ-ცალკე ვერც ბურჟუაზია და ვერც სოც.-დემოკრატია ვერ შესძლებს თავის გაბატონებულ მდგომარეობის შექმნას. თუ გავითვალისწინებთ მენშევიკების მოღალატურ ბუნებას და წარსულის გამოცდილებას, უფრო მოსალოდნელია, რომ ისინი არჩევენ ბურჟუაზიასთან ბლოკის შეკვრას. ტაქტიკური მოსაზრებებით ისინი კიდეც რო დასთანხმდენ კომუნისტებთან კავშირზე, ისინი, აშკარაა, გააგრძელებენ ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის პოლიტიკას და ამისათვის ამ კავშირის გამოყენებას. ამ მხრივ თვალწინ გვიდგას თუგინდ საქსონიის მაგალითი, როცა მენშევიკებმა ზურგში ლახვარი ჩასცეს მათთან ბლოკში მყოფ კომუნისტებს და ბურჟუაზიას გზა გაუხსნეს ძალა-უფლებისაკენ. ორივე შემთხვევაში კომუნისტებს ეძლევათ მეტი საშუალება ამხილონ მენშევიკების გამცემლობა და უფრო მეტი მასები დარაზმონ თავის დროშის ქვეშ.

აღსანიშნავია, რომ კომპარტიის ჰამბურგის საოლქო კომიტეტმა ღია წერილით მიმართა ჰამბურგის სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტს და პროფკავშირების საბჭოს, სადაც აცხადებს, რომ კომპარტია მზადაა დაუშვას სოციალ-დემოკრატიული მთავრობის არსებობა და მოღვაწეობა ჰამბურგში (ჰამბურგი „თავისუფალი" ქალაქია და მას თავისი მთავრობა ჰყავს), თუ სოციალ-დემოკრატები განაცხადებენ მუშათა კლასის მიერ მოთხოვნებს; წინაალმდეგ შემთხვევაში, აცხადებს კომპარტია. მას ულმობელ ბრძოლას გამოუცხადებთო. ვნახოთ, შექმნილი მდგომარეობიდან როგორ დაიძვრენენ თავს მენშევიკები.

ხსენებული არჩევნები, სხვათა შორის, საგულისხმოა იმ მხრივ, რომ მათ ცხადჰყვეს რენეგატების—მასლოვ-ფიშერის ჯგუფის სრული გაკოტრება. ამ ჯგუფს, რომელმაც თავის ხელობათ კომუნისტების და საბჭოთა კავშირის ძაგება გაიხადა, ზურგი შაქცია გერმანიის პროლეტარიატმა და მრავალ არჩევნებში, სადაც ეს ჯგუფი დამოუკიდებელი სიით გამოდის, სამარცხვინო დამარცხება არგუნა.

გერმანიის კომპარტია ძალას იკრებს და ხდება ნამდვილად მასიურ ორგანიზაციად. მომავალ დიდ კლასობრივ ბრძოლებში, რაც მოსალოდნელია გერმანიის კაპიტალიზმის აუცილებელი კრიზისის გამო, ის უეჭველად გადამწყვეტ როლს თამაშებს კაპიტალის დამხობის და მუშათა კლასის გამარჯვების საქმეში.

ბ. კ—ლი.

პარტიული ცხოვრება

შორს ლენინური რიგებიდან

მოსკოვის საკ. კომ. დადგენილება

მოსკოვი, 16 ოქტომბერი. მოსკოვის საკონტროლო კომისიამ დაადგინა: აქტიური გამთიშველი ფრაქციული მუშაობისათვის, რომელიც გამოიხატა ანტიპარტიულ დოკუმენტების დაბეჭდვასა და გავრცელებაში, არალეგალურ წრეების შექმნაში, არალეგალურ ფრაქციულ კრებებზე მონაწილეობაში, ცილისწამებაში და გალაშქრებაში პარტიის და ცეკას წინააღმდეგ, აგრეთვე საკ. კომ. პ. (ბ) წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში, რომელშიაც ჩაბეს უპარტიო ინტელიგენტები, გამორიცხული იქნენ პარტიიდან დროგინი, იოსელევიჩი, მარტინოვი, კოტუხოვი, როძევიჩი, სტიცენკო, რიჟოვი, კანევსკი და დიაჩენკო.

გარდა ამისა სასტიკი საყვედური გაფრთხილებით გამოეცხადა ამხანაგებს: პეტუხოვს, სტოლევსკის, ალექსანდროვს, სოლოვიოვს, კოგანოვიჩს და გრუშევსკის. (ადს).

იწონებენ პარტიის ხაზს

ლენინგრადი, 15 ოქტომბერი. „კრასნი პუტილოვეცის“ ყველა სამქრო უჯრედების პლენუმზე მიღებულია რეზოლუციები, რომლებიც მთლიანათ იწონებენ ცენტრ. საკონტროლო კომისიის დადგენილებას პრეობრაჟენსკის, სერებრიაკოვის და შაროვის პარტიიდან გამორიცხვის შესახებ. რეზოლუციები იწონებენ აგრეთვე ლენინგრადის საგუბერნიო საკონტროლო კომისიის დადგენილებას პარტიიდან ფრაქციონერთა ჯგუფის გამორიცხვის შესახებ. (ადს).

შორდებიან ოპოზიციას

ლენინგრადი, 15 ოქტომბერი. „ლენინგრადსკაია პრავდაში“ დაბეჭდილია ყოფ. ოპოზიციონერების ამხ. ჟურკოვის (ლითონის ქარხანა) და პოტაპოვის წერილები. აღნიშნული ამხანაგები აცხადებენ, რომ შორდებიან ოპოზიციას და ხსნიან თავის ხელმოწერას 83-ს განცხადებიდან. (ადს).

—:—

ერევანი, 15 ოქტომბერი. სომხეთის კომპარტიის კარაკლისის ორგანიზაციის 12 ოპოზიციონერმა: ბეჟანიანმა, აბაჯიევმა, ჩიკვაიძემ, თუმასიანმა და სხვებმა სომხეთის კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში შეიტანეს განცხადება, რომ სტოვებენ ოპოზიციას. ისინი ხსნიან თავიანთ ხელმოწერას 83-ის განცხადებაზე, გმობენ ტროცკისტული ოპოზიციის გამთიშავ ფრაქციულ მუშაობას, ოპოზიციის მუშაობას აცხადებენ ანტილენინურ მოქმედებად და აღუთქვამენ პარტიას მთლიანი ფრონტით იბრძოლონ ოპოზიციის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობს გამოიწვიოს გათიშვა და დეზორგანიზაცია პარტიაში (ადს).

ლენინის რაიონის მე-8-ე პარტკონფერენცია

პირველი სხდომა

კონფერენციის გახსნა

გუშინ პლეხანოვის სახელობის კლუბში გაიხსნა ლენინის რაიონის მე-8 პარტიული კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო 270 დელეგატი. კონფერენციას ხსნის კომპარტიის ლენინის რაიკომის მდივანი ამხ. ფანცულაია, რომლის წინადადებით კონფერენციამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ამხ. ლადო ქავთარაძის და სხვა კომუნართა ხსოვნას.

კონფერენციის მიერ მიღებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი: 1. შინაპარტიულ მდგომარეობაზე, 2. რაიონულ კომიტეტის ანგარიში და კომკავშირის თანამოხსენება, 3. სარევ. კომ. მოხსენება, 4. გზების მდგომარეობა და საკითხები რაციონალიზაციის და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შესახებ, 5. რაიკომის არჩევნები და დელეგატების არჩევა საქალაქო კონფერენციაზე.

კონფერენციის მიერ **საქმიან პრეზიდიუმში** ერთხმად არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: **რთველაძე გ., ლოლობერიძე ლ., გელაშვილი ი., ატრიევი ი., კაჩეტკოვი ი., ქავთარაძე გ., თაქთაქიშვილი მ., ლუბულური დ., განკმანი კ., ფანცულაია დ., ხვანიძე ნიკ., კახიანი, ქართველიშვილი ლ., ჟორჟოლაძე ი., ახრიბეკოვი, ქართველიშვილი მაქ., ელიაშვილი, ზაქრაძე, ლელაშვილი, ქორიძე, ჩიჩიევ, ხაბაშვილი, სულავა კ., გეგეშიძე ფეოდოსია, არეშინი, პერუშინი, კალიწლია, ივანოვი, ვაშაკიძე, აკიმოვი, გარიშვილი, ზარამიძე ვლასი, მაკაროვი, ვარლამოვი, ვასილიევი, გუდავაძე მაქს.**; სამდივნოში: **ხუბოვი, ბარსუკოვა, ლოდკინი, ვარლამოვი ევგ., თოფურიძე, ბახტაძე, ანდრიანოვი, კლემენტიევი**; სამანდატო კომისიაში: **როსტიაშვილი, თავზაძე, ჩიხრაძე, ლიტუხინი, მასლოვსკი, კლდიაშვილი, მონტინი, გიორგაძე, ჟიგალცოვი**; საპატიო პრეზიდიუმში: **პოლიტბიუროს წევრთა მთელი შემადგენლობა, ამხ. ორჯონიკიძე, ცხაკაია, მახარაძე, ორახელაშვილი, ნაზარეტიანი, ელიავა.**

პირველი საკითხის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. **კახიანი.** მის გამოსვლას კონფერენციამ მქუხარე ტაშით შეეგება. (ამხ. კახიანის მოხსენება მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ უახლოეს ნომერში).

მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 13-მდე ამხანაგმა. მათ შორის: ამხ. **სარდლიშვილმა, სადაგიშვილმა, ბუიცევმა, ვარლამოვმა, რთველაძემ, მამისარაშვილმა., მალოტინმა** და სხვ.. ამხ. სარდლიშვილი შეეხო რა თავის სიტყვაში ოპოზიციონერთა გამხრწნელ მუშაობას, აღნიშნა, რომ ფრაქციონული მუშაობა იმ გართულებულ მომენტში, რომელშიაც პარტიას უხდება მუშაობა, დამღუპველია. ამასთანავე იგი დასძენს, რომ ეს ამხანაგები გამოდიან უპარტიო მასაში და ავრცელებენ ყოველგვარ ანტიპარტიულ პროვოკაციას. ამხ. ვარლამოვმა ხაზგასმით მოითხოვა ოპოზიციონერების მიმართ უსასტიკესი ზომების მიღება.

ამხ. მამისარაშვილი აღნიშნავდა, რომ ოპოზიცია წარმოებაში ეწევა აგიტაციას იმ მიზნით, რათა თავის მხარეზე გადაიყვანოს მუშები—ის მოუწოდებს მუშებს არ გაჰყვენ ფრაზებს, რადგან ოპოზიციის ხაზი შემცდარია. აღსანიშნავია, რომ კამათში გამოვიდა ოპოზიციონერი მჭედლიშვილი, რომელიც ჩვეულებისამებრ შეეცადა ვითომდა ოპოზიციონურ ხაზის დაცვას და არაფერი საკითხზე არსებითად არ სთქვა.

კამათის დამთავრების შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. კახიანი, რომელმაც, როგორც შეკითხვებზე, ისე მოკამათეებს გასცა სათანადო დამაკმაყოფილებელი პასუხი. დასასრულს კონფერენციის მიერ ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი

რეზოლუცია

„მოისმინა რა ამხ. კახიანის მოხსენება შინაპარტიულ მდგომარეობის შესახებ, ლენინის რაიონის მე-8 კონფერენცია მთლიანად და სავსებით იწონებს პარტიის ხაზს საერთაშორისო და შინაურ პოლიტიკის საკითხებში—კონფერენციას სწორად მიაჩნია ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის მიერ აღებული ხაზი ოპოზიციონურ ბლოკის წინააღმდეგ, რომელიც აწარმოებს პარტიაში გამთიშველ დეზორგანიზატორულ მუშაობას. კონფერენცია გაუგონარ დანაშაულად სთვლის ოპოზიციის მუშაობას, რომელიც გამოიხატა არალეგალურ ანტიპარტიულ და ანტისაბჭოთა საქმიანობაში. კონფერენციას სრულიად სამართლიანად მიაჩნია არალეგალურ სტამბის ორგანიზატორების—პრეობრაჟენსკის, სერებრიაკოვის და შაროვის პარტიიდან გარიცხვა და მოითხოვს ხელმძღვანელ პარტორგანოებისაგან, რომ შემდეგშიაც გატარებულ იქნას მტკიცე, გაუხრელი ხაზი ამ მიმართულებით და ლენინის პარტიისა რიგებიდან გაძევებულ იქნან ყველა ანტიპარტიული და ანტიბოლშევიკური ელემენტები, რათა დაცულ იქნას პარტიის ურყევი მთლიანობა და რკინისებური დისციპლინა. კონფერენციის აზრით, ოპოზიციასთან საბრძოლველად ამჟამად სხვა მეთოდები და საშუალებები არ არსებობს, იმ მიზნით, რათა დაეცვა მთლიანობა, პარტიამ ამოსწურა ოპოზიციაზე ზეგავლენის ყველა მეთოდები, მაგრამ რაც დრო გადის, ოპოზიციის მოქმედება პარტიის წინააღმდეგ სულ უფრო და უფრო უტიფარი ხდება. ოპოზიცია ხდგება პარტიის პირდაპირი გათიშვას, ორი პარტიის შექმნის და ამით ლენინის პარტიი საფუძვლებისა და პროლეტარიატის დიქტატურის დანგრევის გზაზე. კონფერენცია კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მიღწევები, რომლებიც ჩვენ გვაქვს ამ ათი წლის განმავლობაში, წარმოადგენს პარტიის მთლიან, შეკავშირებულ დაუღალავ მუშაობის შედეგს პარტიის კოლექტიურ ბელადის—ახლანდელ ლენინურ ცეკას ხელმძღვანელობით. კონფერენცია აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმ სასტიკი ბრძოლისა, რომელსაც აწარმოებს ტროცკისტული ოპოზიცია პარტიის წინააღმდეგ 1923 წლიდან და ხელს უშლის პარტიის პრაქტიკულ მუშაობას, პარტიამ მაინც შეასრულა და ასრულებს ლენინის ანდერძს და ჩვენს ქვეყანაში დღითიდღე იზრდება და მტკიცდება სოციალისტურ ელემენტების ხვედრითი წონა. კონფერენცია აღშფოთებით აღნიშნავს ადგილობრივი ოპოზიციონერების—გუშინდელ უკლონისტების წუწუნს, პესიმიზმს და უმზგავსოებას. იმ ცილისწამების კამპანიაში, რომელსაც ისინი აწარმოებენ პარტიის წინააღმდეგ, მათ დაივიწყეს, რომ მხოლოდ გუშინ იცავდენ კულაკურ ელემენტებს და წინააღმდეგი იყვნენ ამიერ-კავკასიის ფედერაციის, ე. ი. ჭეშმარიტ ეროვნულ მშვიდობიანობის. კონფერენცია ავალებს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიას მიიღოს ყველა ზომები საქართველოს კომუნისტურ პარტიის ბოლშევიკური რიგების მთლიანობის დასაცავად და გამოუცხადოს ულმობელი ბრძოლა სოციალ-დემოკრატიულ გადახრას, რომელიც ახასიათებს ოპოზიციას, ლენინის რაიონის კონფერენცია კომუნისტურ სალამს უგზავნის საქართველოს და საბჭოთა კავშირის ყველა კომუნისტურ ორგანიზაციებს, მოუწოდებს მათ, რათა მთლიან და მჭიდროდ შეკავშირებულ რიგებით ჩაატარონ საკ. კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობის მოსამზადებელი მუშაობა და უზრუნველჰყონ სოციალისტურ მშენებლობის მორიგ ამოცანების საქმიანი განხილვა.

გაუმარჯოს საკ. კომ. პარტიის (ბ) ლენინურ ცეკას!

გაუმარჯოს ბოლშევიკურ პარტიის ლენინურ მთლიანობას!

გაუმარჯოს საკ. კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობას, რომელიც ბოლოს მოუღებს ოპოზიციის გამთიშველ მუშაობას!“

შემდეგ კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ამხ. ორჯონიკიძეს. ამით დაიხურა საღამოს პირველი სხდომა.

რა გაკეთდა და რა უნდა გაკეთდეს

მე-3 რაიონის კონფერენციის წინ

მესამე რაიონის დამახასიათებელ თავისებურებებს შეადგენს.

ა) ნაციონალური შემადგენლობის იშვიათი სხვადასხვაობა,

ბ) რაიონის ტერიტორიალური თავისებურება,

გ) და შედარებით კულტურულად ჩამორჩენილობა.

ძირითად მოსახლეებს რაიონში შეადგენენ: ქართველები, სომხები, თურქები და რუსები. უდიდეს სამეურნეო ერთეულს რაიონში წარმოადგენს ტყავტრესტი, საპონტრესტი და სხვა. ტყავტრესტი აერთიანებს 551 კაცს და საპონტრესტი—462 კაცს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ადგილი ჰქონდა მუშათა საზოგადოებრივი და პოლიტიკური აქტივობის ზრდას. ბიუროების უკანასკნელმა გადარჩევამაც ნათელი გახადა ეს გარემოება. სწორი პარტხელმძღვანელობის საშუალებით ჩვენ შევსძელით უპარტიო მასის საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმა. მაგალითად საბჭოთა არჩევნების დროს გაცხოველებით ჩატარდა ფართე მუშათა კონფერენციები.

რაიკომის და უჯრედების მიერ აღებული ხაზი ნაციონალურ საკითხში სავსებით სწორი იყო, ამიტომ ამ ნიადაგზე არასდროს არ ყოფილა რაიმე უკმაყოფილება.

პარტ. ორგან. საერთო მდგომარეობა

პარტორგანიზაციის საერთო მდგომარეობა მტკიცეა. ჩატარდა ფართე ახსნა-განმარტებითი კამპანია მე-15 პარტკონფერენციის და ც. კ. პლენუმის შედეგებზე. ჩვენი ორგანიზაცია ერთსულოვნად უარჰყოფდა ოპოზიციის შემცდარ პლატფორმას. მუშათა უჯრედები გადაჭრით მოითხოვდენ ოპოზიციონურ გამთიშველთა მიმართ უსასტიკეს ზომების მიღებას.

აღსანიშნავია რომ ჩვენს რაიონში ადგილი არ ჰქონია ოპოზიციონურ გამოსვლებს. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. და ც. საკ. კომისიის პლენუმის შედეგებზე რეზოლიუციას ყოველთვის ერთხმად იღებდენ.

საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციიდან გარიცხულია 11 კაცი, (წარსულ წელს კი—14 კ.) თავის ნებით გავიდა—8 კაცი.

თუ შევეხებით საპონ-ტრესტს, აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ პარტიის დირექტივა ფასების დაკლების შესახებ სავსებით გატარებულია. ასეთივეა საწარმოო გეგმის შესრულებაც.

ორგანიზაციის ზრდის მოწესრიგება

ორგანიზაციის ზრდისა და მისი მოწესრიგების საკითხები ყოველთვის იდგა სერიოზულ საკითხად რაიკომის წინაშე. ეს საკითხი სპეციალურად გაირჩა რაიკომის პრეზიდიუმის სხდომაზე, რაიკომის გაფართოებულ პლენუმზე უჯრედის მდივნებსა და პარტ-ორგანიზატორების თანდასწრებით და 2-ჯერ შეტანილი იყო რაიკომის მიერ უჯრედების დღის წესრიგში.

ჩატარებულ მუშაობის შედეგათ უნდა ჩაითვალოს წევრთა და კანდიდატთა შემადგენლობის გაუმჯობესება, ქალთა პროცენტის აწევა და სხვა.

რაიკონფერენციის დირექტივა მუშების 80 პროც. აყვანის შესახებ ვერ არის შესრულებული. პირიქით მუშათა პროც. კლებულობს, მიუხედავათ იმისა, რომ ახლად მიღებულთა 95.3 პროც. შეადგენენ მუშები. ეს აიხსნება იმით, რომ ჩატარდა ორგანიზაციის შემადგენლობის სოც. მდგომარეობის გადასინჯვა და ამასთან დაკავშირებით ორგანიზაციაში წევრთა მოძრაობით.

ორგანიზაციის ზრდა

1 ოქტომბრისათვის 1927 წ. ორგანიზაციაში ირიცხება 1.112 წევრი და კანდიდატი. გ. წ. ამავე თვის დასაწყისში ირიცხებოდა 1.097 კაცი. ზრდა უმნიშვნელოა იმისათვის, რომ ორგანიზაციაში შემოვიდა 209 კაცი, გავიდა სხვა ორგანიზაციაში 307. და მიღებული კი იყო ახლად 128 კაცი.

საერთო წევრთა რიცხვიდან კანდიდატებია 249 კაცი. ე. ი. 22,4 პროც. 1926 წლის 1 ოქტ. კი იყო—28 პროც. ამრიგად კანდიდატთა შემადგენლობა შედარებით გასულ წელთან საგრძნობლად შემცირებულია.

საანგარიშო პერიოდში კანდიდატობიდან წევრებათ გადარიცხულია 140 კაცი: მუშები—133—89,9 პროც.; მოსამსახურეები—14—9,4 პროც.; გლეხები—1—0,2 პროც.

ქალთა შორის მუშაობა

1927 წლის 1 ოქტ. ორგანიზაციაში ირიცხებოდა 129 ქალი, ე. ი. 11,8 პროც. გ. წ. იყო 110, ე. ი. 10 პროც. ამრიგად აქ ვხედავთ ერთგვარ წინსვლას. და ეს მაშინ, როცა ჩვენს რაიონში მუშა ქალთა რიცხვი შესამჩნევად მცირეა.

პარტ-აღწერა

განსაკუთრებული მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ უჯრედებში ჩატარდა საკავშირო პარტიული აღწერა. ყველა უჯრედები თავის დროზე გატარდენ აღწერაში და საქმეს არ ემჩნეოდა არავითარი შეფერხება.

თბილ. კომ. მიერ დანიშნულ დროზე კიდევ მაინც ვერ გატარდა აღწერაში 24 კაცი, ე. ი. 2,1 პროც. აღწერის ჩამორჩენილთა შორის 22 მუშაა. უმთავრესად ახლად მიღებულნი, რომელთაც ახასიათებდა მუშაობისადმი გულგრილობა.

ხელმძღვანელობა კომკავშირზე

კომკავშირის ზრდა რაიონში ნორმალურად უნდა ჩაითვალოს. აგვისტოსათვის კომკავშირში ირიცხებოდა 1.397 კაცი. საშუალოდ თვეში კომკავშირში შემოდის ახლად 23 კაცი. კომკავშირის ზრდა უმთავრესად მიმდინარეობს მუშათა ახალგაზრდობის ხარჯზე. პარტიული ბირთვი კომკავშირში 12,9 პროცენტიდან 13 პროცენტამდე ავიდა. უმნიშვნელო ზრდა პარტ ბირთვისა აიხსნება კომკავშირში მყოფ პარტიის წევრ და კანდიდატთა აღრიცხვიდან მოხსნის გამო და არა მით, რომ კომკავშირელების მიღება პარტიაში სუსტად მიმდინარეობდა. მომავალში მტკიცედ უნდა იქნას აღებული კურსი კომკავშირში პარტბირთვის გასაზრდელად, უმთავრესად მუშათა ახალგაზრდობის ხარჯზე. ძირითად ნაკლად კომკავშირის ხელმძღვანელობის საქმეში მიჩნეული უნდა იქნეს ის. რომ პარტ-მიმაგრებულნი სუსტი არიან და ვერ ერკვევიან კომკავშირის საკითხებში.

ვ. დევაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას

სამტრედიის რაიონული პარტკონფერენცია მხურვალედ მოგესალმებათ თქვენ, ლენინიზმის საფუძველთა ჭეშმარიტ დამცველთა და გამტარებელთ. რაიონული პარტკონფერენცია ღრმად დარწმუნებულია, რომ თქვენი უშუალო და სწორი ხელმძღვანელობით ჩვენ ვაშენებთ სოციალიზმს. სამტრედიის ორგანიზაციამ სასტიკად დაგმო გასტროლიორ ოპოზიციონერთა დემაგოგიური გამოსვლები და ის კვლავინდებურად მტკიცედ და ურყევად სდგას ლენინურ ცეკას დროშის ქვეშ ყოველგვარ წინააღმდეგობათა დასაძლევად.

გაუმარჯოს მთლიან, მონოლიტურ კომ. პარტიას!

ძირს ჩვენი პარტიის გამთიშველები!

გაუმარჯოს ლენინის გვარდიის ცენტრალურ კომიტეტს!

რაიკონფერენციის პრეზიდიუმი

შავი ზღვის ფლოტელებს

საქართველოს ლენინური კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი შავ-ზღვის წითელ ფლოტელებს საქართველოს მთელ მშრომელ ახალგაზრდობის სახელით უგზავნის მხურვალე სალამს, საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობა ომის საშიშროების საპასუხოდ ჰქმნის ინდუსტრიას, აძლიერებს ზურგს, ემზადება მომავალ ბრძოლებში მტრის მოსაგერიებლად.

კომკავშირულ შეფობის ხუთი წლის თავზე შავი ზღვის მედგარ მეზღვაურებს ჩვენ მოუწოდებთ უფრო მეტი თავგამოდებით და ენერგიით დაიცვან საბჭოთა უდიდეს ქვეყნის ზღვის ნაპირები.

საქართველოს მუშურ -გლეხური ახალგაზრდობა ლენინურ კომკავშირის ხელმძღვანელობით მუდამ მზათაა თქვენთან ერთად იბრძოლოს საბჭოთა კავშირის მტრების წინააღმდეგ.

გაუმარჯოს საბჭოთა ზღვების წითელ ფლოტელებს!

მედგრად წითელფლოტელთა გემებზე!

ფხიზლად საბჭოთა კავშირის სადარაჯოზე!

საქართველოს კომკავშირის ც. კ.

რა გვიჩვენა ბიუროების არჩევნებმა

(თბილისის მაზრა)

კომუჯრედებისა და თემკომების ბიუროების გადარჩევის კამპანია, რომელიც ტარდებოდა თბილისის კომიტეტის უშუალო და ცოცხალ ხელმძღვანელობით, თბილისის მაზრაშიაც დასრულდა. გადარჩევის დროს ადგილებზე გაგზავნილი იყვენ თბილისის კომიტეტის წარმომადგენლები. თუ ჯამს გაუკეთებთ ადგილებზე წლის განმავლობაში წარმოებულ მუშაობას, მივიღებთ შემდეგ სურათს: თბილისის ორგანიზაცია აერთიანებს 13 სათემო კომიტეტს და 4 სათემო უჯრედს, ქალაქის სარაიონო კომიტეტის გამოკლებით. გადარჩევა ჩატარდა ერთის მხრივ წარმოებულ მუშაობის თვითშემოწმებისა და მეორეს მხრივ შემდგომი მუშაობის გეგმების დასახვის ლოზუნგით.

საჭიროა აღინიშნოს, რომ კომუნისტების აქტივობა წარსულთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა.

დღის წესრიგში მდგომ საკითხების გარჩევაში უჯრედის წევრები ღებულობდენ აქტიურ მონაწილეობას და ხელს უწყობდენ ერთის მხრივ მუშაობის დეფექტების გამორკვევას და მეორეს მხრივ მუშაობის სისტემის წესიერად დაყენებას.

ზოგიერთი სოფლის უჯრედები წარსულში მოიკოჭლებდენ პოლიტიკურ მომზადების მხრივ, რის გამოც სწორად ვერ ითვისებდენ მაღლამდგომ პარტორგანოების დირექტივებს, გადაწყვეტილებებსა და დადგენილებებს. საანგარიშო პერიოდში კი გვაქვს სრულიად საწინააღმდეგო სურათი, თუ პერსონალურად არ შევეხებით უჯრედების ზოგიერთ წევრებს, რომლებმაც თეორიულად ბევრი რამეს შეთვისება ვერ შესძლეს, მაგრამ ერკვევიან პარტიულ ცხოვრების საკითხებში.

შეცდომა იქნებოდა, რომ არ აღგვენიშნა მუშაობის მტკივნეული მხარეებიც. პარტიის დირექტივებისა და გადაწყვეტილებების დამუშავება და შესწავლა ხდებოდა უჯრედების კრებებზე. ზოგიერთი უჯრედები აწარმოებდენ იმის შემოწმებას, თუ რამდენად ითვისებდენ ამხანაგები პარტიის დირექტივებს, რისთვისაც პერსონალურად ავალებდენ მათ ამა თუ იმ მასალის დამუშავებას.

ამას ძლიერ უწყობდა ხელს პოლიტწრის სტაციონალური სკოლები. არის ისეთი შემთხვევა, რომ წერაკითხვის არამცოდნე პარტიის წევრმა (მანგლისში) მიიპყრო მთელი უჯრედის ყურადღება მით, რომ სწორათ ერკვეოდა შინაპარტიულ ცხვრების საკითხებში, საქმიანად უდგებოდა და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა დღის წესრიგში მდგომ საკითხების გარჩევაში.

შეიძლება ითქვას, რომ თბილისის მაზრაში კომუნისტების 90 პროც. პოლიტიკურად შეგნებულია და ერკვევა საბჭოთა და პარტიულ ცხოვრების საკითხებში. მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციის გამოსვლას არსად არ ქონია ადგილი, ჩვენი სათემო ორგანიზაციები ერთსულოვნად მიემხრენ ლენინის პარტიის მთლიანობას და მის სწორ ხაზს და ბრძოლა გამოუცხადეს ლენინიზმის დამახინჯებას.

უჯრედები და თემკომები საკმაო ყურადღებას აქცევდენ ღარიბ მოსახლეობაში მუშაობას, მათ სწორა ჰქონდათ შეთვისებული პარტიის როლი და ამოცანები ამ დარგში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ დარგში მაინც არსებობს დეფექტები მეთოდების გაურკვევლობის მხრივ, რის გამოც ზოგიერთ ადგილებში ჩამოყალიბებული არ არის ღარიბ მოსახლეობის ჯგუფები.

აქტივისტების საკმაო კადრის არ არსებობის გამო მოიკოჭლებს აღმზრდელობითი მუშაობა უჯრედების შიგნით. ამის გამო ზოგიერთ ადგილებში დისციპლინა სათანადო სიმაღლეზე ვერ სდგას. კომპარტიის თემკომები კარგად ხელმძღვანელობენ კომკავშირის თემკომებს, მაგრამ ასეთსავე სურათს ვერ ვხედავთ ქვედა საფეხურის უჯრედებში. კომკავშირის უჯრედებზე მიმაგრებული პარტიული ამხანაგები ყოველთვის არ ესწრებიან კომკავშირის უჯრედების კრებებს. ადგილი აქვს ისეთ მოვლენასაც, როდესაც კომკავშირის უჯრედებზე ამაგრებენ ისეთ პარტიულ ამხანაგებს, რომლებსაც თავის დაბალ პოლიტმომზადების გამო არ შეძლიათ წესიერი ხელმძღვანელობა გაუწიონ კომკავშირის უჯრედებს. მიმაგრების ასეთი მეთოდები სათემო პარტორგანიზაციებმა უნდა უარჰყონ. ზოგიერთ ადგილებში მოიკოჭლებს მუშაობა გლეხებს შორის, რაც აიხსნება პარტუჯრედების ხელმძღვანელობის სისუსტით და აგრეთვე მით, რომ არ არსებობს აქტივისტ კომუნისტ - ქალების კადრი.

საარჩევნო კრებებზე ესწრებოდა პარტიულ ამხანაგების საკმაო პროცენტი. კომუჯრედებისა და თემკომების ბიუროების შემადგენლობის შერჩევის დროს, მთელი პარტიული ორგანიზაცია საკითხს უდგებოდა საქმიანი თვალსაზრისით და დეტალურად არჩევდა თვითეულ კანდიდატურას. კანდიდატებს ასახელებდა თითონ კრება და ირჩევდა მათ პერსონალური ხმის მიცემით. უჯრედების და თემკომების ბიუროების შემადგენლობა განახლებულია 50 პროცენტით. ზოგიერთ ადგილებში კი — 60 პრ.

დასასრულ საჭიროა აღინიშნოს, რომ თბილისის მაზრის ორგანიზაციაში გაიზარდა მუშების, მოჯამაგირეების და ღარიბ გლეხების რიცხვი. მაზრაში ჩატარებულმა გადარჩევის კამპანიამ გამოარკვია, რომ პარტიის პოლიტიკა სოფლად შეთვისებულია სწორათ და არავითარ დამახინჯებას ადგილი არა აქვს. საარჩევნო კრებებზე გამორკვეული დეფექტები გამოსწორდება შემდგომი მუშაობის პროცესში და ის პრაქტიკული წინადადებები, რომლებიც მიღებული იყო საანგარიშო მოხსენებების გამო, საფუძვლად დაედება შემდგომ მუშაობას.

ს. თარხანოვი.

პარტკონფერენციები მაზრებში

გურიის ორგანიზაციების ნაკლი და მიღწევები

უკანასკნელ ხანებამდე კონფერენციები ჩატარებული იქმნა 21 თემში იმ მიზნით, რომ პარტიის ფართე მასას აქტიური მონაწილეობა მიეღო სოფლათ მუშაობის საჭირბოროტო საკითხების გარკვევაში. სათემო კონფერენციის უფლებით იმართებოდა ყველგან საერთო სათემო პარტიული კრება.

კონფერენციები ყველგან აქტიურათ მიმდინარეობდა, იყო მრავალი შეკითხვები და კამათი, პარტ-ამხანაგები ამხანაგური კრიტიკით აფასებდენ მიღწევებს და აშკარათ აღიარებდენ იმ დეფექტებს, რომელსაც ჯერ კიდევ აქა იქ ადგილი აქვს სათემო პარტიულ ორგანიზაციების მუშაობაში. კონფერენციებზე უმთავრესად გამოირკვა: ა) ორგანიზაციული იდეური მთლიანობა პარტიული ორგანიზაციების შინაპარტიული ბრძოლის დროს, ბ) ადგილობრივი ხასიათის ინტრიგა - კინკლაობის აღმოფხვრა, გ) პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერება ბანკების, კოოპერატივის, და საბჭოების მუშაობაზე. დ) მენშევიზმის ნაშთების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა და ყოფილ მენშევიკთა შორის მუშაობის გაძლიერება.

კონფერენციებზე აგრეთვე აღნიშნავდენ მუშაობის სუსტ მხარეებს, ამ შემთხვევაში ამხანაგები უფრო აქტივობას იჩენდნენ. ყველა გაიძახოდა, „მიღწევები გვაქვს, რაც კარგია ჩვენია, ნაკლი არ უნდა დავმალოთ“. სუსტ მხარეებათ მიჩნეული იქმნა: ა) ღარიბ გლეხთა შორის სუსტი მუშაობა; ბ) ქალთა სადელეგატო პუნქტებზე, კომკავშირის ორგანიზაციაზე და საერთო ნებაყოფლობით ორგანიზაციებზე სუსტი ხელმძღვანელობა, გ) უჯრედის ბიუროებში მუშაობის გაუნაწილებლობა და საერთოდ მათი სუსტი მუშაობა, დ) სასოფლო-სამეურნეო ბანკებიდან მიზნობრივ სესხების მოხმარებაზე სუსტი კონტროლი და სხვა.

ახლო ხანში დასრულდება სხვა თემებშიც პარტიული კონფერენციები, რომლის შემდეგ 25 ოქტომბრისათვის მოწვეულია სამაზრო პარტიული კონფერენცია, რომელიც ჯამს გაუკეთებს გურიის ორგანიზაციის ერთი წლის მუშაობას და ყოველგვარ მერყეობის და მჟღერალა ფრაზების გარეშე განსაზღვრავს გურიის ორგანიზაციის მორიგ ამოცანას.

ს. თ—ძე.

როგორ ჩავატარეთ საერთო პარტკონფერენცია

ვიდრე კონფერენციების ჩატარებას შევუდგებოდა, სამაზრო კომიტეტმა რამდენიმე კვირეები მოანდომა მოსამზადებელი მუშაობას. ადგილებს წინასწარ მისცა წერილობითი დირექტივები, მოწვეულ იქნა აგრეთვე მაზრიდან—თემკომებზე მიმაგრებულ ამხანაგების თათბირი და სხვა. მიმაგრებული ამხანაგები ადგილებზე რჩებოდენ რამდენიმე დღეობით და სამკომის დირექტივების თანახმად თემკომის მდივნებთან და კომიტეტთან შეთანხმებით აწარმოებდენ მოსამზადებელ მუშაობას.

თემის პარტკონფერენციები მიმდინარეობდა 25 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე. კონფერენციების დღისთვის ადგილებზე მივლინებულ იქნენ პ-მგებელი ამხანაგები.

რა ამოცანების ნიშნის ქვეშ ტარდებოდა კონფერენციები?

ოპოზიციასთან იდეური ბრძოლის, პარტდირექტივების გატარების შემოწმების, პარტორგანიზაციების იდეური ზრდა და აღმზრდელობითი მუშაობის შედეგების გამოკვლევის, პარტაღმზრდელობითი და პარტორგანიზაციული მუშაობის ყველა დეფექტების აღრიცხვის ნიშნის ქვეშ.

კონფერენციების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მთელი მაზრის პარტორგანიზაცია მთლიანად სდგას ლენინურ ცეკას გვერდით.

თემის წარსულ კონფერენციის მითითებანი უმთავრესად გატარებული აღმოჩნდა, ასევე შეიძლება ითქვას პარტდირექტივების შესახებაც. კონფერენციებიდან გამოირკვა, რომ ორგანიზაცია მტკიცედ სდგას თავის სადარაჯოზე, გამოირკვა ისიც, რომ წარსულ წლებთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესებულია პარტიული მასის პოლიტიკური და კულტურული მომზადება.

ვ. ხატიაშვილი.

ამხ. კ. კომახიძის ხსოვნას

უნივერსიტეტის პოლიტეხნიკუმის ფაკულტეტის სტუდენტობას კიდევ გამოაკლდა რიგებიდან აქტიური ამხანაგი, სტუდენტთა ორგანიზაციების ჭირში და ლხინში მოამაგე ამხ. კ. კომახიძე. ის დაიბადა 1908 წელს ქალ. სამტრედიაში, რკინისგზელ მუშის ოჯახში. პირველდაწყებითი სწავლა მიიღო ქალ. სამტრედიის უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში, რის შემდეგ იქავე დაამთავრა ქალ-ვაჟთა გიმნაზია. სწავლის დროს მუშაობდა აგურის ქარხნებში. 1922 წელში ამხ. კომახიძე შევიდა სახელმწიფო უნივერსიტეტში. ოთხი წელია, რაც ამხ. კომახიძე მუშაობს სტუდენტთა პროფესიონალურ ორგანიზაციებში. არის პროფკომის სამეცნიერო ტეხნიკური წრის გამგეობის წევრი, ფაკულტეტის საბჭოს წევრი და აგრეთვე პროფკომის მდივანი.

1927 წლის საბჭოთა არჩევნების დროს, ის, როგორც მუშა, არჩეულია ქალაქის საბჭოს წევრად და მუშაობს ქალაქის კეთილმოწყობის განყოფილებაში. მან მთელი მისი ახალგაზრდობა შესწირა ღარიბეს სტუდენტობის სამსახურს.

მტკიცე ნებისყოფის. მტკიცე სიტყვის, გაკაჟებული ნერვების პატრონი, პირმომღიმარი, მხიარული და მუდამ საქმიანი, ასეთი იყო კოწია.

ამოდენა შრომამ, შეარყია ამხანაგის ჯანმრთელობა და უდროოდ გამოასალმა ის წუთისოფელს. ამხ. კოწია, ეს სიცოცხლის ცეცხლი... სამუდამოდ გულზე მიიკრა ცივმა სამარემ, მოგვშორდა ფიზიკურად, მაგრამ მისი ხსოვნა მის თანამოსწავლე სტუდენტობას შორის მუდამ დაუვიწყარი იქნება.

ამხანაგების დავალებით გ. მელუა.

საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

ჩვენი წითელი არმია და კაპიტალისტური ქვეყნების ჯარები

არმიები ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოებში ამგვარად ეწყობა:

ყოველწლიურად, ჩვეულებრივ შემოდგომაზე, სწარმოებს ახალ - გაზრდების მორიგი გაწვევა. გაწვეულებს ანაწილებენ სამხედრო ერთეულებში, რის შემდეგ ისინი იგზავნებიან ყაზარმებში.

ყაზარმებში ოფიცრები მათ ასწავლიან სამხედრო საქმეს; სწავლა გრძელდება ორი წელიწადი.

ეს ოფიცრები არიან თავადაზნაურთა წოდების ან ბურჟუაზიული კლასის შვილები, რომელნიც ერთგულად ემსახურებიან თავიანთ კაპიტალისტურ მთავრობებს. ოფიცრების ცდა იქითკენ არის მიმართული, რომ ჯარის კაცებში სავსებით ჩაჰკლან „ცოცხალი სული“ და გადააქციონ ისინი თავიანთი ბრძანების ბრმა აღმასრულებლად. ოფიცრებს ამ საქმეში ეხმარებიან ბურჟუაზიული გაზეთები, წიგნები ჯარისკაცებისათვის, ქსენძები და პასტორები (ყოველ ლეგიონში არის მღვდელი, როგორც ეს იყო ჩვენში მეფის დროს).

საბჭოთა კავშირში კი არმია ამგვარად ეწყობა: საბჭოთა მთავრობა ყოველწლიურად იწვევს ახალგაზრდათა მორიგ ჰასაკს (მაგალითად, შარშან გაიწვიეს 1904 წელში დაბადებულები, წელს კი - 1905 წელში დაბადებულები), გაწვეულთა ნაწილი ჩაირიცხება ტერიტორიალურ ჯარში, ნაწილი კი საკადრო ერთეულებში.

საკადრო ნაწილში მისვლისთანავე ყოველი ახალგაზრდა წითელ - არმიელი იღებს საწოლს, თოფს, ტანისაცმელს; აქ იგი ორი წლის განმავლობაში სწავლობს სამხედრო საქმეს) ფლოტსა და ავიაციაში ეს ვადა მეტია, ვინაიდან იქ სწავლა უფრო ძნელია).

განსხვავება ჩვენი საკადრო არმიისა და კაპიტალისტურ არმიებს შორის მდგომარეობს იმაში, რომ იქ სამხედრო სწავლებასა და აღზრდის საქმე თავადაზნაურთა წოდების და ბურჟუაზიული კლასის მონა-მორჩილია და მათ ერთგულ დამცველთა ხელშია: ჩვენში კი ამ საქმეს სათავეში უდგანან წითელი მეთაურები, რომელნიც ისეთივე მუშები და გლეხები არიან, როგორც თითონ წითელ-არმიელები. ჩვენში ყოველ წითელ არმიელს, თუ კი მოისურვებს, შეუძლია ისწავლოს და გახდეს წითელი მეთაური. კაპიტალისტურ არმიებში კი მხოლოდ თავადებს, აზნაურებს, ჩინოვნიკებს, ვაჭრეს და მდიდრებს შეუძლიათ დაიჭირონ უფროსის თანამდებობა.

ჩვენში, წითელ ყაზარმაში, მეთაურნი და პოლიტმუშაკები წითელ არმიელს ასწავლიან იმას, თუ როგორ უნდა იბრძოლონ მშრომელთა მტრების—კაპიტალისტებისა და მემამულეებისა—წინააღმდეგ; კაპიტალისტურ ქვეყნებში კი არმიას აწყობენ და რაზმავენ მშრომელთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ჩვენი საკადრო ნაწილის წითელ არმიელი ორი წელიწადი რჩება ყაზარმაში და ამ ხნის განმავლობაში იგი განუწყვეტლივ სწავლობს სამხედრო საქმეს.

ჯარისკაცი კაპიტალისტურ არმიაში ყოველგვარ უფლებას მოკლებული ადამიანია. ჩვენი წითელ არმიელი კი მეცადინეობის გარეშე (კლუბში, თეატრში ან სხვაგან) არის ისეთივე თავისუფალი და უფლება-მოსილი მოქალაქე, როგორც ყველა მშრომელი. წითელ არმიელებს აქვთ უფლება მიიღონ მონაწილეობა საბჭოების არჩევნებში, აქვთ აგრეთვე უფლება არჩეულ იქნან საბჭოს წევრებად. ყველა ჩვენს ყრილობაზე მონაწილეობას იღებენ წითელ არმიელთა დელეგატები.

ბ. ზ.

ავიაცია თანამედროვე ომში

გამანადგურებლები

ბრძოლის დროს ყველა თვითმფრინავები არ ასრულებენ ერთდაიმავეს სამუშაოს. ყოველი ტიპის თვითმფრინავს ეძლევა შესასრულებლად განსაკუთრებული საბრძოლო ამოცანა. ისევე განსხვავდება სხვადასხვა ტიპის თვითმფრინავების მოქმედება ბრძოლაში, როგორც განსხვავდება მაგ. სხვადასხვა საომარ გემების მუშაობა ზღვაზე.

ბრძოლის დროს ჰაერის დაცვა მტრის თვითმფრინავებისაგან მინდობილი აქვთ ე. წ. გამანადგურებლებსა. გამანადგურებელი—თვითმფრინავია, რომლის დანიშნულებას შეადგენს მხოლოდ საჰაერო ბრძოლა. გამანადგურებლებმა უნდა გასწმინდონ ცა მტრისაგან, გაჰფანტონ ან გაანადგურონ იგი და ამითი შექმნან კარგი პირობები ჩვენი თვითმფრინავების მოქმედებისათვის.

იმ დროს, როდესაც ჩვენი თვითმფრინავები აწარმოებენ ძიებას, ან ეხმარებიან არტილერიას ამა თუ იმ მიზნის აღმოჩენაში, გამანადგურებლები თავისი ცეცხლით იცავენ მათ და თვალყურს ადევნებენ, რომ ჰაერიდან არავინ არ შეუშალოს მათ ხელი თავის მუშაობის ასრულებაში.



თანამედროვე გამანადგურებელი

აქედან სჩანს, რომ გამანადგურებლების მუშაობა ძალიან ძნელია და სახიფათო. ამიტომ, გამანადგურებლებზე ინიშნებიან ყოველთვის გამოცდილი, უშიშარი და მამაცი მფრინავები.

გამანადგურებელი, დაინახავს თუ არა მტერს, უნდა დაედევნოს მას და მოსპოს იგი, რითაც არ უნდა დაუჯდეს ეს. გამანადგურებელი უნდა მოძრაობდეს ელვის სისწრაფით, თუ მტრის თვითმფრინავი ეცდება უკან დახევას,, ან გაქცევას. გამანადგურებელმა უნდა გადაუჭრას გზა, იაძულოს იგი დაეშვას მიწაზე. ამისათვის გამანადგურებელს უნდა ჰქონდეს სწრაფი მოძრაობის და მიბრუნება-მობრუნების უნარი. ჰაერში გამანადგურებელმა უნდა შესძლოს გამოსვლა ყოველივე მდგომარეობიდან, როგორშიაც არ უნდა ჩააყენოს იგი მტერმა. მფრინავიც (პილოტი) ისე უნდა გრძნობდეს თავს ჰაერში, როგორც თევზი წყალში“.

თანამედროვე გამანადგურებლებს კიდევაც შესწევთ ამის უნარი. მათი სისწრაფე გამოიხატება 250 კილომეტრში ერთ საათში 5—6 წუთის განმავლობაში მათ შეუძლიათ აფრინდნენ 8000 მეტრის სიმაღლეზე. საერთოდ მათ შეუძლიათ ასვლა 8.000 მეტრის სიმაღლეზე.

ყოველ გამანდგურებელს თან აქვს ორი ტყვიამფრქვევი: ერთი ისვრის წინ, მეორე უკან. საჭიროების მიხედვით ორ ტყვიამფრქვევს დაემატება კიდევ ორი ტყვიამფრქვევი.

გამანადგურებელი, დაინახავს თუ არა მტრის თვითმფრინავს, ცდილობს უეცრივ დაესხას თავს და ტყვიამფრქვევის ცეცხლით დახცეს იგი მიწაზედ. თუ მტერმა შეამჩნია იგი დროზე, მაშინ იწყება „ცეკვა ჰაერში“. თვითეული მებრძოლი ცდილობს მოექცეს ხელსაყრელ მდგომარეობაში, რომ მოწინააღმდეგემ ვერ შესძლოს აიცდინოს ტყვიამფრქვევის ცეცხლი.

მძიმეა საჰაერო ბრძოლა და იგი მოითხოვს თავგანწირვას. სამოქალაქო ომის დროს ბევრმა მფრინავმა (პილოტმა) გაითქვა სახელი თავისი სიმამაცით. გამანადგურებლების საშუალებით არა თუ სწარმოებდა ბრძოლა მარტო საჰერო მტერთან, ხშირ შემთხვევაში გამანადგურებლის ტყვიამფრქვევების ცეცხლით შესაძლებელი იყო მიწაზე მყოფ მოწინააღმდეგის ძალების დაზიანებაც.

ე. გ—ლი.

1905 წელში დაბადებულთა გაწვევა

გორის მაზრა

1905 წ. დაბადებულთა წითელ ჯარში გაწვევა წარმატებით ჩატარდა. გამწვევმა კომისიამ თავისი მუშაობა დაიწყო ა. წ. 1-ლ სექტემბერს, მუშაობდა მხოლოდ ერთი გამწვევი კომისია. მიუხედავად მაზრის სიდიდისა გამწვევმა კომისიამ 34 დღის განმავლობაში თავის დაუღალავი და ენერგიული მუშაობით შესძლო გაეტარებია კომისიაში მაზრის მთელი ის ახალგაზრდობა, რომელთაც წელს უწევდათ გაწვევა და რომელნიც ჩამორჩენილნი იყვნენ გასულ წლის გაწვევას ამა თუ იმ მიზეზების გამო.

კომისიას მოუხდა მუშაობა სამ გასაწვევ რაიონში: ქ. გორში, ხაშურში და ბორჯომში, რომ მაზრიდან მოშორებულ თემების ახალგაზრდობას მისცემოდა თავის დროზე გამოცხადების და სამგზავრო ხარჯების შემცირების საშუალება.

გასაწვევ პუნქტზე მოწყობილი იყო წითელი კუთხე პლაკატებით, ლოზუნგებით და ჟურნალ - გაზეთებით. მიმდინარეობდა ახალ წვეულთა შორის სათანადო კულტურული მუშაობა.

კომისია დიდ ყურადღებას აქცევდა შეღავათების მინიჭების საქმეს, აძლევდა რჩევა - დარიგებას ყველა ამ ახალწვეულებს, რომელთაც ეკუთვნოდათ შეღავათი ოჯახის მდგომარეობის გამო დღემდე არ წარადგინათ კომისიას საშეღავათო მოწმობები.

მთავარი ყურადღება ექცეოდა ახალწვეულთა ჯანმრთელობის და მათი ჯარისათვის ვარგისობის საქმეს.

გასაწვევ პუნქტზე სოფლის ახალგაზრდობა ცხადდებოდა ორგანიზაციულად, დროშებით ხელში, თან მოჰყავდათ დაფი-ზურნა, მართავდენ ცეკვა - თამაშს, სიმღერას და სხვა.

ხშირი იყო შემთხვევა როცა ახალწვეულთა გულ - ახდილად აცხადებდა წითელ-არმიაში წასვლის სურვილს და სთხოვდა მომდევ კომისიას, რომ არ დაეტოვათ იგი ჯარის გარეშე. იყო აგრეთვე შემთხვევა, როცა ახალწვეული არ თხოულობდა ამავე მიზნით ოჯახურ მდგომარეობის გამო შეღავათების მინიჭებას, მიუხედავად იმისა, რომ მას ეკუთვნოდა ასეთი.

ი. ჯავახი.

მზადება ახალწვეულთა შესახვედრად

(№ ქართ. მსრ. ლეგიონი)

10 ნოემბრიდან 20 ნოემბრამდე ჩვენი ნაწილი შევსებული იქნება ახალ წვეულებით. ამ გარემოებას ნაწილის მთელი შემადგენლობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. უკვე მიმდინარეობს სამზადისი ამ მხრივ. დაწყებულია ყაზარმის შეკეთება, ასეულების ყველა ლენ. კუთხეები, კლუბი და ბიბლიოთეკა მორთულ იქნება სათანადო ლოზუნგებით, პლაკატებით, დიაგრამებით, სქემებით, და სხვა ბიბლიოთეკის მიერ სწარმოებს ლიტერატურის შერჩევა ახალ წვეულთათვის კედლის გაზეთებში სისტემატიურად მოთავსებული იქნება წერილები ახალწვეულთათვის საინტერესო საკითხებზე.

ნაწილი თავის ახალწვეულებს შეხვდება რკინის გზის სადგურებზე, სადაც გაიმართება მიტინგი, ჯეროვანი ყურადღება აქვს მიქცეული კარანტინის წესიერად მოწყობას. აქ ჩატარებულ იქნება ახალწვეულთა შორის საუბრები შემდეგ თემებზე: წითელი არმიის სტრუქტურა, შეიარაღება, ყაზარმა, საერთაშორისო მდგომარეობა, რევოლიუციონური დისციპლინის მნიშვნელობა, ნაწილის ისტორია და სხვა.

კარანტინი უზრუნველყოფილი იქნება აგრეთვე ჟურნალ გაზეთებით და წიგნებით. კლუბის მიერ სწარმოებს მუშაობა შესახვედრ საღამოს მოსაწყობად, რომელიც გამართული იქნება ახალ წვეულთა კარანტინიდან გამოსვლისთანავე, საღამოს ჩატარებაში მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციები. ნაწილის პარტორგანიზაცია თავის მხრივ ემზადება ახალ წვეულთა შესახვედრად. გამომუშავებულია როგორც შეხვედრის, ისე პირველი პერიოდის სამეცადინო გეგმა.

დ. ლომაძე.

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებაში

სამხრეთ - ოსეთის ორგანიზაცია

სამხრეთ ოსეთში ამ ჟამად ითვლება თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების 30 უჯრედი, რომელიც აერთიანებს 1084 წევრს. წევრთა შემადგენლობა ასეთია: გლეხი—30 პროც., მოსამსახურე—30 პროც., მოწაფე—30 პროცენტი; წევრთა პარტიული მიმართულება—პარტიის წევრი და კანდიდატი—15 პროც., კომკავშირელნი—30 პროც., უპარტიონი 55 პროცენტი. წევრთა შორის მამაკაცნი—85 პროც., ქალები—15 პროცენტი.

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების მუშაობა სამხრეთ ოსეთში მჭიდროთ არის დაკავშირებული № ქართ. მსრ. ლეგიონის მესამე ასეულთან, რომელიც დაბანაკებულია ქ. ცხინვალში. კავშირი გამოიხატება კამპანიების ერთად ჩატარებაში და ყოველდღიურ მუშაობის წარმოებაში.

ორგანიზაციას აქვს დამყარებული კავშირი ქ. ცხინვალის ყველა პარტიულ, პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაცია-დაწესებულებებთან. ეს უკანასკნელნი შეძლებისდაგვარათ უწევენ ყოველგვარ დახმარებას თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციას.

ორგანიზაციის პრაქტიკული მუშაობა გამოიხატება შემდეგში: მოწყობილია თავდაცვა-ავიაქიმის კუთხე, სადაც თავმოყრილია მრავალი თვალსაჩინო მასალა და ლიტერატურა, არსებობს სასროლო, სამოდელო და სამხედრო ცოდნათა წრეები, მოწყობილია „ტირი“, რომელიც მუშაობს ჩინებულად, შემდგარია ავიაქიმრაზმი, სადაც ისწავლება სამხედრო საქმე და გაზებისაგან დაზარალებულთა მოვლა. მოკლე ხანში დაიწყებს მუშაობას ქალთა სანიტარული წრე, რომლის ჩამოყალიბებაში ორგანიზაციას გაუწიეს დიდი დახმარება ოსეთის ჯან. სახ. კომისარიატმა და წითელმა ჯვარმა.

ორგანიზაციის მიღწევად უნდა ჩაითვალოს თვითმფრინავების დასაშვები მოედნის მოწყობა, რომლის სივრცე უდრის 15 დესეტინას.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ სამხრეთ ოსეთის ორგანიზაცია მუშაობს დამაკმაყოფილებლად და ცდილობს ჩააბას მოსახლეობის ფართე მასები თავდაცვის საქმეში. თვით მოსახლეობა იჩენს დიდ ინტერესს საზოგადოების მუშაობისადმი, რასაც ამტკიცებს ორგანიზაციის წევრთა ზრდა. მთავრობის, პარტიული, პროფესიონალურ და საზოგადოებრივი ორგანოების დახმარებით და ხელის შეწყობით, თავდაცვა-ავიაქიმის სამხრეთ-ოსეთის ორგანიზაცია შესძლებს სავსებით გაამართლოს ყველა ის იმედები, რომლებსაც ამყარებს მასზე ოსეთის მშრომელი ხალხი.

ზ.

სამხედრო ქრონიკა

გრძელვადიან შვებულებაში

— № ქართ. მსრ. დივიზიის ნაწილებში მიმდინარეობს გაცხოველებული მზადება წითელ-არმიელთა გასაშვებათ გრძელვადიან შვებულებაში. შვებულ წითელ არმიელთათვის დაარსებულია კოოპერატიული, ქოხ-სამკითხველოს გამგეების, სამხედრო საქმის ორგანიზატორების და მილიციონერთა მოსამზადებელი კურსები. კურსების მსმენელთა რიცხვი უდრის რამოდენიმე ასეულ კაცს.

ლეგიონის სკოლების გამოშვება

ლეგიონის სკოლებში, რომლებიც უმზადებენ წითელი არმიის ნაწილებს უმცროს მეთაურებს, ამჟამად მიმდინარეობს მზადება გამოსაშვებ გამოცდების ჩასატარებლად. ლეგიონის სკოლების გამოშვება მოხდება მოკლე ხანში.

დახმარება წითელარმიელთა ოჯახებს

— გასულ წელს რუსეთის სასოფლო-სამ. ბანკის მიერ გაცემულ იქნა წითელარმიელთა ოჯახების დახმარებისათვის 150.000 მანეთი. დახმარება ეძლეოდა წითელ-არმიელთა ოჯახებს სასოფლო-სამ. ამხანაგობების საშუალებით. მიმდინარე წელს განზრახულია გაიცეს ამავე რაოდენობის დახმარება.

ოქტომბრის ზეიმზე დასასწრებლად

— ქართული ჯარის ნაწილებიდან ოქტომბრის ზეიმზე დასასწრებლად ქ. მოსკოვში გაიგზავნება რამოდენიმე ასეული წითელარმიელი.

წვევამდე მზადება

— 1906 და 1907 წელში დაბადებულთა სამხედრო გაწვევამდე მზადება იწარმოებს საქართველოში მიმდინარე წლის ნოემბრის შუა რიცხვებში.

ადმინისტრატიულ სამეურნეო ხარჯების შემცირებისათვის

როგორ სრულდება დირექტივა ადმინისტრატიულ სამეურნეო ხარჯების შემცირების შესახებ

გუშინ საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის სხდომაზე ირჩეოდა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება დირექტივა ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირების შესახებ საქართველოს კოოპერატიულ, სავაჭრო და სამეურნეო ორგანიზაციებში, სხდომაზე მოწვეული იყვენ ამ ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებსაც უნდა წარმოედგინათ ცნობები ხარჯების შემცირების ჩატარების შესახებ.

მაგრამ ეს ცნობები თათბირზე ძლიერ განსაზღვრული რაოდენობით იქნა წარდგენილი. ამას გარდა კოოპერატიულ ორგანიზაციების ცნობები არ იძლევა პირდაპირ პასუხს კითხვაზე, თუ „რამდენად და როგორ მოხდა შემცირება“, არამედ შეიცავს რთულ გამოანგარიშებას ბრუნვათა გადიდებისა და სარგებლობის შესახებ, რომელიც მოაქვს ამ გადიდებას.

ეს გარემოება აღნიშნა საქართველოს მუშ. და გლ. ინსპექციის სახ. კომისარმა ამხ. **ა. დოლიძემ**, რომელმაც სთქვა:

— კოოპერაცია არ გვაწვდის არავითარ ცნობებს თავის მუშაობაში ადმინისტრატიულ სამეურნეო ხარჯების შემცირების შესახებ. კიდევ მეტი, კოოპერაცია ჯიუტობს და აფერხებს დირექტივის განხორციელებას. ამას გარდა ამ მიმართულებით ის დამოუკიდებლად არავითარ ნაბიჯებს არ სდგამს და უცდის მუშ. და გლ. ინსპექციის ზეგავლენას. ამ არანორმალურ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. ორივე დირექტივა ხარჯების 15 და 20 პროცენტიან შემცირების შესახებ აუცილებლად უნდა იქნეს შესრულებული.

მოისმინა რა კოოპერატიულ ორგანიზაციების მოხსენებები, ხარჯების შესამცირებლად მათ მიერ ჩატარებულ მუშაობის შესახებ, საქართველოს მუშ. და გლ. ინსპექციის კოლეგიამ დაადგინა: **ყველა იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც არ წარმოუდგენია ცნობები, გამოეცხადოს საყვედური, ვაჭრობის სახ. კომისარიატის შესახებ კი აღინიშნოს, რომ მან არ შეასრულა საქართველოს მუშ. და გლ. ინსპექციის დადგენილება, გაგზავნილი მისთვის ა. წ. 6 ოქტომბერს, რომელიც ეხებოდა საკითხს მუშ. და გლ. ინსპექციისათვის 20 პროცენტიან შემცირების შედეგებზე ცნობის წარდგენის შესახებ.** ამ დადგენილების შეუსრულებლობისათვის ვაჭრობის სახ. კომისარიატის ხელმძღვანელები უნდა შესაფერად დასჯილი ყოფილიყვენ ადმინისტრატიული წესით, მაგრამ ვინაიდან საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულმა განაცხადა, რომ მას თითქოს არ მიუღია მუშ; და გლ. ინსპექციის ზემოხსენებული დადგენილება, ამ განცხადების სინამდვილის გამორკვევამდე, ასეთი ადმინისტრატიული ზომა ვაჭრობის სახ. კომისარიატის წინააღმდეგ აღარ იქნა მიღებული ამასთანავე ვაჭრობის სახ. კომისარიატს დაევალა 20 ოქტომბრისათვის წარუდგინოს საქ. მუშ. და გლ. ინსპექციას ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების 20 პროცენტით შემცირების შედეგები.

სულ სხვა სურათია სახელმწიფო სავაჭრო და საწარმოო ორგანიზაციებში.

აქ არის რამოდენიმე, ზოგჯერ მნიშვნელოვანი, მიღწევები.

მაგალითად „თბილისის ვაჭრობამ“ შეამცირა ხარჯები წარსულ წელთან შედარებით 26 პროცენტით; საქართველოს სახელმწ. ვაჭრობის, საპაიო ამხანაგობამ—20,9 პროც.

ასეთი განსხვავება აიხსნება მით, რომ სახელმწიფო სავაჭრო ორგანოები მუდამ იმყოფებოდენ მუშ. და გლ. ინსპექციის ზეგავლენის ქვეშ, კოოპერაციის მოქმედებას კი თვალყურს ადევნებდა ვაჭრობის სახ. კომისარიატი, რომელმაც ამ მხრივ ვერ გამოიჩინა სათანადო ინიციატივა.

ს. მ. უ. ს. ტრესტებშიაც არის ზოგიერთი მიღწევები.

საპონ-ზეთის ტრესტმა შეამცირა ხარჯები 31 პროცენტით, ტყავტრესტმა 24,2 პროც., ბორჯომის მინ. წყ. სამმართველომ—23 პროც., პოლიგრაფტრესტმა—25 პროც., სატყეო ტრესტმა—22,8 პროც., სახკინმრეწვმა—31 პროცენტით და სხვ.

ეს მიღწევები აიხსნება მხოლოდ მუშ. და გლ. ინსპექციის გაძლიერებული მუშაობით.

ს. მ. უ. საბჭოს ამ მხრივ აქტივობა არ გამოუჩენია.

საქართველოს მუშ. და გლ. ინსპექციის კოლეგიამ აღნიშნა ს. მ. უ. ს. უმოქმედობა ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირების საკითხში და დაადგინა მიუთითოს მას ამ მუშაობაზე.

თათბირზე გამოთქვა აზრი, რომ ორგანიზაციები საკმაო ყურადღებას არ იჩენენ დირექტივისადმი, სცდილობენ აიცილონ პასუხისმგებლობა მის შეუსრულებლობისათვის და ყველაფერს თავზე ახვევდენ მუშ. და გლ. ინსპექციას, რომელიც თითქოს თითონ არის ვალდებული გაატაროს ხარჯების შემცირება:

ეს აშკარა შეუსაბამობა მაინც პოპულარულია ორგანიზაციების ზოგიერთ ხელმძღვანელებს შორის:

დირექტივა აუცილებლად უნდა იქნეს შესრულებული, ზოგიერთ სამეურნეო მუშაკების ჯიუტობისა და რუტინერობის მიუხედავად, ვინაიდან უნაყოფო ხარჯების შემცირება არა მარტო უდიდეს თანხებს შესძენს სახალხო მეურნეობას, არამედ ამასთანავე გაამარტივებს აპარატს. გააუმჯობესებს მას და დაუახლოვებს მასებს.

მორიგი ამოცანების წინაშე

(წერილი შორაპნის მაზრიდან)

შორაპნის მაზალმასკომის უკანასკნელი გაფართოებული პლენუმი შესდგა ქალ. ჭიათურაში, სადაც პლენუმის წევრებთან ერთად მოწვეულ იყვნენ ყველა თემ-აღმასკომის თავმჯდომარენი. თემ-აღმასკომის საფინანსო სარევიზიო კომისიის თავმჯდომარენი, ქალ. ჭიათურის საბჭოს წევრები და იუსტიციის მუშაკნი.

პლენუმის დღის წესრიგში იდგა ფრიად მნიშვნელოვანი და სერიოზული საკითხები, როგორიცაა: 1) მაზრ-აღმასკომის პრეზიდიუმის საანგარიშო მოხსენება, 2) ქალ. ჭიათურის საბჭოს ანგარიში, 3) მაზრ-აღმასკომის 1927—28 წლის ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება და იუსტიციის ხაზით მომუშავე ორგანიზაციების საანგარიშო მოხსენება.

სანამ ამ პლენუმის შედეგებს შევეხებოდე, საჭიროა ორიოდე სიტყვა ითქვას თვით პლენუმის სესიის გადატანის მნიშვნელობაზედ ყოფილ სამაზრო ცენტრში ქალ. ჭიათურაში, პლენუმის სხდომის ქალ. ჭიათურაში მოწვევის მიზანი იყო, რომ მაზრის ხელისუფლებას ქონდეს ცოცხალი და მჭიდრო კავშირი ადგილებთან და მათ რიცხვში ქალ. ჭიათურასთან. ჭიათურა, როგორც მუშური რაიონი, სადაც თავს იყრის 7 ათასიდან 8 ათასამდე მუშები და მოსამსახურეები. ყოველთვის იპყრობდა და იპყრობს ჩვენი მაზრის მუშაკების ყურადღებას.

ამავე დროს, იმიტომ უნდა მისცემოდა განსაკუთრებული მნიშვნელობა გაფართოვებულ პლენუმის სხდომის მოწვევას ჭიათურაში. რომ მაზრ-აღმასკომმა თავისი მუშაობა გააცნო ფართე მასას ჭიათურის პროლეტარიატის საშუალებით.

პრეზიდიუმის საანგარიშო მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მაზრაში უკანასკნელ ხანებში გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს, აღმოჩნდა მთელი რიგი მიხწევებისა სამეურნეო, კულტურულ ეკონომიურ და აღმშენებლობის დარგში. პლენუმმა პრეზიდიუმის მუშაობა მოიწონა. კრებას ახასიათებდა დამსწრეთა დიდი აქტივობა. ჭიათურის მუშები და მაზრის გლეხობა გაცხოველებულ მონაწილეობას ღებულობდენ კამათში, სადაც აღნიშნავდენ მუშაობის, როგორც დადებით ისე უარყოფით მხარეს.

საინტერესოა, როგორც ცალკე მკითხველისათვის, ისე ჩვენი მაზრის თემ-აღმასკომში მომუშავე ამხანაგებისათვის, თუ სად გვაქვს ნაკლი და რას უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ პირნათლად წარვსდგეთ ამომრჩეველთა წინაშე.

პლენუმმა აღნიშნა შემდეგი დეფექტები:

1. თემ-საბჭოების და საქალაქო სექციების მუშაობას თუმცა დაეტყო ამ ბოლო დროს გამოცოცხლება, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როცა საბჭოს წევრი არ ესწრება სექციის სხდომებს.

2. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს, აგრო-დახმარების საქმის გაფართოვება იმ მიზნით, რომ დაკმაყოფილებულ იქნეს გლეხობის მოთხოვნილება ამ დარგში.

3. მაზრაში არსებობს თუთხმეტამდე გლეხური კოლექტიური ამხანაგობა. მაგრამ არ არის შესწავლილი თუ რანაირია კოლექტივების შემადგენლობა, ხომ არ არიან შიგ კულაკები და სხვა.

4. მაზრაში აღმოჩენილია დიდი შემთხვევა მიწის-ყიდვა გაყიდვისა და შრომითი მიწის იჯარის წესების დარღვევისა თემ-აღმასკომებს არა აქვთ საამისო ოფიციალური სარეგისტრაციო წიგნები გახსნილი.

5. არ ექცევა საკმარისი ყურადღება თემ-აღმასკომების მიერ ტყეების მოწყობის საკითხს.

6. სახალხო განათლების დარგში, საჭიროა მეტი ცოცხალი კავშირის დაჭერა ადგილებთან, რომ ნაყოფიერად მიმდინარეობდეს მეცადინეობა.

7. პლენუმმა აღნიშნა სახალხო ჯანმრთელობის დარგში ზოგიერთი ნაკლულოვანებანი, მაგალითად: ექიმები გაურბიან მოშორებულ თემებში სამსახურს. ამ მიზეზით ზოგიერთი პუნქტები უექიმოდ არის დარჩენილი, ვერ არის გამოყენებული საექიმო პერსონალი საზოგადოებრივ მუშაობაში, სუსტი ყურადღება ექცევა სან-განათლების საქმეს სოფლად. დღემდის შეუსწავლელია მაზრაში არსებული მინერალური წყლები.

8. პლენუმმა საჭიროდ სცნო მთავარი ყურადღება იქნეს მიქცეული მაზრაში სამრეწველო ხასიათის წამოყენებებს, როგორიცაა აგურ-კრამიტის ქარხნის აგების საკითხის დაჩქარება ს. უ. ს. ს. მიერ, რომელიც უკვე დამტკიცებულია და სხვა.

9. პლენუმზე გამოირკვა, რომ ზოგიერთ ადგილებზედ დაწესებულებათა შორის ადგილი აქვს ფუნქციათა არევას, რაც ქმნის გაუგებრობას, რომელიც შემდეგისათვის უნდა აღმოიფხვრას.

10. იუსტიციის დარგში ადგილი აქვს სასამართლოებში საქმეების დაგროვებას, სასამართლოების სიმცირის გამო უკანასკნელ ხანებამდე სუსტათ ტარდებოდა რევოლიუციონური კანონიერების განმტკიცებისაკენ მიმართული ღონისძიებანი.

11. საგზაო თვით-შრომითი ბეგარა მაზრაში თუმცა ტარდება, მაგრამ ადგილი აქვს კანონების დარღვევას ზოგიერთ თემ-აღმასკომის მიერ. მაგალითად, საგზაო ბეგარისაგან განთავისუფლებულია მცირე წლოვანები 18 წლის ქვევით და ხანში შესულები 50 წლის ზევით. ამას ზოგიერთი აღმასკომი არ დაგიდევს. ადგილი აქვს უფლებების გადამეტებას, რაც მომავალში აღარ უნდა განმეორდეს.

ყველა ზემოთ აღნიშნულ დეფექტების აღმოსაფხვრელად, პლენუმმა დასახა მთელი რიგი ღონისძიებისა. პლენუმმა გარკვეული ხაზი მისცა, როგორც ადგილობრივ თემ-აღმასკომებს, ისე მაზრ-აღმასკომების პრეზიდიუმს. ჩვენი ვალია გულ-დასმით და გაასკეცებულ ენერგიით მოვიყვანოთ სისრულეში ეს მითითებანი, რათა მომავალ არჩევნების დროს პირნათლად წარვსდგეთ ამრჩეველთა წინაშე.

ს. ცუცქირიძე.

10 წლის წინედ

როგორ მზადდებოდა დიდი ოქტომბერი

16 ოქტომბერი

ბოლშევიკების გამარჯვება არჩევნებში

სამარაში დასრულდა არჩევნები ქალაქის საბჭოში. პირველი ადგილი დაიჭირეს ბოლშევიკებმა, რომლებმაც მიიღეს 34 მანდატი 106-დან.

გამოქვეყნდა შლისელბურგის სამაზრო ერობის არჩევნების შედეგები. 4 ხმოსნიდან 3 ბოლშევიკია.

ლუგის სამაზრო ერობის არჩევნებში ბოლშევიკებმა მიიღეს ხმების 50 პროც.

ციმბირის პირველ საარმიო კორპუსში

ციმბირის პირველი კორპუსის (მომქმ. არმია) ჯარისკაცთა კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიც მოითხოვს მთელი ძალაუფლების გადაცემას საბჭოებისათვის. რეზოლიუცია მოითხოვს აგრეთვე ბოლშევიკური აგიტატორების და ბოლშევიკური ლიტერატურის დაშვებას ფრონტზე.

კერენსკის წინააღმდეგ

ბალტიის ფლოტის მეორე ყრილობამ მოსთხოვა ცაკსა და „ცენტროფლოტს“ „დაუყოვნებლივ გააძევონ დროებითი მთავრობის რიგებიდან კერენსკი, როგორც პიროვნება, რომელიც თავისი უსირცხვილო შანტაჟით არცხვენს დიდ რევოლიუციას და მასთან ერთად მთელ რევოლიუციონურ ხალხს“.

„შენ კი, ბონაპარტ კერენსკის,— ასე თავდება რეზოლიუცია,—რომელმაც უღალატა რევოლიუციას, გიგზავნით წყევლა-კრულვას“.

კრონშტადტის მუშათა საბჭომ მიიღო მიმართვა მთელი რუსეთისადმი. რომელშიც სამარცხვინო ბოძზე აკრავს კერენსკის განცხადებისათვის, რომ თითქო „კრონშტადტმა დაჰკარგა ბრძოლის ყოველი უნარი“. მოწოდება თავდება სიტყვებით: „ძირს ქვეყნისა და რევოლიუციის მოღალატეები“.

ლატიშთა პოლკები დრ. მთავრობის წინააღმდეგ

ლატიშთა მსროლელ პოლკების დეპუტატთა საბჭოს ცენტრ. აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელშიც მხარს უჭერს პეტროგრადის საბჭოს 8 ოქტომბრის რეზოლიუციას დრ. მთავრობის შესახებ და კისრულობს შეიარაღებული დახმარების აღმოჩენას „რევოლიუციის დასაცავად კონტრრევოლიუციონერ კერენსკის, კორნილოვლების და კომპ. თავდასხმებისაგან“.

მინისტრ ნიკიტინის „განმარტებები“

შინაგან საქმეთა მინისტრმა ნიკიტინმა გამოაქვეყნა „განმარტებები“ იმ დეპეშის შესახებ, რომლითაც ის უკრძალავდა სახელმწიფო ტელეგრაფს რკინის გზელთა კავშირის ცნობების გადაცემას გაფიცვის შესახებ. ნიკიტინი აცხადებს, რომ მას მიზნად ჰქონდა, რათა სახელმწიფო ტელეგრაფს არ შეეწყო ხელი გაფიცვის გავრცელებისათვის იმ დროს, როცა მთავრობამ უარჰყო რკინისგზელთა მოთხოვნილებები.

ბურჟუაზია „იკვლევს“ საბჭოების მუშაობას

მინისტრ-თავმჯდომარის მოადგილეს ა. კონოვალოვის და სახელმწიფო კონტროლის მინისტრის სმირნოვის თათბირზე გადაწყდა ჩატარდეს გამოკვლევა სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, უმთავრესად კი მუშათა, ჯარისკაცთა საბჭოების და მათთვის მიცემულ სუბსიდიების.

ამ ღონისძიებით მთავრობას განზრახვა ჰქონდა გაეძლიერებია ზეგავლენა საბჭოებზე.

„სმა-ჭამა კარგად შესარგი“

დროებითი მთავრობის სხდომაზე ა. კერენსკის, როგორც მთავარ-სარდალს დაუნიშნეს 12.000 მანეთი წელიწადში (ახლანდელ ანგარიშით 1.200 მან. თვეში) და 2.000 მან. თვეში „მოგზაურობისა და წარმომადგენლობისათვის“ (ეს იმ ჯამაგირისა და „სახარჯოს“ გარდა, რომელიც ეძლეოდა მას, როგორც მინისტრ-თავმჯდომარეს).

კაზაკების მოთხოვნილებები

კაზაკთა ჯარების დელეგაციამ ინახულა მინისტრ-თავმჯდომარის მოადგილე ა. კონოვალოვი და სთხოვა მას, რათა დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს კაზაკთა ნაწილები ცალკე ერთეულებათ იქნან გამოყოფილი, „ვინაიდან კაზაკთა განწყობილება არ ეთანხმება არმიის საერთო განწყობილებას“. დელეგაციამ მოითხოვა აგრეთვე, რათა მთავრობამ ხელი აიღოს კაზაკების გამოყენებაზე დამსჯელ ექსპედიციებისათვის, რადგან „კაზაკებს უმძიმს ამგვარ პოლიციური ღონისძიებების შესრულება და მომავალში უარს იტყვის ასეთ დავალებებზე“.

მინისტრ მალიანტოვიჩის ორი „მე“

მთელ რიგ საბჭოების (პეტროგრადის, კრონშტადტის, ჰელსინგფორსის, რეველის, ნარვისა და სხვ.) მრავალრიცხოვანმა დეპუტაციამ ინახულა იუსტიციის მინისტრი მალიანტოვიჩი და მოსთხოვა განთავისუფლება მთელ რიგ ბოლშევიკების, რომლებიც „3—5 ივლისის საქმის“ გამო იქნენ დაპატიმრებული და საბჭოების წარმომადგენლებისათვის გამოძიების მასალებთან გაცნობის შესაძლებლობის მიცემა.

მალიანტოვიჩმა აღუთქვა დეპუტაციას, რომ „შეძლებისდაგვარად დაიკმაყოფილებს ამ შუამდგომლობას“.

ჟურნალისტებთან საუბარში მალიანტოვიჩმა დეპუტაციის მიღების გამო განაცხადა, რომ „როგორც მინისტრ-სოციალისტი, იგი არის დეპუტაციის მეგობარი, მაგრამ, როგორც იუსტიციის მინისტრი იგი პოლიტიკის გარეშე უნდა იყოს და ამიტომ დაპატიმრებულთათვის იმაზე მეტს ვერ გააკეთებს, რასაც გააკეთებდა რომელიმე მავრაზმელისათვის ან კორნილოველისათვის“.

ებრაელთა დარბევა

ებრაელ ჯარისკაცთა დელეგაციამ მთავრობისა და ცაკის წევრებთან საუბრის დროს აღნიშნა, რომ არა მარტო პროვინციაში, არამედ პეტროგრადშიც, ებრაელების წინააღმდეგ მიმართული აგიტაცია თავისუფლად ვითარდება. ებრაელების დარბევა მოხდა კოზლოვში, ტამბოვში და ბენდერში. დელეგაციამ საჭიროდ აღიარა ებრაელთა თავდაცვის რაზმების შექმნა ადგილებზე.

რეველის ევაკუაცია

გერმანელების დესანტის გადმოსხმის საფრთხის გაძლიერების გამო, დაიწყო რეველის ევაკუაცია.

„ძირს ომი“!

მე-61, 62, 63, 64, 525, 526, 527, 518 პოლკების მე-8 მძიმე საარტილერიო დივიზიონის და მეოცდასამე რკ. გზ. ბატალ. ჯარისკ. (ფრონტზე) გამოიტანეს რეზოლიუცია, რომელშიც მოითხოვენ ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტას და ზავს უანექსიოთ და უკონტრიბუციოთ. ჯარისკაცების მიერ გამოშვებული მოწოდება თავდება სიტყვებით: „ძირს ომი. გაუმარჯოს საუკუნო მშვიდობიანობას!“

გაფიცვების ტალღა

მოსკოვში შეწყდა აფთიაქების მოსამსახურეთა გაფიცვა.

დაიწყო გაფიცვა პეტროგრადის აფთიაქებში.

ქიმიური მრეწველობის მუშებმა პეტროგრადში ეკონომიური მოთხოვნილებები წაუყენეს მეწარმეებს.

ვლადიმირის თოფის წამლის მუშების გაფიცვა გრძელდება.

ამიერ-კავკასიაში

(საქ. რევოლიუც. მუზეუმის მასალებიდან)

კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ყრილობა

(მეორე დღე)

დილის სხდომაზე: ყრილობამ დაადგინა: მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნოს უცხოელ ინტერნაციონალისტებს ლიბკნეხტს, მაკლინსა და ფრ. ადლერს, მოითხოვოს დაპატიმრებულ ამხანაგების განთავისუფლება და განაცხადოს პროტესტი ბოლშევიკების დევნის წინააღმდეგ.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა ამხ. ჯაფარიძის მოხსენება უკანასკნელი პარტიული (მეექვსე) ყრილობის შესახებ.

ამხ. ჯაფარიძის მოხსენებისა და საბოლოო სიტყვის მოსმენის შემდეგ ყრილობამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: „მოისმინა რა ამხ. ჯაფარიძის მოხსენება, ყრილობა სავსებით იზიარებს ც. კ. და პარტიული ყრილობის ხაზს“.

რეზოლიუციის მიღების შემდეგ ყრილობა შეუდგა მოხსენებების მოსმენას ადგილებიდან. პირველად მოსმენილ იქნა ამხ. არველაძის მოხსენება ალექსანდროპოლიდან.

საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ავაქოვის (გორი), ლეჟავას (ფოთი), სტურუას (ბაქო), კავრიუკინის (ბაქო), იაკუბის (ბაქო), ძნელაძის (ბაქო), მრავიანის (განჯა), ერქომაიშვილის (გურია), ფიგანტნერის (კისლოვოდსკი - პიატიგორსკი), და სამარსკის (ტუაპსე) მოხსენებები.

გაფიცვები

გაიფიცენ თბილისის ხე-ტყის საზერხ ქარხნების მუშები, რომლებიც მოითხოვენ ხელფასის მომატებას 100 პროცენტით. სამედიატორო სასამართლომ შესაძლებლად აღიარა მუშების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სანახევროდ. გაფიცვა გრძელდება.

თბილისის აფთიაქების თანამშრომელთა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოაცხადა გაფიცვა.

ქუთაისის ამბები

დილით თბილისიდან ქუთაისში „წესრიგის დასაცავად“ ჩავიდა იუნკრების რაზმი. იუნკრებს თავხედურათ ეჭირათ თავი, რამაც დიდი აღშფოთება გამოიწვია ჯარისკაცებში.

ადგილობრივმა „რევოლიუციონურმა“ (ესერ-მენშევიკ.-ფედერალისტურმა) ორგანიზაციებმა დარბევა გამოიყენეს საბაბათ ჯარში „სასტიკ დისციპლინის“ აღსადგენათ.

ქუთაისში წესრიგის აღდგენის „სახელმძღვანელოდ“ თბილისიდან გაემგზავრა საოლქო ცენტრის თავმჯდომარე ე. გეგეჭკორი.

რ. ს.-დ. მ. პ. (ბ) ქუთაისის კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიც ჰკიცხავს რამაღაზიების დარბევას, მოუწოდებს მასებს არ წამოეგონ პროვოკაციის ანკესზე და დაიცვან მტკიცე რევოლიუციონური წესრიგი.

მუშაობის განახლება ბაქოში

ბაქოს ნავთის სამრეწველოებზე მუშაობა განახლდა. მუშები ნდობას და მადლობას უცხადებენ საგაფიცვო კომიტეტს გაფიცვის მშვიდობიანად ჩატარებისათვის.

მისალმება ბაქოს პროლეტარიატს

საგაფიცვო კომიტეტმა მიიღო შემდეგი მისალმების დეპეშა კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ყრილობისაგან: „ბოლშევიკების კავკასიის ყრილობა მხურვალედ ესალმება ბაქოს რევოლიუციონურ პროლეტარიატს კაპიტალზე ბრწყინვალე გამარჯვების გამო. ემზადეთ ახალი ბრძოლებისათვის.—პრეზიდიუმი“.

მუშათა ცხოვრება

რკინის გზის მტკივნეული საკითხები

ამ რამდენიმე დღის წინათ თბილისიდან ხაშურისაკენ გაგზავნილ იქნა საგეზო მატარებელი 75 ათასი ფუთით.

75 ათასი ფუთით. ავჭალაში ორთქლმავლის ჭავლორებმა აღარ დაიჭირეს წყალი. ამიტომ მემანქანე დაბრუნდა ისევ თბილისში, აქ შეუკეთებლად ამუშავა სხვა მემანქანემ ჭავლორები და ისევ წავიდა მატარებლით, მაგრამ ავჭალაში ისევ გაფუჭდა, რის გამო ხელმეორედ დაბრუნდა უკან.

მეორე მატარებელი გაჩერდა 23 სექტემბერს, მცხეთის სადგურის ახლოს. მემანქანემ შეიყვანა მატარებელი სადგურში და დაიჭირა მატარებლები ორივე მხარეს. მცხეთაში მატარებელს შეხვდა ორთქლმავლების რევიზორი ამხ. დოლიძე, რომელიც გაჰყვა ამ ორთქლმავალს.

27 სექტემბერს განჯიდან წამოვიდა საგეზო მატარებელი 75 ათასი ფუთით. ამ მატარებელმა შამხორამდე და დოლიარამდე დაიგვიანა ორი საათი და დააგვიანა შემხვედრი სახალხო მატარებელიც. აქსტაფაში ჩამოსვლისას მემანქანემ განაცხადა, რომ ორთქლმავალზე მუშაობა შეუძლებელია, რადგან ორთქლს არ აკეთებს და სხვა. ისე, რომ ეს ორთქლმავალი უნდა გაჩერებულიყო აქსტაფაში ორი-სამი დღე. მაგრამ როგორც იქნა რევიზორმა დოლიძემ და თბილისის მემანქანემ ვოლკუნმა და მისმა თანაშემწემ, როგორც იქნა ორთქლმავალი მძიმე მატარებლით წამოიყვანეს თბილისამდე.

აღნიშნულ შემთხვევებს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. მოძრაობისა და განსაკუთრებით კი წევის დარგის საქმეში. საქმე ის არის, რომ როცა მემანქანე დადის ერთ და იმავე ორთქლმავალზე, ის ეცნობა, სწავლობს თავისი ორთქლმავლის თვისებებს. ამიტომ იშვიათად, რომ მოუვიდეს მას მარცხი და შეცდომა. ორთქლმავალს თუ ბლომად არა აქვს დაგროვილი ორთქლი, მატარებელს ვერ წაიყვანს. ამ ორთქლს დასამზადებელი ცეცხლის მანქანა კი სხვადასხვა ნაირია. ახლო ხანში რუსეთიდან მოსულ ორთქლმავლებს აქვთ ეგრედწოდებული „დონილინის“ მურქცეველა. ზოგს ამათგანს აქვს ისეთი თვისება, რომ თუ მემანქანე ამ თვისებებში ვერ გაერკვია დროზე, მას მატარებელი გაუჩერდება. განჯიდან მომავალ ორთქლმავლის გაჩერების მიზეზიც ეს იყო. აი, ამიტომ საჭიროა ორთქლმავალზე მუშაობდეს ერთი და იგივე მემანქანე. ასეთ შემთხვევაში ორთქლმავლების გაფუჭებას და გზაზე მუშაობის შეფერხებას იშვიათი მოვლენა ექნება.

ამ საკითხს უნდა დაუკვირდეთ და გამოვასწოროთ ნაკლი, თორემ უარესი დღე დაადგება ჩვენს ორთქლმავლებს ზამთარში, როცა მატარებლების წაყვანა უფრო ძნელია.

დაუნდობელი.

ვატარებთ რაციონალიზაციას

დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ექსპლოატაციის დარგის მეორე განყოფილების ანგარიშის მუშაობას გამოეყო კონდუქტორთა პირადი შემადგენლობის აღრიცხვა და კონდუქტორთა საანგარიშო ნაწილი. ამ მუშაობის გამოყოფას მოჰყვა მოსამსახურეთა სპეციალური შტატის შექმნა და ცალკე ხარჯის გაღება მის შესანახად. გარდა იმისა, რომ მისი მუშაობა უნაყოფო იყო და ზედმეტ ხარჯათ აწვა რკინის გზას, მუშაობაც ვერ სწარმოებდა თავის რიგზე.

ბევრჯერ იქნა საკითხი აღძრული იმის შესახებ, რომ კონდუქტორთა პირადი შემადგენლობის აღრიცხვა და საანგარიშო ნაწილი მეორე განყოფილების ანგარიშში ყოფილიყო გადატანილი, მაგრამ ბიუროკრატიულად განწყობილი ადმინისტრაცია ყურს არ იბერტყავდა.

მიმდინარე წლის 27 სექტემბერს, მეორე განყოფილების ანგარიშში შესდგა რაციონალიზაციის გამტარებელი კომისიის თათბირი, რომელსაც დაესწრნენ მუშათა და გლეხთა ინსპექციის, ადმინისტრაციის, კომუჯრედის და პროფკავშირის წარმომადგენლებიც.

ხანგრძლივი თათბირის შემდეგ კომისიამ ერთხმად მოიწონა და რაციონალურად ჩასთვალა კონდუქტორთა პირადი შემადგენლობის აღრიცხვისა და საანგარიშო ნაწილის მუშაობის გადატანა მეორე განყოფილების ანგარიშში.

მიზანშეწონილი იქნება, რომ რაციონალიზაციის გამტარებელმა კომისიამ ასეთი დადგენილება გამოიტანოს სხვა განყოფილებების ანგარიშების მიმართაც.

რკინისგზელი.

ავიცილოთ უბედური შემთხვევები

(ტყიბულის მაღაროები)

ამ ბოლო ხანებში ტყიბულის მაღაროებში ძალიან გახშირდა უბედური შემთხვევები, რაც უნდა მიეწეროს სამუშაოების დაზიანებას და მათ ტეხნიკურად მოუწყობლობას.

ზოგიერთ გვირაბებში არ მუშაობენ საკმაოდ გამოცდილი. შემკვეთებელი მუშები, რომლებიც ამაგრებენ გვირაბებს ბიჯგების საშუალებით. ამიტომ გვირაბებში მუშაობის დროს ხშირად ცვივა კედლები, რომელსაც მოსდევს უბედური შემთხვევა.

გარდა ამისა არ არის კარგად შეკეთებული პატარა რონოდების გზა, რაც ხშირად იწვევს დატვირთული რონოდის გზიდან გადაცდენას და მუშაობის შეფერხებას. არ იწმინდება აგრეთვე არხები და გზები არ ყოფნით გვირაბებში მომუშავე მუშებს სანათები და სხვა. ყველა ეს ხელს უშლის წესიერ და ნაყოფიერ მუშაობას და ამრავლებს უბედურ შემთხვევებსაც.

მაღაროების ადმინისტრაციამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მოვლენას, უნდა გააუმჯობესოს გვირაბებში მუშაობის პირობები და მიიღოს ზომები უბედურ შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

ობოლი.

მიწების ყიდვა - გაყიდვას ხელს უწყობენ

(აღმასკომის საყურადღებოდ)

საბჭოთა ხელისუფლების კანონმდებლობით მიწების ყიდვა - გაყიდვა აკრძალულია. მიუხედავად ამისა, სოფლებში ჯერ კიდევ ბევრგან ხდება ჩუმად მიწების ყიდვა - გაყიდვა.

ეს იმით აიხსნება, რომ სოფლად ჯერ კიდევ არ არის სათანადოთ გათვალისწინებული და შეთვისებული საბჭოთა კანონები მიწის საკითხში. მაგრამ ქალაქის მცხოვრებთა წვრილ ბურჟუაზიულ ფენებზე ეს არ ითქმის; ისინი ფიქრობენ ჩაიგდონ რომელიმე თავისუფალი მიწა და დაეუფლონ მას. ამ მიზნით იაფ ფასებში იძენენ მიწებს და ხდებიან მისი ბატონ - პატრონი.

განსაკუთრებით ამ ბოლო ხანებში ძლიერ გახშირდა ქალაქის სხვადასხვა რაიონებში სპეკულიაცია მიწების ნაკვეთებზე. ზოგიერთი თავისუფალი ადგილები ღობით არის შემოვლებული იმ მოსაზრებით, რომ ვილაცეები ეპატრონებიან ასე ნაკვეთებს და სცდილობენ მის საკუთრებად გადაქცევას.

უნდა ითქვას ისიც, რომ ქალაქის კეთილმოწყობის განყოფილების ზოგიერთი მოსამსახურენი ამ მიმართულებით დიდ კომბინაციებს ეწევიან და ბოგოლა მოქალაქეებს მიწებს უზომავენ ვითომდა სახლის ასაშენებლად, მაშინ, როდესაც კოოპერატიულმა საბინაო საამშენებლო ამხანაგებმა უკანასკნელ ხანებში გააძლიერეს და გააფართოვეს თავიანთი საქმიანობა ამ მხრივ.

საჭიროა აგრეთვე ყურადღება მიექცეს ამ გარემოებასაც. რომ ბინების კრიზისის გამო მთელი თავისუფლების მოედანი ოთახების გამქირავებელთა მაკლერებით არის მოფენილი, სწორეთ ამ გარემოებამ გაამრავლა კოოპერატიული მშენებელთა რიცხვიც. რამაც ამავე დროს ხელი შეუწყო ქალაქის გარე უბნებში მიწების ყიდვა - გაყიდვას.

ამას ყურადღება უნდა მიაქციოს აღმასკომმა და ქალაქის კეთილმოწყობის განყოფილებიდან აბარგოს ისეთი ხალხი, რომლებსაც კომბინატორების საშუალებით სურთ მიწების დასაკუთრება ქალაქის განაპირა უბნებში.

საბჭოს წევრი.

მოგვაქციეთ ყურადღება

ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება აერთიანებს შვიდ აგურის ქარხანას, სადაც მუშაობს დაახლოებით 600 მუშა - მოსამსახურე. უნდა ითქვას, რომ მუშებს ვერ ექცევა სათანადო ყურადღება. აღმშენებელთა კავშირი რომლის წევრებად ითვლებიან აღნიშნული მუშები, თითქმის არავითარ მუშაობას არ აწარმოებს მათში. ქარხკომები მხოლოდ საწევრო ანარიცხებს კრეფავენ. № 1 ქარხანას ორი თვეა არ ყავს ქარხკომი, რის გამო ყოველგვარი მუშაობა მიძინებულია.

ამას უნდა მიეწეროს ის გარემოებაც, რომ აღნიშნულ ქარხნის მუშებისათვის ჯერაც არავის განუმარტია ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობა. მუშებს უნდათ შეიძინონ სესხის ობლიგაციები, მაგრამ როგორ ან რა პირობებში ეს არ იციან. ახსნა - განმარტების მიმცემი კი არავინ არის.

აღმშენებელთა კავშირმა უნდა იზრუნოს აგურ - ქარხნებში მომუშავე მუშების კულტურული დონის ასამაღლებლად და მიიღოს ზომები მათში ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციების გასავრცელებლად.

მუშკორი მიხ. ბოკუჩავა.

საყურადღებო წვრილმანი

ქურდები გავაძევეთ

7 ოქტომბერს, შესდგა რკ. გზის მთავარ სახელოსნოს ადგილკომის სადელეგატო კრება. კრებას ამხ. ვ. ვაშაკიძემ გააცნო, რომ მთავარ სახელოსნოს მუშებმა: ჩერნო - ივანოვმა და დვებუაძემ ჩაიდინეს ქურდობა. პირველმა მოიპარა 1 ფ. და 10 გ. სპილენძი, ხოლო მეორემ ოთხი ქილა ლაქი. ამით მათ ჩირქი მოსცხეს კავშირის სხვა პატიოსან წევრებსაც.

სადელეგატო კრებამ აზრთა გაცვლა - გამოცვლის შემდეგ ქურდები გააძევა კავშირიდან.

ზალმიშ.

სიბინძურე გვაწუხებს

საქანელის ქუჩის ბოლო ძალზე გაბინძურებულია. გამვლელ - გამომვლელებს ეს ადგილი ფეხსალაგად აქვს გადაქცეული, რის გამო შეუძლებელი ხდება გავლა.

სანიტკომისიავ, დაიცავი სისუფთავე საქანელის ქუჩაზე.

მუშა ახ—ლ.

უდიერათ ეპყრობა

ფიზკულტურის საბჭოს დარბაზის და მოედნის კომენდანტი უდიერად ეპყრობა ფიზკულტურის წრეების წევრებს; უყვირის მათ და უმიზეზოდ შეურაცხყოფას აყენებს.

ფიზკულტურის უმაღლეს საბჭომ უნდა მოაჯვიანოს თავაშვებული კომენდანტი.

იადონი.

ვინ მისცა ამის უფლება

ქსანის კრამიტის ქარხნის მემანქანეს მოქ. პეტროვს გაღებული აქვს საკუთარი სახელოსნო, სადაც მუშაობის შემდეგ იღებს გლეხებისაგან სასოფლო - სამეურნეო იარაღებს შესაკეთებლად და მუშაობს, ღამის 12—1-ლ საათამდე. ეს ვაჟბატონი, უბრალო საგნის შეკეთებაში გლეხებს ორმაგ ფასს ახდევინებს.

საინტერესოა ვიცოდეთ ვინ მისცა პეტროვს ამის უფლება?

ყაზბეგი.

სად რა ფუჭდება

ვინ აგინებს ზაჰესს?

ზაჰესზე იმდენი ლექსები და დითირამბები დაიწერა, რომ დღეს ვერ ნახავთ თბილისში ამ დიად მიღწევის ცუდი სიტყვით მომხსენებელ ადამიანს. მართლაც გიჟი უნდა იყოს კაცი, რომ ზაჰესის წინააღმდეგ რაიმე საძრახისი სიტყვა დასცდეს. მაგრამ... რა არ ხდება ამ ქვეყანაზე? თქვენ წარმოიდგინეთ, ამ ჩვენს ორთქლისა და ელექტრონის განათლებულ დროში თურმე ისეთი ადამიანებიც მოიძებნება, რომლებიც ზაჰესის ხსენებაზე ნაღვლიან თვალებს მოგაპყრობენ, და სიმწრის ნიშნათ გულში ხელს ჩაიბაგუნებენ.

არ შეცდეთ, არ იფიქროთ, რომ ზაჰესის ცუდათ მომხსენებლები არანორმალური ადამიანებია. პირიქით, ყველა ესენი ისეთი მშვიდი და წყნარი ხალხია, რომ „ჭიანჭველასაც არ გასრესენ“, გონებაზეც საღათ არიან და სინათლის მოყვარულნიც, რასაკვირველია. და უბედურებაც სწორეთ იმაშია, რომ ეს ხალხი სინათლის მომხრეა. ამ ფრიად კულტურულმა ლტოლვილებამ მიიყვანა ისინი ასეთ გიჟურ დასკვნამდე ზაჰესის შესახებ. რატომი, იკითხავთ თქვენ? აქ საკმარისია ვთქვათ მხოლოდ ერთი სიტყვა—ტელასი.

ბევრმა შეიძლება არ იცის ის. რა სასწაულმომქმედი დაწესებულება იმალება ამ სახელწოდების ქვეშ. კეთილ ინებეთ, მოგახსენებთ: „თბილისის ელექტრო-ქსელის მომწესრიგებელი სამმართველო“. აი, ის ჯადოქარი, რომელიც შეუჯდა ზოგიერთ სრულიად ჯანსაღ მოქალაქეებს და უცნაური აზრები შთაუნერგა მათ ზაჰესზე.

კარგია ზაჰესი, რა თქმა უნდა. კარგია ნიაგარის წყალვარდნილზე მოწყობილი ელსადგურიც. მაგრამ ბევრ თბილისელისათვის ეს უკანასკნელი უმჯობესია. ნიაგარის სადგური თუ სინათლეს არ იძლევა,—ფულს მაინც არ ახდევინებს თბილისელს. ზაჰესის სახელით კი ტელასმა უკვე ბევრი თბილისელისაგან აიღო ფული, ხოლო ენერგიის მიღებამდი ჯერ კიდევ ბევრჯერ მოუთოვს და აუსიცხდება ამ მოქალაქეებს.

ან კი რატომ არ იქნება ასე მოწესრიგებული საქმე, როცა თბილ. ელექტრო-ქსელის მომწესრიგებელი სამმართველოს მთავარი ინჟინერი მგელაძე ისე აწესრიგებს საქმეს, რომ თუ ერთხელ შესდგით ფეხი ამ დაწესებულებაში, მეორეთ თოკითაც ვეღარავინ შეგათრევს იქ. უზრდელი მოპყრობა მოქალაქეებისადმი, ინსპექციის ორგანოების ცხვირის წვერზე წამოდება, სამსახურში დაგვიანება და სხვა ასეთი ბიუროკრატიული ოსტატობა ინჟინერ მგელაძეს კაბინეტიდან იღებულობს სათავეს და მთელ დაწესებულებას რყვნის.

უჯრედმა და ადგილკომმა არაერთხელ გამოიტანა ამ საზიზღრობების წინააღმდეგ დადგენილება, მაგრამ ესენი ვის დარჩენია, როცა მგელაძე ინსპექციასაც ჩირის ფასათ არ აგდებს.

დიდებული მიღწევაა ზაჰესი, კარგია იგი ელექტრო-ენერგია, მაგრამ ტელასი?.. ნუ გავიხსენებთ ტელასს. სჯობს რაიონშესის აშენებას დაუცადოთ, იქნებ ქუთაისიდან „ქელასმა“ მაინც გვიხსნას ამ განსაცდელისაგან.

დ. ვ—ნი.

ავტოს მოყვარულნი

ერთ ბრძენ ქართველ მგოსანს უთქვამს: „სჯობს ცივი მჭადის ხუხნება, ცხელ ხაჭაპურის ყლაპვაო“. თუ ამ აფორიზმს სურსათ-სანოვაგიდან ტრანსპორტზე გადავიტანთ, უნდა ვთქვათ: „სჯობს თავის ფეხით ფორთხიალს, ავტოზე გაჭენებას“. იმედია ზემოხსენებული ბრძენი მგოსანი ამას პლაგიატად არ ჩამომართმევს. ეს თვით ცხოვრებაა, ჩვენი სინამდვილის ანარეკლია.

ავტო შეუბუქი და კომფორტაბელურ ტრანსპორტის დარგში ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვას წარმოადგენს. უკულტურობა იქნებოდა ვისმესთვის დაგვეშალა ავტოთი სარგებლობა. მაგრამ ჩვენში იტყვიან: ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს. ხოდა თუ ამ სიბრძნეს გავყვებით, უდროობით და უადგილო ქცევით უნდა ჩაითვალოს დაწესებულების ავტომობილის პირად საჭიროებისათვის გამოყენება. მართალია, ავტო რბილი და „პრუჟინებიანი“, სასიამოვნო მოწყობილობაა, თან თავის მოსაწონებელიც, მაგრამ რაც კარგია, ის ხშირათ იმდენადვე ძვირია. მოგეხსენებათ: შინა, ბენზინი, შოფერის ხელფასი და სხვა. ყოველივე ეს რიგზე არ აიკრიფება.

რამდენჯერ დაადგინა სათანადო ორგანოებმა რომ ავტომობილით პირადი საჭიროებისათვის არავის ესარგებლებია, მაგრამ ზოგიერთნი ამას ერთ ყურში შეუშვებენ და თვალის დახამხამებაში, მეორეშივე გამოაბრძანებენ, აი მაგალითებიც. უქმის წინა დღეა, საღამოს 9½ საათზე.

თოფით მხარზე, ვაზნებით შელარტყული, ნანადირევის შესანახ მოწყობილობით წელზე გადაკიდებული მოდის ამხ. ქეიშვილი, მუშკოოპის მუშაკი, სადგურისაკენ და თავში ხელს იცემს, რა დამემართა, რა ღმერთი გამიწყრა, რომ „მანქანის გამოძახებზე დამავიწყდა და ეხლა ტრამვაით უნდა ვიხრიგინო სადგურამდე“.

მაგრამ ეს მონაგონიც არ არის იმასთან, რასაც ადგილი ჰქონდა ამას წინათ მუხრანში. ავტომობილი № 168 ცეცხლში გაეხვია, დაიწვა, დაიბუგა, გულის მოსაკლავათ მხოლოდ რკინის დალეწილი ჩონჩხი ღა დარჩა მანქანიდან. ირკვევა, რომ მანქანა № 168 პირად სარგებლობის მიზნით წასულა თბილისიდან.

ეს შემთხვევა ყოველ დადგენილებაზე უფრო თვალსაჩინოთ ლაპარაკობს, რამდენათ დაუშვებელია მანქანით „უპრაგონოთ“ სარგებლობა. იქნებ ამის შემდეგ მაინც ისწავლონ ჭკუა ასეთი სპორტის მოყვარულებმა.

მართალია, ცივი მჭადის ჭამას ხაჭაპურის ყლაპვა სჯობია და ფეხით თრევას ავტოზე ჯდომა, მაგრამ, ვიმეორებთ, ყველაფერს თავისი ადგილი და დრო აქვს. ვინ აუნაზღაურებს სახელმწიფოს მუხრანში მომხდარ ზარალს, ყოველ შემთხვევაში არა ისინი, ვინც სანადიროთ და სანადიმოთ ავტოთი სეირნობით არიან გაწუწკებული. მათ ამ შემთხვევაში, სხვა სახის პასუხი უნდა მოეთხოვოს.

რ. დ—ი.

ძიძავა „ავათ გახდა“

სენაკის რაიონის ძველ ფინინსპექტორს ამხ. ძიძავას მეტად სერიოზული, რთული და არაჩვეულებრივი ავადმყოფობა შეეყარა. ბევრი იმტვრიეს თავი მის განსაკურნავად ისეთმა გამოცდილმა ექიმებმა, როგორიც არის შრომის სასამართლო, პროფკავშირი და თვით მუშათა და გლეხთა ინსპექცია, მაგრამ არ იქნა, არ მოხერხდა მისი ფეხზე წამოყენება.

თუმცა, უფრო სწორად რომ ვსთქვათ, ძიძავას ავადმყოფობა იმაში მდგომარეობს, რომ სხვადასხვა დაწესებულებების კარებთან დგომით ფეხებში წყალი აქვს ჩამდგარი.

ძიძავა ფინინსპექტორი იყო ახალ - სენაკში. თავის მუშაობაში ის უპირველეს მოვალეობად სთვლიდა საბიუჯეტო დისციპლინის ყოველმხრივ დაცვას და გადასახადების აკრეფის დროს ნაკლებად უწევდა ანგარიშს წვრილმან გარემოებებს. ამ ნიადაგზე მას გაუგებრობა ჰქონდა ადგილობრივ კოოპერატივთან, რომელიც ძალიან გატაცებით, გადამეტებით იცავდა კოოპერაციისათვის მინიჭებულ პრივილეგიებს. კოოპერატივს აღმოაჩნდა „თავისი კაცი“ ადგილობრივ აღმასკომში.

აქედან დაიწყო ყველაფერი.

ძიძავა სამსახურიდან მოხსნეს.

გავიდა ორი თვე. ის შრომის სასამართლოს დადგენილების თანახმად აღადგინეს თავის თანამდებობაზე, მისცეს გაცდენილ დროის ხელფასიც. ამასთანავე ფინსახკომის რწმუნებულმა საქართველოში მისცა მას ატესტატი, როგორც განსაკუთრებით კეთილსინდისიერ და ძვირფას მუშაკს. მიუხედავად ამისა, ახალ - სენაკში აბმაურდნენ, რომ ისინი „არ მიიღებენ“ ძიძავას. ფინსახკომის რწმუნებულმა დაჟინებით მოითხოვა მისი უკანვე დაბრუნება ახალ - სენაკში. ძიძავაც გაემგზავრა, მაგრამ წინასწარ დაიბარა თავის სახლში და თავის კავშირში, რომ თუ ჩემ ახალ - სენაკიდან გამოგზავნა ასეთი დეპეშა: „ძიძავა ავად არის“, უნდა მიხვდეთ, რომ მისი საქმე ჭანდრაკულათ არის, ის წინდაწინვე გრძნობდა, რომ ახალ - სენაკის ჰაერი დაღუპავდა მის ჯანმრთელობას.

ეს ასეც მოხდა.

გავიდა ორი დღე ძიძავას გამგზავრების შემდეგ და ახალ - სენაკიდან მოდის დეპეშა: „ძიძავა ავად არის“. ეს აცნობეს საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებების მუშაკთა კავშირის ცეკას, რომელმაც ახალ - სენაკში გაგზავნა წარმომადგენელი ავადმყოფის „განსაკურნავად“.

ძიძავა აღმოჩნდა არა საავადმყოფოში, არამედ... საპატიმროში. მისთვის დაებრალებიათ, რომელიღაც სისხლის სამართლის დანაშაული.

კავშირის წარმომადგენელი გაეშურა სასამართლოში. ძიძავა იჯდა ორი თვე. შემდეგ გამოუშვეს და თან გამოატანეს ქაღალდი, რომელზედაც ეწერა:

— აღდგენილ იქნეს სამსახურში და მიეცეს გაცდენილ დროის ხელფასი.

არავითარი დანაშაული მას არ აღმოაჩნდა. ძიძავას ავადმყოფობა ამ მომენტიდან საბოლოოდ ჩამოყალიბდა. მისი ცხოვრება გადიოდა სხვადასხვა ინსტანციებში ხეტიალში. მდგომარეობა გართულდა იმ გარემოებამ, რომ ფინსახკომის რწმუნებულმა, რომელმაც ამას წინად ასეთი საუკეთესო ატესტაცია მისცა თავის ფინინსპექტორს, ეხლა უკვე დაიწყო ყოყმანი:

— ძიძავამ თუ თავის თავის სამსახურში აღდგენის მეტი არაფერი გააკეთა, ხოლო ჩვენ ვაძლიეთ ჯამაგირი მისდა უნებურად გაცდენილ დროისათვის, იქნება თუ არა ეს საბიუჯეტო დისციპლინა და მომჭირნეობის რეჟიმი?..

და გადაწყვიტა უარი ეთქვა ჯამაგირის მიცემაზე.

დადის და დადის ძიძავა, სანამ სიმშილისაგან ფეხებს არ გაწვდის. კავშირის საშუალებით მან ერთხელ კიდევ მიმართა სასამართლოს; ეხლა ის ითხოვს არა მარტო სამსახურში აღდგენას, არამედ აგრეთვე ფულის მიღებას ფინსახკომის რწმუნებულისაგან. სასამართლო, როგორც ყოველთვის, მის მხარეზეა. ფინსახკომის რწმუნებულს კი არ სურს ფულის გადახდა. ის თავისი იურისკონსულტის პირით ლაპარაკობს, რომ ძიძავა „შეუგნებელი კაციაო“. მიდი და „შეიგუე“, როცა ცხოვრების წყაროს გისპობენ!

თვე თვეს მისდევს. ძიძავა დადის ფინსახკომის რწმუნებულთან, სასამართლოში, კავშირში. ხან ერთთან, ხან მეორესთან. რამდენი მეტი დრო გადის, იმდენი მეტი ერგება ძიძავას გაცდენილი დროისათვის.

რამდენს მეტს აჭიანურებენ საქმეს, იმდენი მეტი მოუწევს ფულად ძიძავას.

კავშირმა ძიძავას საქმე გადაგზავნა მუშათა და გლეხთა ინსპექციაში. აქ ეს საქმე საფუძვლიანად და დაწვრილებით გაირჩა. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ, ისევ როგორც სასამართლომ და კავშირმა, საჭიროდ სცნო ძიძავას აღდგენა სამსახურში და მისთვის იმ დროის ხელფასის მიცემა, რომელიც მან სხვადასხვა დაწესებულებების კიბეებზე ასვლა - ჩამოსვლაში გაატარა. თითქმის ერთი წლის ხელფასი ეკუთვნის.

გადაწყვეტილება ეცნობა ფინსახკომის რწმუნებულს. მაგრამ ამაოდ. ძიძავა კვლავ „ავად არის“, არ იქნა მისი „განკურნება“.

ძიძავა კიდევ შრომის სასამართლოში. მას აძლევენ აღმასრულებელ ფურცელს. მიდის ფინსახკომის რწმუნებულის საქმეთა მმართველთან, რომელიც ასეთ ულტიმატუმს უდგენს მას:

— თუ ფულის მიღება გინდა, დასდე ხელწერილი, რომ აღარავითარი პრეტენზია არ გაქვს და აღარ იფიქრებ სამსახურში აღდგენაზე.

ძიძავა ფიქრობს, რომ პატიოსანი მუშაკისათვის ასეთი ხელწერილის გაცემა თვითმკვლელობას უდრის.

მან არ მისცა ასეთი ხელწერილი.

საქმეთა მმართველი გაბრაზდა, გაწითლდა, დაჰკრა მაგიდას მუშტი, „შემკო ლამაზად“ და გამოისტუმრა ურჩი „ავადმყოფი“.

ეს მოხდა ამ მოკლე ხნის წინ. თვეები გადის. ძიძავაც დადის. ფინსახკომის რწმუნებული იცავს საბიუჯეტო დისციპლინას.

ფინსახკომის რწმუნებული, რასაკვირველია, იძულებული იქნება გაისტუმროს ძიძავა. რამდენად ძლიერიც არ უნდა იყვნენ, მისი აზრით ახალ - სენაკელი „ბებიები“,—მუშათა და გლეხთა ინსპექცია, სასამართლო და კავშირი, რომლებიც ძიძავას ექომაგებიან, ვგონებთ, უფრო ძლიერი აღმოჩნდებიან. შრომის კოდექსის დამრღვევთ პასუხი მოეთხოვებათ.

მაგრამ როდის?

როდის განიკურნება ახალ - სენაკის ფინინსპექტორი ძიძავა?

ნ. ს—ი.

„თანახმად“

სახელმწიფო ბანკის გამგეობის სათანადო რეკომენდაციის თანახმად მოქ. იონა გუბელაძე გაიგზავნა მოლარის თანამდებობაზე თბილისის დამზღვევ სალაროში. დღე იგი იყო 7 მაისი.

სარეკომენდაციო ბარათში მოქ. გუბელაძე დახასიათებული იყო, როგორც ერთ-ერთი პატიოსანი და საქმის მცოდნე მუშაკი. ამასთანავე კი დამზღვევ სალაროში მოლარისათვის სავალდებულო იყო ქართული ენის ცოდნა, ბანკის გამგეობის აზრით გუბელაძე პირდაპირ „ზე-გამოჭრილი“ იყო ამ თანამდებობაზე.

მაგრამ ეს რეკომენდაცია დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. აბა, რომელი რეკომენდაცია გასჭრის იქ, სადაც „თავისი სანდო კაცი“ ყოველთვის „ზაპასში“ ჰყავს დაწესებულების გამგეს. დამზღვევ სალაროს საფინანსო განყოფილების გამგემ ლაზარე მაშკევიჩმა არც კი შეხედა ბარათს, და ასეთი სიტყვებით გამოისტუმრა გუბელაძე: „ჩვენ ჩვენი კაცი გვყავს და თავს ნუ იწუხებთო“.

ბევრი ჯაფა დასჭირდა გუბელაძეს, რომ თავი შეეყო დამზღვევ სალაროში. მაგრამ საბედისწერო გახდა ეს დღე.

მოგეხსენებათ, როცა დაწესებულების უფროსის სურვილის წინააღმდეგ მოგაწყობენ სამსახურში, ყოველთვის უნდა ელოდეთ სიურპრიზს.

არ გასულა დიდი ხანი, რომ გუბელაძე თანახმად გამგის განკარგულებისა გამოაბძანეს სალაროდან. თანახმად გუბელაძის საჩივრისა ჯერ მხარეთა ბჭობა საკონფლიქტო კომისიაში. სხდომას ესწრება მუშათა და გლეხთა ინსპექციის საჩივართა ბიუროს წარმომადგენელი. მოისმინეს მოტივები ადმინისტრაციის. მუშგლეხინის წარმომადგენელი საბოლოო სიტყვაში აცხადებს, რომ თანახმად საკონტროლო კომისიის ხელთ არსებული მასალებისა მოქ. მაშკევიჩის იმ თავითვე ათვალწუნებული ჰყავდა ხელქვეითი თანამშრომელი გუბელაძე. და თანახმად მუშგლეხინის საჩივართა ბიუროს 16 აგვისტოს დადგენილებისა (№ 1856) გუბელაძის მოხსნის მიზეზები უსაფუძვლოა.

თანახმად საკონფლიქტო კომისიის 31 აგვისტოს დადგენილებისა გუბელაძის საქმე გადაეცა შრომის სასამართლოს.

ნახევარ თვეზე მეტი გავიდა, სანამ შრომის სასამართლოს სხდომა დაინიშნებოდა. 22 სექტემბერს საქმე დაინიშნა. გუბელაძე ხელების ფშვნეტით, აღელვებული სახით დადის სხდომის დარბაზში და უცდის, როდის გამოცხადდება მოწინააღმდეგე მხარე და როდის გადაწყდება მისი ბედი.

შრომის სასამართლო ადგენს: თანახმად ამა და ამ სავალდებულო წესისა, ვინაიდან მოპასუხე მხარე (ამ შემთხვევაში ლ. მაშკევიჩი) არ გამოცხადდა, საქმე გადაიდოს.

ეს ამბავი ეცნობა მუშათა და გლეხთა ინსპექციის საჩივართა ბიუროს. მან თანახმად 22 სექტემბრის დადგენილებისა (№ 2103) მოითხოვა საქმის სასწრაფოდ გარჩევა.

დაინიშნა საქმე 29 სექტემბერს. შეიკრიბა შრომის სასამართლო და დაადგინა: თანახმად უზენაეს სასამართლოს 1927 წ. 15 აპრილის განმარტების მე-3 მუხლისა საქმის გარჩევა შეწყდეს, რადგან ეს აღნიშნულ სასამართლოს არ ექვემდებარება.

თურმე რაშია საქმე?

უზენაეს სასამართლოს 15 აპრილის პლენუმის დადგენილება უკვე დიდი ხანია ვადა გასული და გაუქმებულია. ასე რომ თანახმად ოლქის სასამართლოს საკასაციო განყოფილების განმარტებისა, საქმე ექვემდებარება შრომის სასამართლოს და კიდევაც უნდა გაარჩიოს მან.

გუბელაძე უკვე დაიბნა ამდენ განკარგულებაში. აღარ იცის რომელი განკარგულების თანახმად რა დაემართება.

ჩვენ კი ვიტყვით, რომ ასეთი უმზგავსოების თანახმად ექვსი თვეა კაცი წვალობს, შესდგა ქაღალდების მთელი მთა (150 ფურცლამდე), შეწუხდა ამდენი ხალხი, დაიკარგა ძვირფასი დრო, და როგორც საქმიდან სჩანს, დაწესებულება ვალდებულია ფული აძლიოს გუბელაძეს, სანამ კანონიერ დაკმაყოფილებას არ მიიღებს. ვფიქრობთ, რომ ამაში დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს თანახმად კანონიერებისა.

ზურ.

საკანალიზაციო გადასახადი

თბილისის საკანალიზაციო ქსელის გაფართოებისა და არსებულ ქსელის შეკეთებისა და ქალაქში სანიტარულ - ჰიგიენურ პირობების გაუმჯობესება - დაცვის მიზნით თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით 1 ოქტომბრიდან შემოღებულია საკანალიზაციო ქირა. ამ დადგენილების ძალით ყველა სახელმწიფო, კერძო და საზოგადო დაწესებულებები და სახლთმფლობელები და ქარხანა - ფაბრიკები საკანალიზაციო ქირის სახით იხდიან ფაქტიურად დახარჯულ წყლის საფასურის ერთ-მესამედს. თუ რომელიმე სახლთმფლობელობას არა აქვს წყალსადენი, მაგრამ სარგებლობს კანალიზაციით, იხდის სულზე ოთხი ვედრის ანგარიშით საჭირო წყალის ერთ მესამედს.

თუ გამოირკვა რომ წყალი ჩვეულებრივზე მეტი იხარჯება კანალიზაციისათვის, გაჟონვის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო; სახლთმფლობელობა იხდის ნორმალურად დახარჯულ წლის გაორკეცებულ ნორმის ერთ-მესამედს.

წყალსადენის დაკეტვა არ ანთავისუფლებს სახლთმფლობელობას საკანალიზაციო ქირისაგან.

კანალიზაციის საფასურის რაოდენობის განაწილება სწარმოებს მდგმურებზე წყლის გადასახადის აკრეფის წესით დახარჯულ წყლის ფულთან ერთად.

სამელიორაციო ამხანაგობათა მუშაობა

საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველომ შეკრიბა და დაამუშავა ცნობები რესპუბლიკაში არსებულ სამელიორაციო ამხანაგობების მუშაობის შესახებ 1926—27 საბიუჯეტო წლის განმავლობაში და ამასთანავე ერთად გამოარკვია სამელიორაციო მიზნებით გაცემული კრედიტების რაოდენობა.

გასული საბიუჯეტო წლის საოპერაციო გეგმის თანახმად, ყველა სამელიორაციო ამხანაგობებს უნდა მისცემოდათ კრედიტის სახით— 200.000 მანეთი, მაგრამ ვინაიდან სამელიორაციო ამხანაგობებმა გასულ წელს გამოიჩინეს მუშაობის დიდი უნარიანობა და შესრულეს პროგრამით გათვალისწინებულ სამუშაოებზე მეტი, ამის გამო დადგენილი იქნა კრედიტების რაოდენობაც — 200.000 მანეთიდან 211.000 მანეთამდე.

ამ თანხიდან ცალკე სამელიორაციო ამხანაგობებს მიეცათ: დიმი - როკითის ამხანაგობას— 105.000 მან., მაშველის სარწყავი არხის გამყვან ამხ-ბას — 34.000 მან., საბჭოთა არხის ამხ-ბას —5.000 მან., ხონი - სამტრედია - მათხოჯის ამხ-ბას 10.000 მან., სვირი - აჯამეთის ამხ-ბას — 43.000 მანეთი, წილკანისას — 3.000 მან., ზინობიანისას — 3.000 მან. და მარიანეულის ამხანაგობას — 5.000 მანეთი.

გარდა ამისა გაცემული იყო კრედიტი სოფ. კოტელიაში (ახალქ. მ.) და სოფ. ჩალაუბანში (სიღ. მ.) წყალსადენების გასაყვანად. ორივე სოფელში მოწყობილია სამელიორაციო ამხანაგობები, რომელთაც სესხის სახით მიეცათ— 3.000 მანეთი.

მეცნიერება და ტეხნიკა

მიწისძვრები

ჩვენ ვიცით, რომ დედამიწის ზედაპირის ფორმა არ იყო მუდამ ისეთი, როგორიც ახლაა და რომ იგი მომავალშიც შეიცვლის სახეს. მატერიკებსა და ზღვებს, მთებსა და ველებს, მდინარეებსა და წყაროებს ყველას თავისი ისტორია აქვს. ყოველ დღეს ახალ ახალი ცვლილებები მოაქვს. დედამიწის ზედაპირის შემცვლელი ძალები ორ ჯგუფათ დაიყოფიან. პირველი ჯგუფის ძალები წარმოიშვებიან თვით დედამიწის წიაღში, მეორე ჯგუფის კი—მის გარეშე. პირველ ჯგუფს ეწოდება ტელურიული (ტელუს დედამიწა) ძალები, მეორეს—სიდერიული (სიდუს—ვარსკვლავი). ტელურიულ ძალების ჯგუფს ეკუთვნიან: მიწისძვრები, ვულკანები, ცეცხლმფრქვეველ მთების მოქმედება და მთების წარმოშობი პროცესები. ეს ძალები იწვევენ დედამიწის ზედაპირის უსწორ-მასწორობას, ამოზნექილობას, ამაღლებული და ვაკე ადგილებს. მზის სითბო იწვევს წყალის აორთქლებას, წვიმისა და თოვლის ვარდნას, მდინარეების და ზღვების მიმდინარეობათა მოძრაობას. სიცივეს და სითბოს ცვალებადობას, ჰაერის მოძრაობას და ცხოველთა და მცენარეულობათა სამეფოს წარმოშობას. მზის სითბოს მიერ წარმოშობილი ძალები სიდერიული ძალებია. დედამიწის ზედაპირის ფორმა ყოველ გარკვეულ მომენტში არის ამ ორი ჯგუფის ძალთა ზეგავლენის შედეგი.

დედამიწის ზედაპირის ცვლილებას და მის გამომწვევ მიზეზებს შეისწავლის მეცნიერება გეოლოგია, რომელიც, როგორც მეცნიერული დისციპლინა, მე-18-ე საუკუნეში ჩამოყალიბდა. აქ ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ მიწის ძვრას და იმ როლს, რომელსაც თამაშობს ელექტრობა მიწისძვრის დროს. როგორც ბუნების სხვა მრავალ მოვლენებს, ისე მიწისძვრასაც ადამიანი ძველად ზე-ქვეყნიურ ძალას მიაწერდა. კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟზე ადგილი ქონდა ერთ დიდ კატასტროფიულ მოვლენას, რომლის შესახებ ცნობამ ჩვენამდე ლეგენდების და გადმოცემების სახით მოაღწია. ეს მოვლენა (ცნობილია წარღვნის სახელწოდებით) და მის შესახებ მოგვითხრობენ ებრაელთა „სამღვთო“ წერილი და ასურელთა ლურსმულ წარწერებში დაცული პოემა.

ცნობილია, რომ წყალის დიდი მასები ზღვებიდან ან დიდ მდინარეებიდან ხმელეთზე მოექანებიან და ლეკავენ ყველაფერს, რაც გზაზედ შეხვდებათ ან მიწისძვრის დროს ან საშინელ ციკლონის გრიგალის დროს. მაგალითად: 1737 წლის 11 ოქტომბრის წყალდიდობის დროს ინდოეთში (სადაც გრიგალი ხშირი მოვლენაა) მიწისძვრას ქონდა ადგილი. მდინარე განგის დონემ 12 მეტრით აიწია და თავის ტალღებში 300 ათასი სული იმსხვერპლა. 1876 წელს ბენგალის უბეში ამოვარდნილმა გრიგალმა ზღვის ტალღები ხმელეთზე მოაგორა, დაფარა 8.500 კვადრატიული კილომეტრი და 250.000 კაცი გამოძვინვარებულ ზვირთებში დაიღუპა. გაზეთებიდან ვიცით, რომ მიმდინარე წლის სექტემბრის შუა რიცხვებში აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვის ძლიერ ძვრას მოჰყვა იაპონიის მრავალ ქალაქების და სოფლების წალეკვა. აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვის ფსკერზე მომხდარ ძვრის ტალღებმა შემოარტყეს რა დედამიწის გარშემო, ყირიმში გამოიწვიეს ძლიერი მიწისძვრები, რამაც დიდათ დააზარალა ეს კუთხე.

ცნობილი გეოლოგი ზიუსი ფიქრობს, რომ იმ დიდ კატასტროფაში, რომლის შესახებ მოგვითხრობენ ასურელთა უძველესი ლურსმული წარწერები და ებრაელთა საღვთო წერილი, ერთ უმთავრეს როლს თამაშობდა მიწის ძვრა.

იშვიათია დედამიწის ისეთი მხარე, სადაც არ იცოდეს მიწისძვრა.

ხმელთა შუა ზღვის ნაპირები, ჩრდილოეთი აფრიკა, პირენეის ნახევარ კუნძული, იტალია, ბალკანეთის ნახევარ კუნძული, მცირე აზია, კავკასია, სპარსეთი, თურქესტანი, ინდოეთი, ჩინეთის აღმოსავლეთი ნაწილი, იაპონია, ამერიკის ნაპირები—აი ის ქვეყნები, სადაც მიწისძვრები ხშირი მოვლენაა. გერმანიის ჩრდილოეთი, საფრანგეთის უდიდესი ნაწილი, ინგლისი, შვეცია, ნორვეგია, ბრაზილია, უდაბნო სახარას სამხრეთით მდებარე აფრიკა, ევროპიული რუსეთი და ციმბირი უფრო იშვიათად განიცდიან აღნიშნულ გეოლოგიურ კატასტროფას.

როგორც აღვნიშნეთ, მიწისძვრა ხშირად იცის კავკასიაში: ქალაქ შემახის სრული განადგურება რამდენჯერმე, მიწისძვრა ქ. ვანის მიდამოებში. გავიხსენოთ გორის დანგრევა 1920 წლის თებერვალში და დიდი მიწისძვრები შარშან ლენინაკანში.

საქართველოში ძველად მომხდარ კატასტროფიული მიწისძვრის შესახებ ცნობა შენახულია ს. ქართველის მატიანეში. მიწისძვრა მომხდარა 1088—1089 წ. წ. და მის მიერ მოტანილ საშინელებას ასე აწერს მემატიანე: „უფალმან... შეძრა ქუეყანა საფუძველითურთ ესეოდენ სასტიკად, ვიდრემდის მთანი მაღალნი და კლდენი ძლიერნი სახედ მტუერისა დაიგალნეს, ქალაქნი და სოფელნი დაირღუნეს, ეკლესიანი დაეცნეს, სახლნი დაითქუნეს და დაირღუა და იქმნეს საფლავ მას შინა მკვიდრთა, რომელთა თანა თმოგუიცა დაიქცა და დაიპყრა ქუეშე კახაბერი ძე ნიანიასი ცოლითურთ“. ეს მიწისძვრა, რომელმაც მრავალი ხალხი იმსხვერპლა, გაგრძელებულა „განსრულებამდე წელიწდისა“.

მიწისძვრების წარმოშობის შესახებ არსებობს ორი ჰიპოტეზა: ერთი მათგანი ამბობს, რომ მიწისძვრებს იწვევს ზღვების და ოკეანების წყალის ჩასვლა დედამიწის შუაგულში, სადაც ამ თეორიის მიხედვით იმდენად დიდი ტემპერატურაა, რომ ყველაფერი გამდნარია. ასეთ დიდ ტემპერატურის გავლენის ქვეშ ზღვის წყალი უცბად იქცევა ორთქლად და ვეღარ ეტევა რა დედამიწის წიაღში, ეძებს გამოსავალ გზას, რის ორთქლაც იწვევს დედამიწის ქერქის რყევას. მეორენი ფიქრობენ, რომ მიწისძვრებს იწვევს დედამიწის ქერქში მყოფ სიცარიელეების ჩანგრევა.

მიწისძვრებს და ცეცხლმფრქვეველ მთების ამოხეთქვას, როგორც ეს შემჩნეულია მრავალ დაკვირვების დროს, წინ უსწრებს ან თან სდევს ძლიერი მაგნიტური და ელექტრო მოვლენები. დედამიწის ელექტრობის ძლიერი დენები, რომლებიც მოქმედებენ, როგორც დედამიწის ზედაპირზე, ისე დედამიწის სიღრმეში, წარმოიშობიან არა მარტო მზის ელექტრო ნაკადების ინდუქციით. არამედ, როგორც ამბობს ერთი ფიზიკოსი, დედამიწის სიღრმის სითბოთი. ამ სითბოს გავლენის ქვეშ დედამიწის ქერქში მყოფი ლითონის მადნეულობის ძარღვები მოქმედებენ, როგორც ვეებერთელა სიდიდის თერმოელექტრული ელემენტები და წარმოშობენ მიწის ქვეშა დენებს. და ბოლოს დედამიწის ქერქში მომხდარ სხვადასხვა ქიმიურ პროცესებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ დიდ რაოდენობის ელექტრო-ენერგიის წარმოშობას.

მიწისძვრები რაღაც კავშირში იმყოფებიან ატმოსფერულ ელექტრობის ცვლილებასთან. ამ დროს ადგილი აქვს სინათლის და ელექტრობის მოვლენებს. ნორმალურად აღარ მუშაობენ ტელეგრაფი და ტელეფონი. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი ცხოველები და ადამიანებიც მიწისძვრის წინ გრძნობენ რაღაც მოუსვენრობას, როგორც ელვა-ჭექის დროს. ცხადია აქაც ადგილი აქვს ელექტრო-მოვლენებს, რომლებიც დაკავშირებული არიან მომავალ მიწისძვრასთან, რადგან იმ დროს სხვა რაიმე ბუნების მოვლენას ადგილი არა აქვს.

თუ გავიხსენებთ იმასაც, თუ რაოდენ დიდი ელექტრო-ტვირთი დააქვს ზოგიერთ ელჭექებს, მაშინ შევვიძლიან დაუშვათ, რომ ამა თუ იმ მომენტში, ელექტრობის გამომყოფ მთების მწვერვალებზე, დედამიწის ზედაპირის სხვადასხვა შრეების გამტარებლობის სხვადასხვაობის გამო, თავს იყრის ელექტრობის ისე დიდი რაოდენობა, რომ დაცლის დროს მათ შეუძლიათ გამოიწვიონ დედამიწის ქერქის შესამჩნევი დეფორმაცია ან და თვით მიწისძვრაც. შემჩნეულია აგრეთვე, რომ მიწისძვრების დროს დიდ ანორმალობას განიცდის მაგნიტური ისარი.

კ. ბ—ძე.

ხელოვნური აუზები უდაბნოში

უდაბნოებში, უწყლო ადგილებში, ხშირად მოიპოვება არა-ღრმა აუზები, რომლებშიც წყალი არასოდეს არ შრება მიუხედავად იმისა, რომ მათ არ ერთვის არავითარი ღელე და არც სადმედან იღებენ წყალს. როცა ძლიერი აორთქლება ან წყალის ხარჯვა ადამიანების და წყალის სასმელათ მოსულ ცხოველების მიერ ამცირებს წყლის მარაგს აუზში, უკანასკნელი ჩქარა ივსება სრულიად ახალი წყლით. მიუხედავად იმისა, რომ წვიმა არ მოსულა.

ქაღალდებში, რომელიც დარჩა ცნობილ ბუნებისმეტყველ დიუბუა-რეიმონის შემდეგ, იპოვეს დღემდი დაუბეჭდავი წერილი, რომელშიც მოცემულია ამ უცნაური მოვლენის მეტად საინტერესო ახსნა.

დიუბუა-რეიმონი ფიქრობს, რომ ეს, ე. წ. „ცის აუზები“ მოწყობილია უძველეს ადამიანების მიერ, რომლებმაც აღმოაჩინეს შემდეგში სრულიად დავიწყებული წესი ამ აუზების ამოშრობის თავიდან აცილებისა. დიუბუა-რეიმონი მიუთითებს, რომ ინგლისში ამჟამად აწყობენ აუზებს, რომლებიც მაშინათვე შრებიან, თუ საიდანმე წყალმა გზა გაიკვლია ამ აუზებში.

ასეთ აუზების მოწყობის წესი, შემდეგში მდგომარეობს: პირველათ თხრიან ორმოს, რომლის სიდიდე სჭარბობს განზრახული აუზის სიდიდეს. მთელ ორმოს ფარავენ მშრალი ჩალის ფენით, რომელიც, თავის მხრივ, იფარება კარგი თიხით. შემდეგ თიხას რამდენათაც შეიძლება მჭიდროთ ფარავენ დიდი ქვებით. ჩალის ფენა მთლიანად უნდა იყოს დაფარული თიხით. ერთი ღამის განმავლობაში აუზი თავისით ივსება წყალით.

ეს ფრიად საინტერესო მოვლენა, როგორც ჩანს, აიხსნება იმით, რომ თიხა უფრო თბილ ჰაერიდან იზიდავს სინესტეს და მთელ აუზს აქცევს ნამის დიდ ქურჭლად. და ბოლოს, ამითვე აიხსნება ისიც, რომ აუზი [illegible], როგორც კი აუზში წყალი გაიკვლევს გზას მიწიდან: ჩალა შრება და აღარ ასრულებს როლს სითბოს იზოლიატორისას ნიადაგსა და თიხას შორის.

რომ ეს აუზები მოწყობილია უძველეს ადამიანების მიერ, დიუბუა-რეიმონის აზრით ამას ამტკიცებს ამ აუზების რგვალი ფორმა და აგრეთვე ისიც, რომ მათი უმრავლესობა ნაპოვნია უძველეს ციხე-სიმაგრეთა ნანგრევებთან.

„ცის აუზების“ გამოყენების შესახებ ჩვენს დროში დიუბუა-რეიმონი სწერს:

„სამხრეთის ქვეყნების უწყლო ველებში მხურვალე ჰაერი ხშირად შეიცავს საკმაო წყალს, რომ ღამით ადგილი ჰქონდეს დიდ ნამიანობას. ალბათ, ხშირად ცხოველები და ადამიანები იღუპებოდნენ წყურვილისგან იმ დროს, როცა ჰაერი, რომლითაც ისინი სუნთქავდნენ, შეიცავდა ათასეულ ლიტრ წყალს. შესაძლოა, რომ თანამედროვე ტეხნიკა შეძლებს უძველეს ადამიანთა აუზების გაუმჯობესებას და ამგვარ აუზების მოწყობით ხელს შეუწყობს მომსვლელის მოწყობას ამჟამად გაუვალ უდაბნო-ველებში“.

ახალი მთაგრეხილი

წარსული წლის გაზაფხულზე საკავშირო გეოლოგიურმა კომიტეტმა მოაწყო გეოლოგიური ექსპედიცია მდ. ინდიგირკაზე (ციმბირის ჩრდ. აღმოსავლეთ მხარეში). ექსპედიცია ოთხი სამეცნიერო მუშაკის შემადგენლობით, გეოლოგ ს. ვ. ობრუჩევის მეთაურობით 1926 წ. მაისში გაემგზავრა იაკუტთა რესპუბლიკაში. ექსპედიციამ საშინლათ მძიმე პირობებში, ჭაობებში, რომლებიც გაჟღენთილი არიან რამოდენიმე ასეული კილომეტრის მანძილზე, გადალახა ვერხოიანსკის მთაგრეხილი და გადავიდა ინდიგირკის მხარეში (ალდანიდან ჩრდილოეთით), რომლის შესახებაც დღემდი ძლიერ მცირე ცნობები მოიპოვებოდა.

ეს მხარე, — სივრცით მილიონი კვ. კილომეტრი, — არასოდეს არ ყოფილა გამოკვლეული მეცნიერულად. ქარტის უქონლობის გამო, ექსპედიცია ადგილობრივი მცხოვრებლების გამოკითხვის საშუალებით იკვლევდა გზას.

დიდი მომქანცველი გზის გავლის შემდეგ, ექსპედიციამ მოულოდნელად აღმოაჩინა ცხრა დიდი მთა-გრეხილი, სიმაღლით 3½ კილომეტრი, რომლებიც მდებარეობენ ვერხოიანსკის მთაგრეხილის პარალელურად. იაკუტები ამ მთიან მხარეს უწოდებენ „კირტას“-ს. მთები მუდმივი თოვლით არის დაფარული.

კირტასის მთებს რამდენიმე ადგილას სჭრიან მდინარეები: იანა, ინდიგირკა, კოლიმა და მათი შენაკადები. ს. ვ. ობრუჩევის დასკვნით ამ მხარეში მრავლათ უნდა მოიპოვებოდეს ოქროს მადნები.

მოსახლეობა იშვიათია, ცხოვრობენ უმთავრესად იაკუტები და ტუნგუსები. დიდი გავლენით სარგებლობენ იაკუტების მთავრები—ტოიონები, რომლებიც საშინლათ ყვლეფენ ტუნგუსებს, ამ უცნობი მხარის მცხოვრებლებს.

ექსპედიციამ დაჰყო გზაში 8 თვე და მხოლოდ წ. წლის დეკემბერში დაბრუნდა იაკუტსკში. უკანასკნელ თვეებში ექსპედიციის მონაწილეებს ძლიერ გაუჭირდა საქმე სიცივეებში. (50—60 გრად. სიცივეებში ექსპედიციის მონაწილეებს ეძინათ კარვებში), რის გამო სამი მათგანი მძიმედ გახდა ავად.

დღემდი ყველაზე ცივ ადგილად დედამიწაზე—„სიცივის პოლიუსად“—ითვლებოდა, ქ. ვერხოიანსკი. ექსპედიციამ, ვერხოიანსკის მთაგრეხილის აღმოსავლეთ ნაწილის გამოკვლევის დროს, მდ. ინდიგირკის მიდამოებში აღმოაჩინა ადგილები კიდევ უფრო დაბალი ტემპერატურით.

კანოპუსი—სამყაროს ცენტრი

მზის შესახებ შექმნილია ისეთი წარმოდგენა, თითქოს ის იყოს სამყაროს უდიდესი მნათობი და ვერ წარმოგვიდგენია არსებობა მზეზე დიდი ციურ სხეულის.

ასეთი სხეული კი არსებობს. ეს არის — ვარსკვლავი კანოპუსი: უდიდესი უდიდეს მნათობთა შორის, რომელიც მთელ რიგ წლების განმავლობაში მეცნიერებს ეგონათ ჩვეულებრივი, საშუალო ზომის ვარსკვლავი.

ყველა წარმოდგენები სამყაროს ნამდვილი ცენტრის შესახებ ძირ-ფესვიანად დაარღვია ასტრონომ ვალკეის გამოკვლევებმა. ვალკეი რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში აწარმოებდა კანოპუსის შესწავლას.

ვალკეის დაკვირვების შედეგები პირდაპირ განსაცვიფრებელია: კანოპუსის მოცულობა ორმილიონ ოთხას ოციათას ჯერ უფრო დიდია, ვიდრე მზის მოცულობა, ე. ი. კანოპუსის მასა იმდენად დიდია, რომ მის მსგავს „ბურთის“ დასამზადებლად საჭირო იქნებოდა 3 ტრილიონ 146 მილიარდ ცალ დედამიწის ოდენა ბურთების შეერთება.

ჩვენგან კანოპუსი დაშორებულია 489 სინათლის წელიწადით. (სინათლის წელიწადი ეწოდება მანძილს, რომელსაც სინათლის სხივი გაივლის ერთ წელიწადში). ეს იმას ნიშნავს, რომ ის სუსტი ციმციმი, რომელსაც გვიგზავნის ჩვენ ეს „პატარა ვარსკვლავი“ და რომელსაც ასტრონომები ხედავენ მხოლოდ თავიანთ ტელესკოპებში, კანოპუსიდან „გამოგზავნილია“ 1.438 წლის წინათ, ოქტომბერში სინათლის სხივი წამში გაივლის 300.000 კილომეტრს. უბრალო გამრავლებით გამოვარკვევთ, რომ დედამიწიდან კანოპუსამდე ძლიერ „ახლოა“—ოთხი კვადრილიონ ექვსას ოცდაცხრა ტრილიონი (4.629.000.000.000.000) კილომეტრი პირდაპირი მიმართულებით.

ვალკეი ამტკიცებს, რომ კანოპუსი არის ნამდვილი ცენტრი, სამყაროსი, რომელშიც ჩვენი მზის სისტემა ძლიერ უმნიშვნელო როლს თამაშობს.

ახალი საშუალება გაციების წინააღმდეგ

გერმანიაში ამჟამად წარმატებით სარგებლობენ ახალი საშუალებით ჭლექის დაწყებითი სტადიის, ციების და გაციების წინააღმდეგ. მკურნალობა მდგომარეობს იმაში, რომ პაციენტი ისუნთქავს განსაკუთრებული ქიმიური ხსნარის ორთქლს. ორი-სამი სეანსის შემდეგ იწყება ჯანმრთელობის გაუმჯობესება. უფრო ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ—სრული განკურნება.

მეტად საინტერესოა ამ საშუალების აღმოჩენის ისტორია. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ შენიშნეს, რომ ერთი დიდი ქიმიური ქარხნის განყოფილების (ფრანკფურტში) მუშები არასოდეს არ განიცდიან სასუნთქ ორგანოების ავადმყოფობას—უძლიერეს ეპიდემიების დროსაც კი.

ექიმები დაინტერესდნენ ამ გარემოებით და მოახდინეს ამ ფაბრიკის მუშების საექიმო გამოკვლევა. გამოირკვა, რომ ხსენებული განყოფილების მუშებს თითქმის ყველას ჯანსაღი ფილტვები აქვს იმ დროს, როცა სხვა განყოფილების მუშები ამ მხრივ არ განირჩევიან ქალაქის დანარჩენი მოსახლეობისაგან.

ექიმებმა ეს მოვლენა მიაწერეს იმ ქიმიურ ნივთიერებათა მჟავეების ორთქლის სამკურნალო თვისებებს, რომლებთანაც ამ განყოფილების მუშებს ჰქონდათ საქმე.

მოახდინეს ცდები ცხოველებზე. მათ დაამყნეს ჭლექი, ამის შემდეგ ჭლექიან ცხოველების ნაწილი მოათავსეს ხსენებულ ქიმიური ხსნარის ორთქლით გაჟღენთილ ატმოსფერაში. ცხოველების ეს ნაწილი ჩქარა განიკურნა. მეორე ნაწილი კი დაიხოცა მოკლე დროში.

ახალი საშუალების, გასაყიდათ გამოშვებამდე მთელ რიგ წლების განმავლობაში ცდიდენ ადამიანებზე კლინიკურ პირობებში.

500 კილომეტრი საათში

ახლო ხანში იტალიაში გაიმართება აეროპლანების შეჯიბრება სისწრაფეზე.

სურათზე ნაჩვენებია სპეციალურად შეჯიბრებისათვის ინგლისში აგებული აეროპლანი „სუპერ-მარინ-ნეპირ“, რომლის სისწრაფე საათში იქნება 500 კილომეტრამდე.

უნდა გავიხსენოთ, რომ 500 კილომეტრი—ეს არის მესამედი იმ სისწრაფისა, რომლითაც დედამიწა ბრუნავს თავის ღერძის გარშემო. მფრინავი, რომელიც ამ აეროპლანით მონაწილეობას მიიღებს შეჯიბრებაში, ამჟამად სპეციალურად მეცადინეობს, რომ ორგანიზმი შეეჩვიოს ამ საშინელ სისწრაფეს.

გამოუკვლევი მიწები



ყოველწლიურად აურაცხელი ექსპედიციები იგზავნება სხვადასხვა ქვეყნების გამოსაკვლევათ, ზამთარ-ზაფხულობით ასეული ათასი ტურისტები არიან გაფანტული დედამიწის პირზე და მოგზაურობენ ერთი კუთხიდან მეორეში. ასეთ პირობებში, თითქო, კუნძულიც კი არ უნდა იყოს დედამიწაზე დარჩენილი შეუსწავლელი და გამოუკვლევი. მაგრამ, თურმე, ვცდებით. დედამიწაზე კიდევ ბევრი რამ ყოფილა აღმოსაჩენი და შესასწავლი.

აქ მოყვანილ რუქაზე შავი საღებავით არის აღნიშნული დედამიწის ის კუთხეები, რომლებიც ჯერ კიდევ ელიან თავის მკვლევარებს და მრავალი ექსპედიციები იქნება საჭირო, სანამ ჩვენს ბებერ დედამიწას მთლიანად და საფუძვლიანად შევისწავლიდეთ.

ქალაქები, რომლებიც მოგზაურობენ

ჩვენს წარმოდგენაში დედამიწის ქერქი წარმოადგენს რაღაც უცვლელს და მხოლოდ კატასტროფიული მიწისძვრები არღვევენ მის მყუდროებას, სძრავენ მიწის ღრმა ფენებს და წარმოშობენ ახალ მთებს. ამჟამად უკვე გამორკვეულია, რომ ასეთ მოვლენებს ადგილი აქვს კატასტროფიული მიზეზების გარეშეც.

დაკვირვებების საშუალებით დადასტურდა, რომ ბავარიის ქალაქებს — მიუნქენსა და ვალდენშტეინის შორის მანძილი შემცირდა. ამ მოვლენას გერმანელი გეოლოგები ხსნიან დედამიწის ქერქზე ნაოჭების წარმოშობის შეუმჩნეველი პროცესით.

გამორკვეულია, რომ უდიდესი ტერიტორიები მიუნქენიდან აღმოსავლეთით ნელა მისცურავენ აღმოსავლეთიდან დასავლეთით. გეოლოგებმა აღმოაჩინეს, რომ 1000 წლის განმავლობაში ადგილები, რომლებიც მდებარეობდენ ამ ოლქის ორ, ერთი - მეორის საწინააღმდეგო პუნქტში, ერთმანეთს დაუახლოვდენ 18 მეტრით. ევროპის ზოგიერთ სხვა კუთხეებში დედამიწის ქერქის ეს გადანაცვლება უფრო სწრაფად ხდება. ბელგიაში, მაგალითად, არსებობენ რაიონები, სადაც ნიადაგი მოძრაობს ერთი მეტრის სისწრაფით 30 წელიწადში.

დედამიწის ქერქის გადანაცვლება მარტო ხმელეთზე როდი ხდება. საინტერესო მოვლენაა შენიშნული ატლანტის ოკეანის ფსკერზეც. გამოირკვა, რომ დროთა განმავლობაში, ოკეანეს ფსკერი მაღლდება. „წმ. ელენეს“ კუნძულის ახლო დაგებული კაბელის რემონტის დროს გამოირკვა, რომ ეს კაბელი, რომელიც მეოთხედი საუკუნის წინ დაგებული იყო 4.500 მეტრის სიღრმეზე, ახლა მხოლოდ 1.100 მეტრის სიღრმეზე იმყოფება.

ცხენები სათვალეებით

ის, რასაც ყველა სხვა ქვეყნებში მიიღებდენ ხუმრობათ, სინამდვილეთ იქცა შეერთებულ შტატებში: ცუდი მხედველობის მქონე ცხენებს უკეთებენ სათვალეებს. რომელთა შერჩევას აწარმოებს ბითალი-ექიმი. სათვალეები ცხენებისათვის პირველად შემოიღო ამერიკელმა ბითალმა ემონსმა.

ქ. სარატოგაში ყოველწლიურად იმართება ცხენების დიდი დოღი. ემონსმა შეამოწმა დოღში მონაწილე ცხენების მხედველობა და დარწმუნდა, რომ მათ 10 პროც. მხედველობა, სუსტი აქვს. მხედველობის გამოკვლევა სწარმოებს სპეციალური აპარატის—ოფტალმოსკოპის საშუალებით.

როცა ემონსმა ურჩია ცხენების პატრონებს რომ არანორმალურ მხედველობის მქონე ცხენებისათვის გაეკეთებიათ სათვალეები. მისი წინადადება პირველ ხანებში არავის არ მიუღია სერიოზულად. რამდენიმე ხნის შემდეგ ცხენების ერთ-ერთ უდიდეს თავლის პატრონმა ბრედლიმ, მისცა ნება ემონს გაეკეთებია სათვალეები ოთხ ცხენისათვის. გამოირკვა, რომ ოთხმა სათვალეებიანმა ცხენმა მუშაობის დროს უფრო მეტი ენერგია გამოიჩინა, ვინემ წინათ. ამის შემდეგ სათვალეები ცხენებისათვის, ალბათ აღარ იქნება დაცინვის საგანი.

ყაზბეგის ჰიდრო-ელსადგური

გავანათოთ ხევი

არ არსებობს თითქმის არც ერთი კუთხე საქართველოში, სადაც საბჭოთა რესპუბლიკის მშენებლობას თავის სხივი არ შეეტანოს და ნაყოფი არ გამოეღოს. ყაზბეგის რაიონიც ერთ-ერთ განაპირა კუთხეს წარმოადგენს საქართველოში, სადაც საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე არავითარ საზოგადოებრივ მნიშვნელობის მშენებლობას არ ქონია ადგილი. 1921 წლის შემდეგ ჩვენ აქ ვხედავთ მრავალ მიღწევებს, მომატებულია რიცხვი პირველ დაწყებით სკოლების, მეორე წელია არსებობს სოფლის ახალგაზრდობის სკოლა, არსებობს სასოფლო სამეურნეო კოოპერატივი მეცხვარეთა ამხანაგობა „თერგის ხევი“, დაარსებულია ორი სამომხმარებლო კოოპერატივი, შენდება რძის გადასამუშავებელი ქარხანა და სწარმოებს სხვა სახის კულტურულ-საზოგადოებრივი მუშაობა.

ამ მოკლე ხანში დაიწყება აგრეთვე წყალსადენის გამოყვანა, რაშიც მოსახლეობა თვითდაბეგვრის საშუალებით და გარეშე დახმარებით ენერგიულ მონაწილეობას ღებულობს. გადადგმულია ნაბიჯი ელსადგურის დასაარსებლად, შემდგარია საინიციატივო ბიურო, რომელიც ხელმძღვანელობს დუშეთისათვის ამ დიდი მნიშვნელობის საქმის შესრულებას.

მოწვეული იყო სპეციალისტი. შედგენილია ხარჯთაღრიცხვა. და ეხლა მიღებულია ღონისძიებანი საშუალებების გამოსანახად.

ადგილობრივი კულტურული და საზოგადოებრივი დაწესებულებებიც აღტაცებით შეხვდა ხევში ელსადგურის აშენების აზრს. ეს სადგური გაანათებს ყაზბეგის და მის მახლობელ სოფლების მშრომელ გლეხკაცების ქოხებს და ესეც სხვა მიღწევებთან ერთად დაედება საფუძვლად ახალ გამარჯვებას ხევში, მაგრამ, ცხადია, ასეთი დიდი საქმის შესრულება არ ძალუძს მარტო ყაზბეგს. საჭიროა ასეთ სერიოზულ წამოწყებას გამოეხმაუროს საბჭოთა სამეურნეო კულტურული და საზოგადოებრივი დაწესებულებები.

ყაზბეგის მშრომელთა სახელით ელსადგურის საინიციატივო ბიურო იმედს გამოსთქვამს, რომ მუშურ-გლეხური მთავრობა, საბჭოთა საზოგადოებრივობა ცალკე მოქალაქენი შესაფერის დახმარებას გაუწევენ ადგილობრივ გლეხობას ელსადგურის აშენების საქმეში.

საინიციატივო ბიუროს თავ—რე
გ. ლუდუშაური.

გამოწვევა

ყაზბეგის ჰიდრო ელექტრო სადგურის ასაგებად შემომაქვს 20 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: 1) ალექსანდრე ჯაშიევს, 2 ვლადიმერ ოსეპჩუკს, ექიმ მიხეილ ზანდუკელს, 4) ინჟინერ ბილანიშვილს, 5) ინჟინერ მამრაძეს, 6) კოლია ბახტაძეს, 7) ინჟინერ ნიკო კორინთელს, 8) კოლია წულუკიძეს, 9) რომან კუპრავას, 10) ვასო ქურდაძეს, 11) არჩას ივანესძე ცურინოვს, 12) გიორგი გაბრიელისძე ფიცხალაურს, 13) ინჟინერ ბორის ალექსისძე ლუნიაკინს, 14) ფესიუკს, 15) ინჟინერ მელიქ-ფაშაევს, 16) ინჟინერ ზუნტურიდს, 17) ინჟინერ ბუზოლლის, 18) ინჟინერ კონსტანტინე ანტონოვს.

ყაზბეგის ჰიდრო ელსადგურის ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს ათი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს.

კოტე ბუაჩიძეს, ს. ბესელიძეს, ს. თავდიშვილს, მ. ჩოფიკაშვილს და გუნაშვილს, კოწია კანდელაკს, ი. ბოლნაშვილს, ს. ჯულელს, რ. დუმბაძეს; ვ. ცაგანელს; მ. ოკუჯავას; ვ. ბახტაძეს; ნ. კიკნაძეს, კ. ლაჩყებიანს, ე. ბეგთაბეგოვს, რ. ჯლამაძეს, ვ. მანჯგალაძეს; ს. რჩეულიშვილს; ვ. ტალახაძეს; ლ. ქართველიშვილს, ლ. ღოღობერიძეს, მ. ჩხეიძეს და სიმონ ხმალაძეს.

ი. გიგაური.

ღარიბ გლეხობის ჩაბმა სამომხმარ. კოოპერაციაში

ეხლა განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სოფლის ღარიბ მოსახლეობის ჩაბმას კოოპერაციაში. ამ მხრივ კოოპერაციის ყველა სისტემებს მტკიცე კურსი აქვთ აღებული.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ სამომხმარებლო კოოპერაციაში?

თუ გადავავლებთ თვალს ცეკავშირის სისტემაში შემავალ სამომხმარებლო კოოპერატივებში გაერთიანებულ წევრთა რიცხვს, დავინახავთ, რომ მათი წევრების სოციალურ შემადგენლობა[ში] უმეტესობას გლეხობა შეადგენს. მაგალითად, ა. წ. 1 ივლისისათვის ცეკავშირის მთელ სისტემაში ირიცხებოდა 253.880 წევრი და აქედან 83 პროცენტს გლეხობა შეადგენდა, 6 პროც.—მუშები, 8 პროც.—მოსამსახურეები და 3 პროც. დანარჩენი პირები. კოოპერატივების წევრ-გლეხებში უღარიბეს გლეხობა მცირე პროცენტს შეადგენს.

უღარიბეს გლეხობის უფრო ფართოდ ჩაბმას კოოპერაციაში ყურადღება მიექცა ჯერ კიდევ გასულ წელს. ამ მიზნით შეიქნა სპეციალური ფონდი. ამ ფონდის შესაქმნელად თითოეულ კოოპერატივის საერთო მოგებიდან გასულ წელს ირიცხებოდა 5 პროცენტი, ხოლო წელს ეს პროცენტი გადიდებულ იქნა ათამდე.

აღნიშნულ ფონდში თანხების გადარიცხვა დაიწყო გასული წლის ოქტომბრიდან და მიმდინარე წლის 1 ივლისამდე გადარიცხულია სულ 60.120 მანეთი. ამ თანხის ფარგლებში გათვალისწინებული იყო 20.040 უღარიბეს გლეხის ჩაბმა კოოპერაციაში. თუმცა ჯერ საბოლოოდ გამორკვეული არ არის, თუ რამდენად არის შესრულებული ეს გეგმა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ გეგმა უთუოდ შესრულებული იქნება, რადგან შეგროვებული თანხა სავსებით საკმაოა აღნიშნული რაოდენობის უღარიბეს გლეხების ჩასაწერად კოოპერატივებში.

გარდა ამგვარი დახმარებისა, ღარიბ გლეხობას კოოპერაციაში ჩასაწერად ეძლევა ფართო შეღავათები საპაიო გადასახადის შეტანის მხრივ. საერთოდ თითოეული წევრისათვის ცეკავშირის დაწესებული აქვს საპაიო თანხად საშუალოდ ხუთი მანეთი. კოოპერაციაში შესულ უღარიბეს გლეხობას ამ თანხის უმტკივნეულოდ გაღებისათვის ეძლევა უფლება გადაიხადოს იგი ნაწილ-ნაწილად — 50 კაპეიკის რაოდენობით ყოველ თვეში. გლეხს საპაიოს გადახდა ნატურითაც შეუძლია.

ა. კ.

სახალხო ჯანმრთელობა

გადამდები სნეულებები

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ცენტრალური ეპიდემიურ განყოფილების ცნობით, უკანასკნელ თვეების განმავლობაში საქართველოში თითქმის არსად გაჩენილა რომელიმე გადამდები სახის სნეულება. გრიპი სავსებით მოისპო.

ამ დღეებში სანიტარულ ეპიდემიურ განყოფილებას ბორჩალოს მაზრიდან მოუვიდა ცნობა, რომ იქ გავრცელებულა დიზინტერია. ჯანმრთელობის კომისარიატმა ბორჩალოს აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებას გადაუგზავნა ამ ავადმყოფობასთან საბრძოლველად საჭირო თანხა, წამლეულობა და დარიგებები სასწრაფო ზომების მისაღებად.

რაც შეეხება გრიპის ხელახალ გავრცელების საკითხს, სანიტ-ეპიდემიურ განყოფილების აზრით, წელს გრიპი არ არის მოსალოდნელი, ყოველ შემთხვევაში, ჯანმრთელობის კომისარიატს მიღებული აქვს წინასწარი ზომები გრიპის მოსალოდნელ გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

საქ. ცაკის პრეზიდიუმში

მიწსახკომის თათბირი

საქართველოს, აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის მიწათმოქმედების სახ. კომისრების თათბირის მოწვევის საკითხის განხილვა ცაკის პრეზიდიუმმა დაავალა სპეციალურ კომისიას, რომელმაც თავისი დასკვნები უნდა წარუდგინოს ცაკის პრეზიდიუმს. კომისიაში არჩეული არიან ამხ. ს. ჯუღელი (თავმჯდომარე) ი. ვარძიელი და ალ. გეგეჭკორი.

ჭყვიშის თემი

ჭყვიშის თემის გარშემო რაჭის და ლეჩხუმის შორის დავის მოგვარების მიზნით ცაკმა გამოჰყო კომისია, რომელსაც დაევალა ადგილობრივ შეისწავლოს საკითხი და თავისი დასკვნა წარუდგინოს ცაკის პრეზიდიუმს. კომისია არჩეულია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. დოლიძე, ნიკიტინი და ბარბაქაძე.

აჭარისტანის ცაკის მე-3-ე სესია

აჭარისტანის ცაკის მესამე სესიაზე საქართველოს ცაკის წარმომადგენლად დაესწრება ამხ. კ. ხომერიკი

გეგმიანი მუშაობის შესახებ

გეგმიანი მუშაობის ნაყოფიერება აშკარა ხდება სოფლის და თემსაბჭოს მუშაკისათვისაც კი. გეგმებს ადგენენ თითქმის ყველა სოფლის და თემის საბჭოს სექციებისათვის, რომ არ ვილაპარაკოთ სამაზრო და სათემო აღმასკომებზე. ზოგის გამოკლებით, ქვედა აპარატმა უკვე იცის, თუ რა, დაახლოვებით როდის და რა რიგში უნდა გააკეთოს. ეს გარემოება ძლიერ შეუმსუბუქებს მუშაობას აპარატს, თუ გეგმა აშენებულია რეალურ საფუძველზე.

აგიტაცია - პროპაგანდამ გეგმიანი მუშაობის წარმოების შესახებ მოგვცა დადებითი შედეგი და დადგა ხანა აგიტაცია - პროპაგანდისა გეგმიანი მუშაობის ხარისხის აწევის შესახებ. ხშირია შემთხვევა, როცა სათანადოდ დაუმუშავებელ გეგმას უფრო ზიანი მოაქვს, ვინემ სარგებლობა. მიუხედავად ამისა გეგმის თვისობრივ მხარეს არ ექცევა საკმარისი ყურადღება. სულ ხშირად გეგმას ადგენენ აჩქარებით, კულტურულ და მატერიალური შესაძლებლობათა გაუთვალისწინებლად, რის გამო არა იშვიათად დაწყებული საქმე მიტოვებული რჩება შუა გზაზე. არის შემთხვევები, როცა გეგმის შესრულებაში ეჭვი ეპარება თვით მის შემდგენ დაწესებულებას, მაგრამ ის რჩება უცვლელად, ბოლოს კი ირკვევა, რომ დასახული პროგრამა არ ტარდება 50 ან უფრო მეტი პროცენტით. ზოგი გეგმები სავსეა არაფრად ღირებული ფრაზებით, როგორც, მაგ., „მუშაობა იქნეს გაღრმავებული“, „გაძლიერებული“ და სხვა. ზოგი ორგანოები ადგენენ გეგმებს არა სახელმძღვანელოდ, არამედ იმისათვის, რომ შეეძლოთ თქვან — „ჩვენ გეგმა გვაქვს და გეგმით ვმუშაობთ“.

იმის დასამტკიცებლად, რომ მარტო გეგმის ქონა არაფრად ღირს, თუ ის არ არის შეფარდებული მაზრის, თემის, სოფლის ეკონომიურ-კულტურულ - პოლიტიკურ მდგომარეობასთან, მოვიყვან რამოდენიმე მაგალითს: ზუგდიდის მაზრის აღმასკომის ერთ ოქმში ვკითხულობთ: „მიღებულ იქნეს ენერგიული ზომები მოსახლეობის მთელი ასი პროცენტით კოოპერაციაში ჩასაბმელად“. შემდეგ წერია: „მოხმარებული იქნეს ყოველგვარი კანონით გათვალისწინებული ღონისძიებანი, რათა დამთავრდეს ყოველნაირი გადასახადების ნარჩენების აკრეფა სამეურნეო წლის ბოლომდე“. კიდევ: „მთავარი ყურადღება მიექცეს შინაური სესხის ობლიგაციის განაღდების საქმეს“. მაზრაში სკოლების შეკეთების შესახებ წინადადება ეძლევა სკოლების გამგეებს და თემაღმასკომის თავმჯდომარეებს — მიიღონ ყოველივე ზომები ყველა სკოლების შესაფერ შეკეთებისათვის სასწავლო წლის დაწყებამდე, წინაღმდეგ შემთხვევაში, ამბობს დადგენილება, შეუკეთებელი სკოლები დახურული იქნება, მათი გამგეები დათხოვნილი და აღმასკომის თავმჯდომარეები კი მიეცემა პასუხისგებაშიაც კი. უკანასკნელი დადგენილება ეხება გზების შეკეთებას, რის შესახებ ნათქვამია: „მიღებული იქნეს ყოველგვარი ზომები გზის კამპანიის მთელი ასი პროცენტით განატარებლად“.

ყველა ამის შესახებ ერთი დღის განმავლობაში გახსენება ნიშნავს უგეგმობას, ან ისეთი გეგმის ქონას, რომელიც არ არის შეთანხმებული სხვადასხვა განყოფილებების გეგმებთან და აშენებულია ეკონომიური შესაძლებლობისა და გლეხური ფსიქოლოგიისათვის ანგარიშის გაუწევლად.

კიდევ უარესი მდგომარეობაა ორპირის თემში (ქუთაისის მაზრა). იქ გატარებულია თვითდაბეგვრა ზედიზედ 8-ჯერ. გლეხებიდან არ იყო მოგროვილი ფული ერთი მიზნისათვის, როცა ის იბეგრებოდა მეორე საჭიროებისათვის. ამის შედეგად მივიღეთ 6 ფულადი თვითდაბეგვრა (ჯამით 10081 მანეთი) და 2 ნატურით: ტელეფონის ქსელისათვის ბოძების მოზიდვა და გზების შესაკეთებლად რამოდენიმე დღე მუშაობა. ჩვენ აქ არ ვილაპარაკებთ იმის შესახებ, რომ თანახმად თვითდაბეგვრის კანონისა აღმასკომს არ ჰქონდა უფლება დაემტკიცებინა თვითდაბეგვრები, რომელთა ჯამი აღემატება მიმდინარე წლის სასოფლო - სამეურნეო გადასახადის რაოდენობას. საკითხს შევხედოთ გეგმიანი მუშაობის თვალსაზრისით. რას მოგვცემს ასეთი „გეგმიანი“ მუშაობა, გარდა იმისა, რომ, შესაძლებელია, 8 სხვადასხვა დანიშნულებისათვის სალარის მოგროვება მაგიერ ვერ მოაგროვონ მთლიანად ერთი მიზნისათვისაც კი; მეორე მხრით, ასეთი წარმოდგენაა განწყობილება გლეხთა, რომ მას მოკლე ხნის განმავლობაში მიადგება 8 სხვადასხვა გადასახადის მოსათხოვნელად.

არის ისეთი შემთხვევა, როცა გეგმიანი მუშაობის მიზნით ადგენენ ისეთი „დეტალური“ გეგმას, რომ თვით გეგმა ხდება დაწესებულების მოქმედების შემბოჭველი. მაგალითისათვის ავიღოთ შორაპნის აღმასკომის საკვარტალო კალენდარული გეგმა (ივლისი - აგვისტო და სექტემბერი). გეგმა დამტკიცებულია აღმასკომის პრეზიდიუმის მიერ. პროგრამა ძლივსღა ეტევა 43 გვერდზე. ეს გეგმა ითვალისწინებს, თუ რა საკითხები უნდა დაისვას ამ ხნის განმავლობაში აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომაზე, ორგთათბირზე და სხვა. ამ გეგმის თანახმად, მაგ., 30 სექტემბერს პრეზიდიუმის სხდომაზე უნდა დასმულიყო შემდეგი საკითხები: 1) ანგარიში აღმასკომის მიწადმოქმედების განყოფილების, 2) ორგთათბირის ოქმების განხილვა და 3) ჩნარის საავადმყოფოს ანგარიში. (გეგმის ავტორის დაწვრილებით გამონაგარიშევში მიმდინარე საკითხები არ იქნება). ნუ თუ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ცხოვრება 3—4 თვის განმავლობაში არ შეცვლის ამ დღის წესრიგს. დაინტერესებულმა ამ საკითხით, შევადარე ივლისის და აგვისტოს განმავლობაში მიმდინარე პრეზიდიუმის სხდომების ოქმები გეგმაში აღნიშნულ დღის წესრიგთან და აღმოჩნდა, რომ ის საკითხები, რომლებიც აღნიშნულია გეგმაში, ან არ ისმება ან იფარება იმ მრავალ (ზოგჯერ ფრიად საყურადღებო) საკითხებით, რომლებიც დაისვა პრეზიდიუმის სხდომაზე და არ შედიოდა პროგრამაში. გეგმა საზღვრავს იმასაც, თუ რომელი ტეხნიკი როდის სად უნდა იყოს, ამ პროგრამიდან შეიძლება გაგება, ტეხნიკი № სად იქნება, ვსთქვათ, 27 სექტემბრის 11 საათზე. გეგმის შენიშვნაში წერია: !სატიკად აკრძალოს ტეხნიკებს გარდა აღნიშნული დღეებისა წავიდნენ თემში სამუშაოდ, ვინაიდან ეს გამოიწვევს გეგმის დარღვევას“. რა ვქნათ მაშინ, თუ ტეხნიკმა ვერ შესძლოს აღნიშნული დღეებში თემში წასვლა — ავადმყოფობის, მივლინების ან სტიქიური უბედურების (წყალდიდობა, ხანძარი და სხვა) გამო, ან და თუ თემისათვის დათმობილი დღეებში ვერ მოერია საქმეს? უგა ამ შემთხვევაში (და ასეთი შემთხვევა 3—4 თვის განმავლობაში აუცილებელია იქნება) გეგმა ირღვევა და გვაძლევს გეგმიანი მუშაობის საწინააღმდეგო შედეგს. ეს გეგმა ისეა აშენებული, რომ ან თვითონ უნდა დაირღვეს, ან აპარატის მოქმედება შებოჭოს გეგმამ.

გეგმიანი მუშაობის საჭირო სიმაღლეზე დასაყენებლად აუცილებელია შემდეგი: 1) დავალების (ნაკაზის) საფუძველზე საჭიროა წლიური საორიენტაციო გეგმის შედგენა, 2) წლიური გეგმის მიხედვით უნდა დამუშავდეს სამ-თვიური (საკვარტალო) გეგმა, 3) საკვარტალო გეგმა იყოფა რამოდენიმე ნაწილად (კვირეული, ორკვირეული ან თვიური) და ამ ნაწილებზე დგება კალენდარული გეგმა; 4) გეგმების შედგენის დროს ადგილები უნდა ემყარებოდნენ რაიონის ეკონომიური და კულტურული მდგომარეობის აღნუსხვას, რათა პროგრამა რეალურ საფუძველზე იქნეს აშენებული; 5) გეგმები უნდა დგებოდეს მუშაობის საშუალო ტემპის მიხედვით: 6) განყოფილებების, სექციების, კომისიების გეგმები უნდა იქნეს შეთანხმებული აღმასკომის საერთო გეგმასთან; 7) თემაღმასკომის და მისი სექციების გეგმა უნდა იქნეს შეთანხმებული მაზრაღმასკომის და მისი განყოფილებების გეგმასთან; 8) გეგმის ვადის განმავლობაში შეუსრულებელი პუნქტები გადატანილი უნდა იქნეს შემდეგ გეგმაში; 9) მაღლამდგომ ორგანოებმა უნდა აწარმოვონ კონტროლი პროგრამის შესრულებაზე. აღმოჩენილი დეფექტები უნდა იქნეს გამოყენებული ინსტრუქციის გასაწევათ, როგორც კონკრეტიული მასალა; 10) რომ გაადვილებულ იქნეს ხელმძღვანელობა გეგმიანი მუშაობის დარგში, საჭიროა მაღლამდგომ ორგანოებმა ქვემდგომ ორგანოებისათვის შეიმუშაონ მთლიანად პროგრამის და მისი დამუშავებისა.

ნ. ქაჯაია.

ბ. პატეკი თბილისში

გუშინ, კახეთიდან თბილისში დაბრუნდა პოლონეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საბჭოთა კავშირში **ბ. პატეკი**.

მასთან ერთად ჩამოვიდნენ: საგარეო საქმეთა სახ. კომისარის რწმუნებული ამიერ-კავკასიაში ამხ. **კარკლინი**, პოლონეთის კონსული ხარკოვში **სკშინსკი** და თბილისის კონსული **მოსტოვსკი**.

დღეს ბ პატეკი გაემგზავრება ბაქოში, სადაც დარჩება ერთი დღე, რის შემდეგ დაბრუნდება თბილისში და ბათომზე გავლით ჩავა მოსკოვში.

რიონჰესი

დასრულდა სადგურის ასაგები ტეხნიკური პროექტის დამუშავება, რომელიც დასამტკიცებლათ გადაგზავნილია საკავშირო ორგანოებში. ტეხნიკურ პროექტთან ერთად დამუშავებულია აღმშენებლო ხარჯთაღრიცხვა, რომელიც არ აჭარბებს საორიენტაციო ციფრს (დაახლოვებით 17.000.000 მანეთს).

როგორც ტეხნიკური პროექტი, ისე სამუშაო ხარჯთაღრიცხვაც დამუშავებულია ინჟ. მელიქ - ფაშაევის სექციაზე პროექტების თანახმად. პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის დასაცავად მოსკოვში მივლენილია ინჟ. **ჩიქოვანი**.

გარდა ამისა, უკვე დაწყებულია დროებითი ელექტრო - სადგურის აგება (700 ცხ. ძ.) და საცხოვრებლების მოწყობა. ყველა აღნიშნული სამუშაოები უნდა დასრულდეს ერთი თვის განმავლობაში, ხოლო შემდეგ დაწყებულ იქნება სადგურის ასაგები სამუშაოები.

წყალსადენი ზაჰესში

წყალსადენის და სანიტარულ-ტეხნიკურ მუშაკთა ყრილობამ თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა ინჟ. იაკუბოვიჩის პროექტი ზაჰესში წყალსადენისა და კანალიზაციის მოწყობის შესახებ. ეს პროექტი ყრილობამ განსახილველად გადასცა სპეციალურ კომისიას პროფ. **ამირაჯიბის** თავმჯდომარეობით.

ზაჰესში წყალსადენის მოწყობის იდეა დროულია, ვინაიდან ზაჰესში მყოფი 200 კაცი დიდ გაჭირვებაშია ჩავარდნილი უწყლობის გამო.

კომკავშირის შაბათობისათვის

საქ. პროფსაბჭოს მოწოდება

საქართველოს პროფსაბჭომ საქართველოს ყველა პროფორგანიზაციებს მიმართა შემდეგი მოწოდებით:

„ა. წ. 7 ნოემბერს შესრულდება მსოფლიოში პირველი პროლეტარული რევოლუციის ათი წლის თავი, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციას და რომლის ნიადაგზედაც შენდება კომუნისტური საზოგადოება.

ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავის დღესასწაულთან დაკავშირებით ახალგ. ლენინური კომკავშირი 15 ოქტომბრიდან 7 ნოემბრამდე საკავშირო მასშტაბით ჩაატარებს კომკავშირელთა შაბათობას შემდეგი ლოზუნგით **მუშურ - გლეხური ახალგაზრდობის როლისა და მონაწილეობის გაძლიერება სოციალისტურ მშენებლობაში.**

ეს შაბათობა ამავე დროს არის მთელი მშრომელი ახალგაზრდობის შაბათობა.

კომკავშირელთა შაბათობის ძირითადი მიზანი —განსაზღვრული მატერიალური ღირებულების მიცემა პროლეტარულ სახელმწიფოსათვის,—მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნას მიღწეული, თუ სამეურნეო, პროფესიონალური და საბჭოთა ორგანიზაციები სათანადო დახმარებას აღმოუჩენენ მათ. შაბათობისაგან შეგროვილი თანხები განზრახულია მოხმარდეს უპატრონო ბავშვთა დამხმარე საზოგადოებას, საბავშვო სახლების აშენებას, უპატრონო ბავშვთა კოლონიების მოწყობას, შრომის სახელოსნოების დაარსებას და სხ.

ამიტომ საქართველოს პროფსაბჭო მიმართავს ყველა პროფესიონალურ ორგანიზაციებს მიიღონ ყოველგვარი მონაწილეობა როგორც კომკავშირის შაბათობის მოსამზადებელ მუშაობაში, ისე ამ შაბათობის წარმატებით ჩატარებაში: პროფორგანიზაციებმა აუცილებლად უნდა მიიღონ მონაწილეობა კომკავშირელთა შაბათობის ჩატარების გეგმების შედგენაში, სამუშაოთა და სხვაზე; მათ უნდა გამოჰყონ ტეხნიკური ხელმძღვანელები, მუშა ახალგაზრდობის ფართო საერთო კრებებზე უნდა გამართონ მოხსენებანი შაბათობის მიზნებისა და მნიშვნელობის შესახებ და სხვ“.

ბრძოლა საბინაო კრიზისთან რკინის გზებზე

ამ.-კავკასიის რკინის გზების სამმართველოში შესდგა თათბირი, რომელმაც განიხილა გზაზე მუშათა საბინაო აღმშენებლობის საკითხი.

თათბირის მიერ აღნიშნული იყო, რომ გზაზე არსებულ მუშათა ბინების საამშენებლო ამხანაგობებს საერთო გაძლიერება ემჩნევა; მომავალში მუშათა საბინაო აღმშენებლობის უფრო განსავითარებლად თათბირმა შეიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები.

საბინაო მშენებლობის ხელშემწყობ საგზაო კომისიის მითითებით, თათბირმა დაავალა სალიანდაგო განყოფილებას მისცეს წინადადება უბნებს, რათა ამ უკანასკნელებმა ეხლავე აღძრან შუამდგომლობა მათთვის დიდ სადგურებთან ბინების ასაშენებლად მიწის ნაკვეთების გამოყოფის შესახებ.

გზებზე საბინაო კრიზისის სისწორით გამორკვევისათვის, თათბირმა მიზანშეწონილად სცნო რკინის გზის ფარგლებში გარეშე არსებულ ბინების სტატისტიკური გამოკვლევა. თბილისში, ბაქოში, ლენინაკანში, ხაშურში, განჯაში, სამტრედიაში, ბალაჯარაში, ქუთაისში, შორაპანში, აჯიკაბულში, ფოთში, ერევანში, ზესტაფონში, სანაინში, აქსტაფაში და ევლახში.

ეს მუშაობა სავსებით უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს ა. წ. დეკემბრის თვისა.

საბინაო მშენებლობის ხელშემწყობ საგზაო კომისიას დაევალა — ეხლავე გამოარკვიოს, თუ როგორი რაოდენობის მიწის ნაკვეთებია საჭირო რკინის გზის ფარგლებს გარეშე საბინაო აღმშენებლობისათვის.

თათბირმა მიზანშეწონილად სცნო მომავალში მიღებულ კრედიტების ცალკე, უფრო მძლავრ ამხანაგობებისათვის გადაცემა.

რკინისგზელთა ფართო მასების საბინაო - საამშენებლო კოოპერაციაში ჩასაბმელად, მიზანშეწონილად იქნა ცნობილი თბილისში და ბაქოში რკინის გზის ფარგლების გარეთ ცენტრალურ კოოპერატიულ ბინების კრედიტებიდან სახლების აშენება და მათი გადაცემა ორი ამხანაგობისათვის.

მტკვრის წყლის გამოკვლევა

ხმებმა იმის შესახებ, რომ ზაჰესი, თავისი წარმოების ნარჩენებით გავლენას ახდენს მტკვრის წყლის სისუფთავეზე, რომლიც, თითქოს, უფრო მღვრიე გახდა, აიძულეს თბილისის აღმასკომი შეუდგომოდა მტკვრის წყლის გასუფთავებისა და თვითდაწმენდის პირობების გამოკვლევას.

ფაქტიურად მოხდენილია გამოკვლევის მხოლოდ პირველი ნაწილი, ვინაიდან გამოკვლევა განმეორებულ უნდა იქნეს სეზონების მიხედვით მთელი წლის განმავლობაში, რადგან წყლის შემადგენლობა სხვადასხვა თვეს სხვადასხვანაირია.

ქიმიურ - ბაქტერიოლოგიური ანალიზისათვის მტკვრის წყალი გასინჯული იქნა რამდენიმე ადგილას მცხეთიდან თბილისამდე. წყლის პირველი გასინჯვა მოხდა მცხეთასთან, მეორე — ზაჰესის ტბიდან, მესამე — ზაჰესის ცოტა ქვემოდ, შემდეგ იმ ადგილას, სადაც სწარმოებს წყლის დაგროვება წყალსადენისათვის, მუშათა არხისათვის, შემდეგ — გერმანელთა კოლონიის ქვემოდ, ბორანთან, და, ბოლოს, თბილისის ყველა ხიდებთან — ვერის, კარლ მარქსის, მუხრანის, ავლაბრის, მწიაკანის და სოლოლაკის ხიდთან.

გამოირკვა, რომ დაწყებული მცხეთიდან — ბორანამდე წყალი არ ყოფილა გაუსუფთავებელი. ვერის ხიდიდან დაწყებული ბაქტერიების რაოდენობა ერთ კუბიკ წყალში იზრდება; ყველაზე მეტ უსუფთაობას ადგილი აქვს ავლაბრის ხიდთან. აქ ბაქტერიების რაოდენობა ერთ კუბიკ წყალში 40.000 აღწევს. შემდეგ თანდათანობით ბაქტერიების რაოდენობა კლებულობს — სოღანლუღის ხიდთან ერთ კუბიკში 28.000 ბაქტერია აღმოჩნდა.

წყლის განსაზღვრულ მოცულობაში ნაწლავის ჩხირების (კოლიტიტის) რაოდენობის გამოკვლევის დროს აღმოჩნდა, რომ ავლაბრის ხიდთან 1 კოლიტიტი მოდიოდა 1 მეათედ კუბიკ წყალზე. (ეს მეტად დიდი რაოდენობაა), ხოლო ქვეით — 2—5 კუბიკზე.

მტკვრის წყლის ქიმიური ანალიზის დროს გამოირკვა, რომ მთელ იმ მანძილზე, რომელზედაც გამოკვლევა სწარმოებდა, არსად არ აღმოჩენილა აზოტის და ამიაკის სიმჟავის ნიშნები. ეს წყლის სისუფთავეს მოწმობს. ანალიზის მომხდენი პირები მოელოდნენ გოგირდის შენაერთების აღმოჩენას, მაგრამ ეს არ გამართლდა. საერთოდ მტკვრის წყალი გაცილებით უკეთესია, ვიდრე ამას ფიქრობენ.

ამჟამად მუშავდება პროგრამა მტკვრის უფრო დეტალურად გამოსაკვლევად.

თათბირები

სამომხმარებლო კოოპერაციის ქვედა საფეხურის ქსელის თათბირი

ცეკავშირში შესდგა სამომხმარებლო კოოპერაციის ქვედა საფეხურის ქსელის თათბირი, რომელზედაც გაირჩა საკითხები სასოფლო კოოპერატივებისათვის მანუფაქტურისა და ფქვილის მიწოდების და ზედნადებ ხარჯების შემცირების შესახებ.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ სოფლებამდე აღწევს მანუფაქტურის ძლიერ მცირე რაოდენობა, ვინაიდან სახელმწიფო ორგანოები და საქალაქო კოოპერაცია იტოვებენ მის უდიდეს ნაწილს. ასე, მაგალითად, 1926-27 წლის უკანასკნელ კვარტალში შემოზიდულ მანუფაქტურის 50 პროცენტზე მეტი ხვდა თბილისის კოოპერატივებს. ამის გამო თათბირმა დაადგინა აღძრას საქართველოს ეკონომიურ საბჭოს წინაშე შუამდგომლობა, რათა ცეკავშირმა მიიღოს შემოზიდულ მანუფაქტურის არა ნაკლებ 50 პროცენტისა და აგრეთვე სთხოვოს მუშათა და გლეხთა ინსპექციას, რომ გადასინჯულ იქნას ამ სავაჭრო ორგანოების ქსელი, რომლებიც მოითხოვენ მათთვის მანუფაქტურის გეგმიანად მიწოდებას. კოოპერაციისათვის ფქვილის მიწოდების მიზნით თათბირმა დაავალა ცეკავშირს დასდოს ხელშეკრულებები „ქართხლებთან“ და „ცენტროსოიუზთან“.

თათბირმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ზედნადებ ხარჯების შემცირების საკითხს. თათბირმა აღნიშნა, რომ ზედნადებ ხარჯების შემდგომი შემცირება კოოპერაციის ქვედა საფეხურის ქსელში შეუძლებელია, ვინაიდან აპარატი მაქსიმალურად არის შემოკლებული, მაგრამ ამასთან ერთად საკმაოდ არ არის დატვირთული საქონლით. ზედნადებ ხარჯების შემდგომი შემცირების მიღწევა თათბირის აზრით შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ მნიშვნელოვნად გაიზრდება საქონლის მიწოდება კოოპერაციის ქვედა საფეხურის ქსელ ისათვის.

ა.-კ. სას.-სამეურ. კოოპერაციის ინსტრუქტორთა თათბირი

მესამე სხდომა

სომხეთის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. პეტროსიანი, რომელიც ამბობს, რომ სომხეთის სას.-სამ. კოოპერაციას დიდი ხნის ისტორია არ აქვს. მართალია არსებობდა მერძევეთა არტელები, მაგრამ ისინი შეკავშირებული არ იყვნენ. 1924 წლამდე სას.-სამ. შენაერთები თავს იყრიდენ სამომხმარებლო კოოპერაციაში. 1924 წლის მარტში დაარსდა სას.-სამ. კოოპერაციის საორგანიზაციო ცენტრი, ხოლო იმავე წლის ოქტომბერში ჩამოყალიბდა კავშირი. ამჟამად სომხეთში არსებობს 225 ძირითადი ერთეული, რომელშიაც გაერთიანებულია 45.519 მეურნე. სომხეთის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში სჭარბობს სპეციალური ხასიათის შენაერთები. სომხეთის კოოპერაცია შემდეგნაირათ არის დანაწილებული: სასოფლო - სამ. საკ. ამხ.—41 ერთეული; უნივერსალური—3; მეღვინეთა—21; მეთამბაქოეთა—11. მებამბეთა—18; მეფუტკრეთა—13. მეაბრეშუმეთა—3; მეფრინველთა—[illegible]; მეცხვარეთა—1; მერძევეთა—83; მესაქონლეთა—19; კომუნა—1 და მიწის საზიაროთ დამუშავებელთა ამხანაგობა—8.

მოხსენების დამთავრების შემდეგ გაიმართა კამათი. ორატორებმა გამოსთქვეს აზრი, რომ „კავშირთ კავშირი“, რომელსაც მეტი გამოცდილება აქვს სასოფლო-სამ. კოოპერაციის მშენებლობაში, მეტ ხელმძღვანელობას უნდა უწევდეს ა.-კ. სას.-სამ. კოოპ. მშენებლობას.

ორატორები საჭიროდ სცნობენ სას.-მეურნეობის მექანიზაციის გაძლიერებას; სას. მეურნეობის შენაერთა უმარტივეს ტიპების გამრავლებას და შემდეგ თანდათანობითი გადასვლას რთულ კოოპერატიულ შენაერთებში, ძირითად ქსელში ღარიბ გლეხთა ფონდის გაძლიერებას, გლეხმეურნეთაგან პრაქტიკულ კოოპერატიულ მომუშავეთა კადრის შექმნას და საკუთარ თანხების გაძლიერებას.

მეოთხე სხდომა,

კამათის დამთავრების შემდეგ მომხსენებლები ამბობენ უკანასკნელ სიტყვებს, რის შემდეგაც თათბირმა განიხილა ამომრჩეველთა აქტივის გაძლიერების ღონისძიებები და ინსტრუქციები სას.-სამ. საკრ. ამხანაგობათა ახალ წესდებაზე გადაყვანის შესახებ.

თათბირი მეთამბაქოობის შესახებ

უკანასკნელი სხდომა

გუშინ, საღამოს 8 საათზე, შესდგა თათბირის მეოთხე სხდომა.

სხდომაზე მოსმენილ იქნა თათბირის მიერ გამოყოფილ სხვადასხვა კომისიების საბოლოო დასკვნები.

შემდეგ თათბირმა მოხსენებების გარშემო მიიღო სათანადო რეზოლუციები.

შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულმა საქართველოში ამხ. **ათაბეგოვმა** საბოლოო სიტყვაში აღნიშნა თათბირის ნაყოფიერი მუშაობა და ხაზი გაუსვა მსგავს თათბირების ხშირად მოწვევის საჭიროებას ჩვენში.

საღამოს ათ საათზე თათბირი დაიხურა.

მეაბრეშუმეთა თათბირი

მე-6-ე სხდომა

თუთის ხის გაშენების შესახებ მოხსენებას აკეთებს აგრონომი **ა. ჩხაიძე**.

მომხსენებელი ამბობს, რომ მეაბრეშუმეობა ჩვენში, რომელიც რამოდენიმე წლის წინეთ თითქმის სრულიად მიტოვებული იყო, ძალიან ჩქარის ტემპით ვითარდება. უკვე მიღწეულია ომის წინანდელი დონეც. ეს ზრდა ძალა-უნებურად შეფერხდება, თუ დროზე არ იქნა მოგვარებული თუთის ხის გაშენების საკითხი. დასავლეთ საქართველოში თუთის ფოთოლი ამჟამად გამოყენებულია მთელი ასი პროცენტით, აღმოსავლეთ საქართველოში კი თუთის ხე იშვიათად მოიპოვება.

საქართველოში რიცხვება 105.000 კოლოფი გრენა, რომლის გამოსაკვებათ საჭიროა 3,5 მილიონი თუთის ხე. მეაბრეშუმეობის განვითარების ტემპი რომ არ შენელდეს 16 წლის მანძილზე ჩვენში სანერგეებში უნდა გამოიზარდოს 12 მილიონი 3—4 წლიანი თუთის ნერგი. სანერგე უნდა გაშენდეს 60 დესეტინის სივრცეზე ამჟამად ტრესტს გაშენებული აქვს სანერგე 16 დეს. სივრცით. განზრახულია ახალი სანერგეების მოწყობა 18 ადგილას 40—41 დესეტინის სივრცით. ტრესტმა აზერბეიჯანში შეიძინა 300.000 ძირი ნერგი. აღნიშნული ნერგები, მეტის - მეტი სისწრაფით იზრდება. გაზაფხულზე ტრესტმა უფასოდ დაურიგა გლეხებს 100.000 ძირი ნერგი. თუთის თესლის ნათესების სივრცე მიმდინარე წელს აყვანილი იქნა ხუთ დესეტინამდე და თესლის შერჩევას მიექცა განსაკუთრებული ყურადღება. თუთის ხის გაშენების საქმეში გამოყენებული უნდა იქნეს სოფლის ახალგაზრდობის სკოლები.

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა - გამოცვლა. ნაწილი ორატორებისა იცავდა ზრდას, რომ სანერგეები უნდა გაშენდეს ერთ ადგილზე, რათაც შესაძლო იქნებოდა ხარჯების დიდი ეკონომია. მეორე ნაწილი ემხრობა სანერგეების დეცენტრალიზაციას.

პატარა ფელეტონი

საუბარი პა[illegible]

ჩემბერლენისა და ზალესკის ჩასვლას პარიზში, გაზეთების ცნობით, მიზნად ჰქონდა საფრანგეთ - საბჭოთა ურთიერთობის გამწვავება. „პტი პარიზიენი“ იუწყება, რომ როდესაც გაზეთების თანამშრომლებმა ჰკითხეს ამის შესახებ ჩემბერლენს, უკანასკნელმა უპასუხა: **„ნუ მაძლევთ ასეთ მოურიდებელ შეკითხვებს“-ო.**

(დეპეშებიდან).

საუბარი პირველი

ბრიანი.—თქვენი შეხვედრა მახარებს,
კეთილი იყოს სტუმრობა;
მობრძანდით, საქმეს შეუდგეთ,
გვეკმაროს ძველი უბრობა,
დიად სტუმართა წინაშე
ღიაა ჩვენი კარები,
თქვენ გეგებებათ პარიზი
„ჰუმანიზმს“ შენაფარები.
პირველ ყოვლისა,—მეგობრულ
მიიღეთ ჩემი მადლობა;
ჩვენ გვევალება ევროპის
„კეთილ“ საქმეთა სარდლობა.
ჩემბერლენი:—ვიცი, ვიცი ჩემო ბრიან—
გულუხვია პუანკარე,
სტუმრის კარგად მიმღებია
თუ იმისკენ ჩაიარე.
ძლიერ მსურდა შენი ნახვა,
სათქმელი მაქვს ბევრი რამე,—
დასავლეთის ბედზედ ფიქრი
არ მასვენებს დღე და ღამე.
შენი სიტყვით: „ძველ ევროპას
ჩვენ დავიხსნით ნისლით ბურვილს,“
მომითმინე, მეც გადმოგცემ
ბრიტანეთის ხალხის სურვილს.
მე მოვედი იმ საქმისთვის
„შენ რომ იცი და მე ვიცი“;
ჩვენს ურთიერთ „მტკიცე ძმობას“
რაღად უნდა ეხლა ფიცი?!.

საუბარი მეორე

ბრიანი.—მას შემდეგ რაც ბრიტანეთმა
აარიდა მოსკოვს ხელი, —
ჩვენ, რაკოვსკიმ აგვაშფოთა,
აგვიშალა საღერღელი.
ბევრს ვეცადეთ, მოგვენახა
საბჭოებზე რამე ჭორი,
ვერაფერს ვერ მივაგენით
ვეღარ გავხდით შენი სწორი.
(გადახედავს ჩემბერლენს)
მემარჯვენე გაზეთებს კი
მოთმინება არ აქვთ მეტი;
—„ან რაკოვსკი გაისტუმრე
ან დასტოვე კაბინეტი.
მთელი პრესა ასე შფოთავს,
საქმენი კი მიდის ცუდათ;
ოსტინ, რამე დამეხმარე,
ნუ მიცქერი აგრე მრუდათ.
ჩემბერლენი.—მეგობარო! ჩემი აზრით,
დღეს მოსკოვთან არ ღირს დავა,
კავშირი თუ არ გაწყვიტე
რაკოვსკი ხომ სულ არ წავა...
გირჩევ, ჩემებრ დააბრალო
კომუნიზმის პროპაგანდა.
შემდეგ მისი ბარგ-ბარხანა
გადაკიდო არდი-გარდა.
ბრიანი.—ოსტინ, მომწონს შენი რჩევა,
მახვილობა შენი აზრის;
მაგრამ ერთი ესეც მითხარ,
როგორ წავა საქმე ბაზრის?..
რა მოუვა ინდუსტრიას
თუ მოსკოვთან გავწყვეტთ კავშირს,
ჩვენ საქონელს სად გავყიდით?
თქვენ რას უზამთ თევზს და ნახშირს?
ჩემბერლენი.—მაგის ფიქრი ნუ გაქვს ძმაო,
სხვა მყიდველიც ბევრი არის.
ვაჭრობა და მრეწველობა
განთქმულია ჩვენი მხარის.
ბრიანი.—აბა კარგი, დამაცადე
გამოვჩმახავ ჭორსა რამეს,
ან რაკოვსკის გავისტუმრებ,
ან მოვნახავ სხვა სიამეს.

ინტერმედია მესამე

კორესპონდენტი.—მისტერ ოსტინ! გთხოვთ გვიამბოთ
რა თათბირი გქონდათ ეხლა?
თქვენს, ბრიანს და ზალესკს შორის
რა საკითხში მოხდა შეხლა?..
ჩემბერლენი.—სამთა თათბირს მიზნად ჰქონდა
გადარჩენა ევროპისა;
„ჰუმანიზმის“ დასაცავად
ნახვა გვსურდა ახალ გზისა.
კორესპონდენტი.—რა იმსჯელეთ რაკოვსკიზე,
რით დამთავრდა თქვენი ბჭობა?
ნუ თუ ისევ მტკიცე არის—
„ერთა ლიგა“, „სამთა ძმობა“?!.
ჩემბერლენი. რაკოვსკიზე ნურას მეტყვით
დამანებეთ ეხლა თავი.
„სამთა ძმობის დასაცავად“
ცით გვყავს ფლოტი, წყალქვეშ ნავი,

ეპილოგი

ჩემბერლენ—ბრიან—ზალესკი
გაულექსე რითმის კონებით,
სამი მოლაყბე შეყრილა
ბჭობენ უგუნურ გონებით.
ევროპის „ხსნისთვის“ ფიქრობენ
არ შველით მადლი ცისანი
ქვეყნად რამდენი ბრიყვია
მკითხველო, თითონ იცანი.

ყუმბარა

ქრონიკა

მანუფაქტურის მიწოდება ამიერ-კავკასიისათვის

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატის ცნობების თანახმად, 1927-28 წლის პირველ კვარტალში ამიერ-კავკასიაში შემოზიდული იქნება 184 ვაგონი ბამბის ქსოვილები. აქედან საქართველო მიიღებს პირველ კვარტალში—63 ვაგონს, აზერბეიჯანი 93 ვაგონს, სომხეთი—22 ვაგონს; 6 ვაგონს კი მიიღებს ამ.-კავკ. სატრანსპორტო მომხმარებელი საზოგადოება.

სანიტარული მილიცია

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების პროფილაქტიურ სკოლასთან გაიხსნა სპეციალური კურსები ეგრედწოდებულ სანიტარულ მილიციონერებისათვის. თვითეულ სანიტარულ ექიმს ეყოლება მილიციონერი.

აღნიშნული კურსების მიზანია მილიციონერების აღჭურვა სანიტარული ცოდნით. კურსებზე მეცადინეობა გაგრძელდება 1—1-ნახევ. თვე. კურსებზე გამოგზავნილია 15 კაცი.

სახელგამში

მიმდინარე წლის პირველ ოქტომბრიდან სახელგამმა გააფართოვა სავაჭრო პუნქტების ქსელი პროვინციაში: ახალი სავაჭრო პუნქტები გაიხსნა ზესტაფონში, ონში, ამბროლაურში, მათხოჯში, თელავში და დუშეთში. გარდა ამისა გამომცემლობა შეღავათიან ფასებში უთმობს სასკოლო კოოპერატივებს პროვინციის სკოლებისათვის სახელმძღვანელოებს და სასწავლო ნივთებს.

ლიქიორი

მიწადმოქმედების კომისარიატმა მეღვინეობის ინსპექტორის კანდელაკის ინიციატივით გადაწყვიტა დასავლეთ საქართველოში შეუდგეს „იზაბელას“ ჯიშის ყურძნიდან ლიქიორის დამზადებას. პირველ ხანებში ლიქიორის დამზადებას ექნება საცდელი ხასიათი. „იზაბელას“ ჯიშის ვაზი განსაკუთრებით გავრცელებულია გურიაში და ნაწილობრივ იმერეთში.

ნამყენი ვაზის და ხეხილის ნერგების დამზადება

სახალხო მამულმა „მერეთმა“ დაამზადა სხვადასხვა ხეხილის 54.000 ცალი ნამყენი ნერგი; „სკრა“-მ დაამზადა მსხალის, ვაშლის და ატმის 112.000 ნამყენი ნერგი. ამასგარდა სახალხო მამულების ტრესტმა თავის სანერგეებში დაამზადა 2.000.000 ცალი ამერიკული ნამყენი ვაზი, რომლებიც გავრცელებული იქნება მევენახე გლეხებს შორის.

ცხენების გაგზავნა ბაქოში

ბაქოში განზრახულ დოღში მონაწილეობის მისაღებათ საქ. ცხენთაშენის სამმართველომ გააგზავნა შემდეგი ცხენები: დაგომე, იაიკა - შიათურელი, თაისი, აბორიგენი, დაისი და დარბაისელი.

სექტემბერში შემოზიდულ ფქვილის რაოდენობა

სექტემბრის განმავლობაში ა.-კ. შემოზიდულია 25.704 ტონა ფქვილი. ამ რაოდენობიდან საქართველოში 12.589 ტონა, აზერბეიჯანში—10.867 ტონა და სომხეთში—2.248 ტონა.

ამავე თვეში გასაღდა—საქართველოში—11.337 ტონა, აზერბეიჯანში—10.177 ტონა და სომხეთში—2270 ტონა ფქვილი.

თბილისის აღმასკომში

◆ მცხეთის ხე-ტყის ქარხანასთან ამბულატორიის მოსაწყობად გადადებულია 5.000 მანეთი.

◆ **საავადმყოფოს დამთავრება.** მარტყოფის საავადმყოფოს დასამთავრებლად აღმასკომმა გადასდო 3 ათასი მანეთი.

◆ **ტუბერკულიოზის დისპანსერისათვის** ახალი შენობის ასაგებად გადადებულია 17 ათასი მანეთი.

◆ **ფიზიკურ მეთოდებით სამკურნალო ინსტიტუტთან** ჯანმრთელობის განყოფილება აწყობს სტაციონალურ განყოფილებას

კრებები და მოხსენებები

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმის** საზოგადო კრება შესდგება ევანგულოვის ქუჩაზე № 12 19 ოქტომბერს, სღ. 8 საათზე. დღის წესრიგი: 1) გამგეობის წლიური ანგარიში, 2) სარედაქციო კომისიის მოხსენება, 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 4) არჩევნები. კრება კანონიერი იქნება მიუხედავად წევრთა რიცხვისა.

სხვა და სხვა

◆ **საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში.** ექსკურსია ნატახტარში უამინდობის გამო გადადებულია შემდეგ კვირისათვის.

შემთხვევები

თავდასხმა სადგურზე

14 ოქტომბერს ღამით ორი, ზაზხანა თოფებით შეიარაღებული ბოროტგამზრახველი გაძარცვის მიზნით თავს დაესხა ტაუზ - კოვლიარის შუა მე-471 კილომეტრზე მდებარე პატარა სადგურს.

სადგურის მოსამსახურეები შეშინდნენ და გაიქცნენ.

ბოროტგამზრახველებმა წაიღეს მცირე ღირებულების თეთრეული.

აქსტაფიდან გამოძახებულ იქნენ საგზაო - სატრანსპორტო სახელმწიფო პოლიტსამმართველოს და გზის დამცველ რაზმის თანამშრომლები.

მიღებულია ზომები ბოროტგამზრახველების შესაპყრობლად.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით 14 ოქტ. ლენინის ქ. 82 გაქურდეს ალექსანდრე მანჯგალაძის ბინა. წაიღეს სხვადასხვა საოჯახო ნივთები.

◆ **უეცარი სიკვდილი.** პუშკინის ქუჩაზე მდებარე საჩაიეში ნიკო სამადუროვს ჩაის დალევის დროს პირიდან წასკდა სისხლი და იქვე გარდაიცვალა.

◆ **შეპყრობა.** 14 ოქტომბ. ქურდობისათვის შეიპყრეს ნიკოლოზ ზაალის ძე მჭედლიშვილი.

◆ **მხრჩავ** ალექსი ჯეჯელაშვილს მუშაობის დროს პლეხ. გამზირზე მოჰპარეს პალტო 35 მანეთით.

◆ **ქურდობა.** 14 ოქტ. პანასკევიჩის ქ. 44 მარიამ ჯაფარიძის ბინიდან მოიპარეს 200 მან. ნივთები.

◆ **ამავე დღეს,** დავითოვის ქ. 27 გაქურდეს გეხზავას ბინა. წაღებული ნივთების ღირებულება გამოურკვეველია.

◆ **მთავარ საკურორტო სამმართველოში** აკაკი ლორთქიფანიძეს მოპარეს პორტფელი სხვადასხვა საბუთებით.

◆ **რკინისგზის კოოპერატივიდან** წინდების მოპარვისათვის შეიპყრეს დიმიტრი გიორგის ძე პაპავა.

ხელოვნება

საოპერო სეზონის გახსნა

საოპერო სეზონი გაიხსნა ტრადიციული ეროვნული ოპერით „აბესალომ და ეთერი“. სეზონის გახსნა სადღესასწაულო ხასიათს ატარებდა. ოპერის დაწყების წინ ორკესტრი ასრულებდა „ინტერნაციონალს“. დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. ორკესტრს დირიჟორობს მაესტრო **ივანე ფალიაშვილი**. გაისმის უვერტიურის პირველი აკორდი და მთელი აუდიტორიის ყურადღებას იპყრობს ზაქარია ფალიაშვილის მუსიკა. მთავარი პარტიების შემსრულებლები ძველები არიან: ეთერის პარტიას ასრულებდა მსახიობი ქალი **დანელიანი** სცენიური მხრივ იგი ვერ იძლევა ეთერის განსახიერებას, მსახიობი ქალის თამაშში არ არის რეალიზმი, მაგრამ სამაგიეროდ მშვენიერია მისი ვოკალური შესრულება. მსახიობი ქალის სიმღერა მთელი ოპერის განმავლობაში სავსებით აკმაყოფილებს ვოკალიზაციის მოთხოვნილებებს. საუკეთესო ადგილებია პირველი აქტის ჰიმნი და მესამე აქტის სცენა. მშვენივრად გაისმოდა **ქუმსიაშვილის** ხმა (აბესალომი). დიდი ტემპერამენტით იქნა შესრულებული მესამე აქტის მონოლოგი და ეთერთან განშორების სცენა. მურმანის მეტად რეალური სახე მოგვცა **ინაშვილმა**. ამ მომღერალის ხმა აღსავსეა სხვადასხვაგვარი ნიუანსებით. პირველი აქტის ფინალური არია საუცხოვოთ იყო შესრულებული: მარეხის პარტიაში პირველად გამოვიდა მომღერალი ქალი **ბლანკმანი**, რომელსაც ლამაზი ლირიული და მუსიკალური ხმა აქვს. სუსტი იყო ბალეტი.

მშვენივრად უძღვება ორკესტრს ივანე ფალიაშვილი.

ვ. ბ.

ამხ. ს. ამაღლობელის განთავისუფლება თანამდებობიდან

განათლების კომისარიატის სამეცნიერო და სახელოვნო სამმართველოს ახლად დანიშნულ თავმჯდომარე ამხ. ს. ამაღლობელი, თანახმად მისი თხოვნისა, განთავისუფლებულია აღნიშნულ თანამდებობიდან.

პროლეტარულ მწერლების ინტერნაციონალური საღამო

ხელოვნების სასახლეში, კვირას, 16 ოქტ., სღ. 7 საათზე, შესდგება საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ყველა სექციების მუშაობის გახსნა. გამართულ იქნება პროლეტარულ მწერლების ინტერნაციონალური საღამო.

შესავალი სიტყვა: ბ. ბუაჩიძე. მოხსენება: ჯ. **სუტირინის** — „ამიერ - კავკასიის ლიტერატურულ სინამდვილის ჯამი და პერსპექტივები“.

მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი მწერლები: **ჯავდ - აკოფიანი, ს. ეულე, აზიზ აზიზოვ, გ. კრეიტანი, ნ. ვაკელი, ნ. ზომლეთელი, ა. ვართანიანი, კ. კალაძე, ს. გახანი, კ. ლორთქიფანიძე, გ. გრიგი, ი. ლისაშვილი, ა. მაშაშვილი, შ. ნავთლუღელი, ზეინალი, გულიევა, პ. სამსონიძე, პ. როფსიძე, პოგოსიანი, ა. სოტკოვსკი, კ. ბობოხიძე, გ. ხეჩუაშვილი, ი. ხოშტარია, ლიოსიანი, კ. ფეოდოსიშვილი და გ. შინატეხელი.**

ახალი წიგნები

სახელგამის ახალი გამოცემანი

გამოვიდა და იყიდება სახელგამის ყველა მაღაზიებში სახელგამის შემდეგი ახალი გამოცემები: **ს. გორგაძე და შ. თაბუკაშვილი**—„ახალი ძხათობი“, ქრესტომატია მეორე ჯგუფისათვის, 580გვ., ფასი 3 მან., **ზ. ბოცვაძე, ეკ. ბურჯანაძე და რ. ჩიხლაძე**—„ახალი წიგნი, ნაწ. 1-ლი, 100 გვ., ფასი ერთი მან.; ჟურნალი „პროლეტ. მწერლობა“ № 8; ჟურნ. „ნაკადული“ № 9 და „პიონერი“ № 17.

„ქართული მწერლობა“ № 8—9

გამოვიდა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველთვიური ჟურნალი „ქართული მწერლობა“ № 8—9.

ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალები: (პროზა): **არისტო ჭუმბაძე**—სასწაული. **ნიკოლო მიწიშვილი**—ეპოპეია. **სტენდალი**—იტალიური ქრონიკები (თარგ. გერ. ქიქოძისა), **სვ. ყიფიანი**—ახალი სამართალი, **კონრად ბერკოვიჩ**—ბოშას სისხლი, **მარსელ პრუსტ**—ბერგოტის სიკვდილი.

პოეზია: **ვალერიან გაფრინდაშვილი**—საკოდა ვენეცია, **ალ. გაბესკირია**—მტკვარი-ზაჰესი, **რაჟდენ გვეტაძე**—ლირიული განწყობილება, **ვახ. გორგაძე**—ოცდაათი წელი, **ეთიმ გურჯი**—სიმღერა, **იონა ვაკელი**—ლექსი მეგობრებისადმი, **ნოე ზომლეთელი**—მოკვდა არწივი, **კონსტ. ლორთქიფანიძე**—ბადრაკი, **სანდრო მგელაძე**—სულიერი განწყობილება, **ილა მოსაშვილი**—ქალ-ვაჟი [illegible], **ალექსანდრ პუშკინ**—ა. პ. კერნისადმი (თარგ. გრიგოლ ცეცხლაძისა), **ვარლამ რუხაძე**—მტკვარს, **სანდრო შანშიაშვილი**—დედის ერთა ვაჟიკა.

წერილები: **კონსტ. კაპანელი**—ლიტერატურული პრობლემები, **ნ. გებუევი**—სუმბათაშვილი-მაქსიმ გორკი და „მოსკოვის წრე“, **ლევან ასათიანი**—ვოლტერიანობა საქართველოში.

დოკუმენტები: **ხომლელი**—ცხოვრების მოედანი; ბიბლიოგრაფიები და ქართული პრესა „ქართული მწერლობის“ შესახებ.

„საქართველოს ეკონომისტი“

გამოვიდა და იყიდება ჟურ. „საქ. ეკონომისტის“ № 8—9. ჟურნალის შინაარსი: **ლ. კარბელაშვილი**—მრეწველობის 1927-28 წლ. საკონტროლო ციფრები, **პ. გოთუა**—შაქრის წარმოება საქ.-ში, **იპ. ნარსია**—ა.-კავკასიის საგარეო ვაჭრობა, **ვ. ორჯონიკიძე**—საქ. ადგილობრივი ბიუჯეტი 1925-26 წლ., **არჩ. რუხაძე**—სოციალურ-ეკონომიური ფენები საქ. გლეხურ მეურნეობაში, **აკ. კალაძე**—ჩვენი სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის საკითხისათვის, **ა. ხიგუა**—ადგილობრივი მეურნეობის დაგეგმვისათვის, **მ. ლორთქიფანიძე**—ცეცხლისაგან დაზღვევა საქართველოში,—**ა. მაჭავარიანი**—ინგლის-რუსეთის ეკონომიური ურთიერთობა სპარსეთთან, **არჩ. ფანცხავა**—უცხოეთის კაპიტალი ჩინეთში, **სპ. ჩომახიძე**—ხელოვნური აბრეშუმი. **ინფორმაცია.** **ვ. გამყრელიძე**—ქუთაისის მაზრის 26-27 წლ. ბიუჯეტი, **ა. გრძელიშვილი**—მეცხვარეობის გაუმჯობესება საქართველოში.

სტუმრად ჩემ სოფელში

მოხეტიალე მუსიკოსის ნაწერებიდან

წამომყევით სოფელ საგარეჯოში, ჩამოიკარით საკინძს, გაიხსენით გულ - მკერდი, ისუნთქეთ და დასტკბით იმ მშვენიერ ბუნებით, რომლითაც კეკლუცობს და ამაყობს საგარეჯოს მიდამოები.

თუ მეეტლემ ცხენებს მიაყოლოს და ეტლი მაინც დადგა, ნუ დაბანდდებით, ჩამოდით დაბლა და ფეხით გასწიეთ. გასწიეთ წინ, გასწიეთ ფრთხილად, რომ გზა არ აგერიოთ, სათავისაკენ არ მოუხვიოთ და ყანწით სადღეგრძელო ძალათ არ ჩაგასხან. მიუხვიეთ „გველიჭამიანთ“ კაკლისაკენ, მერე ქურხულების, აქედან ახვალთ ქვლივიძეებში და მერე, ორი საათის სიარულის შემდეგ, თქვენ მიადგებით „ბებერი კლდის“ ხრამს. აქედან ფუნიკულიორს კარგად დაინახავთ, მაგრამ აღტაცებაში არ მოხვიდეთ და არ შეჰყვიროთ, „ბებერი კლდე“ სამჯერ მაინც ამოგძახებთ თქვენსავე სიტყვებს. აქ მოისვენეთ, დაბრძანდით, მერე ადექით და გასწიეთ წინ. აღმართს, რომ აივლით, ტყის მშვენიერ ხევანში შეხვალთ, აქედან მინდორზე გახვალთ, ადით კიდევ ცოტა მაღლა და ამოისუნთქეთ თავისუფლად იქ, სადაც „კოდის“ ცივი და ანკარა წყარო ცის ცვარნამივით წინწკლავს და ნამავს სიფართოვეზე გადაშლილ ადამიანის გულ - მკერდს. გასწით კიდევ წინ, ადით, ჩადით და კიდევ ადით. “ცივის„ ცივ ნიავს მიეცით სიცხით შეხუთული გული. გასწით კიდევ წინ, უგზოობამ არ შეგაწუხოთ, ჩადით თელავში. აქედან ჩაჯექით მატარებელში, წამოდით საგარეჯოში, ადით „კოდაზე“ ან „ცივზე“, დაიდგით კარავი და მთელი ზაფხული იცხოვრეთ აქა.

თბილისში რომ ჩამოხვალთ, მოგაგონდებათ „კოდა“, „ცივი“ და იქ ნანახი მშვენიერი ზღაპრები.

ბავშვობა აქ გაველე, ჭაბუკობა მოსკოვ - პეტროგრადში, ვაჟკაცობა ოსმალეთ - ბულგარეთ - საფრანგეთში, ჩავჯექ გემში, მერე მატარებელში და მოველ საგარეჯოში. ბაზარს რომ ავცილდი, თვალები გავახილე, თავი ავწიე, ჩამოველ ეტლიდან და გავსწიე ფეხით.

ბავშვები დავაჟკაცებულან, ვაჟკაცები დაბერებულან, ბებრები დახოცილან. რამდენი ცვლილება, რამდენი გადასხვაფერება!

უწინ, ფიცრის ხიდიდან ანკარა წყალში ქვიშას რომ ვთვლიდი, თრიმილის წისქვილი მესაუბრებოდა. ეხლა კი ვერ დავდექ, ეზოდან ძაღლი გამომივარდა, წისქვილი გამქრალა, სახლი დამდგარა.

უწინ, ღობედან ტერტერა მღერიჯებოდა და შავი ანაფორით გულს მიხეთქავდა, ეხლა ამ ადგილიდან მუშები ღიმილით სალამს მაძლევენ, ეკლესია დაუნგრევიათ, ტერტერა გაუდევნიათ და მშვენიერი საავადმყოფო დაუწყიათ.

უწინ, ჯაბადრიანთ კაკლის მშვენიერ მწვანეზე უზრუნველი ხტუნაობა და უსაზღვრო სიხარული მომდომინა, ეხლა კაკალს არც კი მივხედე ისე მოუნავლიანებით ქვა-ლოდებით იქაურობა.

უწინ, ჩვენ სახლს რომ უახლოვდებოდი, ერთიამული, სიცილ - კისკისი და ტაშის ცემა მეგებებოდა, ეხლა ჩაჩუმებულან. სახლიც დანგრეულა და ამ ნანგრევებში ღამურები და მიკიოტები ერთმანეთს ესიყვარულებიან.

უწინ, საზუაანთ ყანწას პანტა ქვებით და ჭოგებით ვაყრევინებდი და მერე მივრბოდი, მალვით ვჭამდი, ეხლა თითონ დამიკრეფეს, სავსე ლანგრით თავაზიანად მომირბენინეს და ღიმილით მომართვეს.

— ილავ მიირთვი, შენ ძაან გიყვარს ჩვენი პანტია.

უწინ, მინდორში, კალოებ შუა ჯოხზე ვჯდებოდი დავაქანებდი, ეხლა კი მძიმედ, დარბაისლურად სალამს ვაძლევდი სახლებში ხალხს. ეს მინდორიც კი ჩასახლებულა, გამრავლებულა ქურხულიანთ გვარი.

— აქეთკენ ილა, აქეთ წამოდი. — უცნაური ხმები ჩემ ყურებს ისე მოესმა, რომ მოჯიდდი?

ბაბალე იყო, შინშარაულა თავის ქოხიდან ბიკნევდა ხელებს. საკვირველია ეს ადამიანი, არც დაბერებულა, არც გამხდარებულა, არც გამდიდრებულა, არც გაღატაკებულა. სწორედ ისეთი მოხუცებული, როგორიც მახსოვს, დამტოვა ამ, ეხლაც.

— ბაბალე, რა დეგემართა? სოფელი გაშენდა, ქვეყანა გამოიცვალა, მაგრამ შენ მაინც უცვლელსა გხედავ?

— აი, ესე ვარ აი, მე რა გამომცვლის, რა დამაბერებს... გახსოვს შვილო, გახსოვს ოთარაანთ ქვრივი. ერთხელ ჭიგას წვერი რომ დაგაჭერინა?

— მერე.

— მერე ისა, რომ მეორე წვერიდან ჩურჩხელებს ახხავდა. ჭიგო გაივსო, დამძიმდა კარგად შენ ვერ გაუძელ, ვერ შეიმაგრე, გაუშვი ხელიდან, დააგდე დაბლა და ახლად ამოვლებული იმოდენა ჩურჩხელა სულ მიწაში და ნაცარში ამოგანგლე. ხა, ხა, ხა, ხა. კიდევ ისეთი ცეტი ხარ შვილო. კიდევ დაზდევ სახედრებს უკან?

— კიდევ ისეთი ცეტი, გიჟი და გადარეული ვარ ბაბალე. და სწორედ იმიტომ ამოველ აქა, რომ მოვიგონო ჩემი ცელქობა.

— მოდი, მობრძანდი, იყავი შვილო, ჩვენ იცი როგორ გეგეხარდება.

— მოვალ, მოვალ ბაბალე, ეხლა მივალ, ზევით უბანიც მინდა რომ ვნახო. გავწიე ზევით, აველი აღმართი.

აი, ცნობილი მოჭიდავეც მიხა ქურხული უწინ რომ ცირკის კალოებს გამარჯვებული უვლიდა, ეხლა კევრზე იჯდა და თავის კალოს „ოროველათი“ უვლიდა.

— გამარჯობა, მიხა.

— ჭოპ, მიცანი კაცო?

მიხას უკან ვანო ქურხული სცხოვრობს. მეტსახელად ამას „ცეტ ვანოს“ ეძახიან, მაგრამ სრულებითაც არ არის ვანო ცეტი. მართალია დიაკვანია, მავრამ როგორც ადამიანი ვანოა მოსიყვარულე და პურ - მარილიანია. რა ვუყოთ რომ ზოგჯერ ბრაზობს და ყვირის. ჩვენც ნუ ვაწყენინებთ. დედაც ასეთი ყავდა ვანოს, მაგრამ მე ყოველთვის თავაზიანი გრილ დერეფნიდან სიცილით მაშინებდა.

ჩემი ბავშვობის მეგობარი, სიკო დულაშვილიც ვანოს მეზობელია. საწყალი სიკო, დები დაუთხოვებიათ, წასულან, დედ - მამა და ძმები დახოცია. ეხლა ეტლი უყიდია სიკოს და ამით არჩენს თავის [illegible] შვილს და ცოლს. გაუხარდა სიკოსაც ჩემი დანახვა. ამანაც გაიხსნა ფურნე, რომელსაც იქვე ეზოში ვაშენებდით და ტბილ კვერებთან ერთად ბელურა ჩიტებს ვფუფქავდით და ვწვავდით.

სიკომ ვენახში შემიყვანა, გადაეხტით რუის და მითხრა:

— გახსოვს ეს რუი? ხომ იცი, ეს ზამთარში ქრება და იკარგება, მაისის შუა რიცხვებიდან დაუღლელებული ეჩქარებისთვის პირველ რიცხვებამდე კი მოდის და მოჩუხჩუხებს.

— მახსოვს, ძაან კარგად მახსოვს... ზევით ვბანაობდით კიდეც.

— ეს კაკალი, ეს კაკალიც გახსოვს? აბა შეხედე. — მიმითითა კაკლის ხეზე, როცა ვენახის ბოლოს ჩავედით.

— ეს რა გიქნია, რათ მოგიჭრია?

— ფული დამაკლდა ეტლის სახყიდლათ, არც ნაცნობებმა, არც ნათესავებმა და არც მეზობლებმა ხელი არ მიმამართეს, მეც ავდექ კაკალი გავყიდე და მოვჭერი. აი, რა მიქნია.

— სიკო გახსოვს, მე და რეზიკომ აქ „ყარფუზი“ რომ მოვწყვიტეთ და ვჭამეთ.

— მახსოვს. ისიცი კარგად მახსოვს დედაჩემმა სხვები ეგონა და გწყევლიდათ მერე კი, როცა გაიგო, რომ თავის შვილი და შენ იყავით, ბევრი იცა თავში, მაგრამ რაღას უშველიდა. ამისულ სიტყვებ, უკან როგორღა დააბრუნებდა. ეხლა აღარც ყარფუზება აქ, აღარც კაკალი და აღარც დედა ჩემი. — ღრმად ამოიოხრა სიკომ, და ჩამოვარდნილი ცრემლი ხელით დაიშირა.

— არა უშავს, სიკო, არა უშავს.—გავამხნევე მე ის.

რომ ჩემი პატარა ბიჭიკო მიმება სოფლისათვის, რომ განმეახლებია ძმობა და მეგობრობა, რომ მეგონა უდარდელი ბავშვობა, სიკოსგან ვიქირავე ეტლი და გვერდზე დავსხედით.

ღამე თუ კაშკაშა ვარსკვლავების ქვეშა, თუთისა და ფშატ შუა ნიავი ჩემ ლოგინს გამკში აქანავებდა, დღისით ვენახში, რუის პირას ჩემ აზრებს წყარო აფაჩიჩებდა.

მეც ვიჯექ და ვწერდი, ვფიქრობდი და ვწერდი.

მუშაობას მხოლოდ სოფლის ვაი - ვაგლახი და დუხჭირი მაწყვეტინებდა. — ღმერთმა ამოგწყვიტოთ და ამოგჟლიტოთ. დაგაბრმაოთ. ღმერთმა თქვენცა და თქვენი შემნახველიც. აჰან დე. თქვე მუდრეგებო და თქვე უპატრონოებო, აქ ვინ შემოგლალათ. დათესილი აღარ დამიყენეთ და აყვავებული აღარ დამიმწიფეთ... მაშ თოფი რომ ავიღო და ვესროლო, გამამტყუნებენ?.. აქშა, აქშა, თქვე უპატრონოებო. — თანდათან მიახლოვდებოდა გააჩხლებული ხმები. ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა კიდეც და შევეკითხე:

— რა იყო, ძია ნიკოლ, ვის უჯავრდები?

— თქვენ ვისი ბრძანდებით? — მობრუნდა ნიკოლა.

— პეტრესი, ძია ნიკოლ, პეტრესი.

— აბა პეტრე, ბაქოაანთ? — (პაპა ჩემს ბაქოს ეძახდნენ, რადგანაც ოდესღაც ფეხით ჩასულა ბაქოში).

— დიახ იმისი ვარ, იცნობდით?

— ვიცნობდით. მა ვიღას ვიცნობდი, მე და ის კარგი მეგობრები ვიყავით სიჯეელეში... გამარჯობათ.. სხვა როგორა ბრძანდებით?.. სად მსახურობთ, სად დადიხართ... განა ჩემსავით გიწვრილებენ გულს?

— ვინა ძია ნიკოლ, ვინ გაწუხებთ?

— კაცო, ე ღორი - კუდაანი, აი თქვენი სახლი პატრონი, მაგათ ხომ ასე უძახიან, არც ძაღლს დააბამენ, არც ღორს, არც ქათამს და არც ინდაურს. დადიან ეს გახაჟლეტნი ჩემ ვენახში ისე როგორც ტურები და მგლები, აი იქ, აი. — გაიშვირა თოხი—ტყეში. მაგათ არც ღობით შემანარჩუნეს, არც პატრუჯანი, არც მწვანილი და ისრამი. ესე უნდა, კაცო,.. ამითვინა ვშრომობ. თქვენ ხომ მთელი ქვეყანა შემოიარეთ. ხომ უვე ლაყა ნახეთ. იქაც ესეა, შვილო?..

—- არა.

— ვაცხონე მამაშენი. მაშ იქ ჭირნახულს ქათმებსა და ინდაურებს გააოხრებინებენ?

— არა.

— ვაცხონე მამაშენი. მაშ მეზობელი ქურდულად ხხვის ვენახში შევა?

— არა. ამის გულისთვის ციხეში ჩახვამენ.

— ხო...ო...ო, ვაცხონე მამაშენი..: მაშ ჩვენ რევები ვყოფილვართ, ქურდები, ყაჩაღები, რაზმოიხოიკები,.. ხო და აი, მე რომ ვიხუბობ, ნუ მამტყუნებენ, ნუ. აბა წამო, აბა წამო, შვილო, სიკოს ლეჟვი და სიკოს თხილი როგორა ჩრდილავს ჩემ ვაზებს... რა უნდა სხვის ხეებს ჩემ ვენახში, რა?

— დაიცა, დაიცა ნიკოლ, შენ რომ მაგახა ხჩივი, ეხლა ჩემიცა თქვი და. — საიდღანაც წამოგვადგა დაკაკანე ვანო და დაიდრიალა:

— აბა შეხედე, აბა ნახე რა კარგი ალუბლები მედგა —- გამოგვიწოდა ხელის გულით რამდენიმე მარცვალი —აი, ეს-და დავკრიფე სამი ძირიდან. იმ ამოხაწყვეტებს, იმ კომლობა დასახქცევებს და ძაღლ - მამაძაღლებს, სულ ერთიანად დაუკრეფიათ...

— ვისა, კაცო? — გაშტერდა ნიკოლა და დახედა გამოწვდილს.

— ამოუწყდეს ცოლშვილი, რა ვიცი, ვიცი ვისა...

—- ხო და აი...

აქ ნიკოლას კიდევ რაღაცა უნდა ეთქვა, მაგრამ უეცრივ გაჩუმდა, რადგან ხმა, რომელიც ქვევიდან შემოგვესმა, მაღალი და მჭექარე იყო:

— ვაშლის ქვეშ იმის სიმაღლე ბალახი ზიბოებდა, რომ კამეჩი თავიდან ფეხებამდე ჩაიფლებოდა. ის ჩემი ცოდვით სავსეს სულ არ მოუთიბავს? ა..ა...ი. მოვასწრობდი, მე ვიცოდი ძაღლის სისხლით როგორ გაზიარებდი, მაგრამ ვერ მოგასწარ. შე პირძაღლო, შე რჯულძაღლო, რა ვაჭამო ეხლა ჩემ ცხენს...

— ტიტიკოვა, ის კიდევ ბალახზა ჩივის — დაბალის ხმით წაილუღლუღა ვანომ.

— ეს კიდე რას ამბობს? — გაცეცხლდა ნიკოლა — ზოგი ბალახითა ვცხოვრობთ და ზოგიც ხწვლითა.

— მართალია — კვერი დაუკრა ისევე ვანომ.

— ხო და მართალი რომა, ამ საქმეს უნდა უშველოთ, ესე არ იქნება, არა.

ამ ყვირილზე, ამ ღრიალზე და დავიდარაბაზე აქეთ - იქიდან ხალხი კიდევ მოგროვდა. ზოგმა რა სთქვა, ზოგმა რა იჩივლა, იაყანეს, იაყანეს და დაიშალნენ. დარჩა ჩემთან მარტო ნიკოლა. დაეყრდნო ისევე თავის თოხს და შემომხედა.

— ესეა, ესე, ძია ნიკოლ, მთელი დღე. მე აქა ვზივარ დილიდან საღამომდის და ყველაფერი მესმის და ვხედავ. ერთი ზევიდან ჩამოდის, მეორე ქვევიდან ამოდის, ერთი მარჯვენიდან — მეორე მარცხნიდან. მოდიან, გამოდიან, ადიან, ჩადიან და სულ ილანძღებიან, სულ იწყევლებიან. ეს არის ცხოვრება? რათ მინდა მამული, თუ კი სულ მუდამ გულს ესე გადმომიბრუნებს..

— ხო, და აი, ჩვენც მაგასა ვჩივით — შემაწყვეტინა.

— კი არ უნდა სჩიოდე, საქმეს უნდა შველოდე.

— აბა რა ვქნა, როგორ უშველოთ? წეღანაც ვთქვი, საქმეს უნდა უშველოთ.

— მე თქვენ შვილად გეკუთვნით, აბა ჭკუა როგორ გასწავლოთ, მაგრამ თქვენი დახმარება მე ძაან მინდა. მოდი, ერთ რამეს გეტყვით და დამიჯერეთ.

— ბრძანეთ, ბრძანეთ გენაცვა... თქვენ თუ არ გვასწავლით, აბა ვინ უნდა გვასწავლოს?

— ხვალ ზევით კვირაა.

— დიახ.

— ხომ ყველანი მოცლილთა ხართ.

— რასაკვირველია.

— მოდი ყველანი, ვინც მეზობლები ხართ აქ შემოღობილ ვენახებისა, კვირას, ათ საათისათვის აქ შევიკრიბნეთ.

— მაშ უსტა, ყაბულ.

— თუ მენ ყაბულ, სხვებიც ყაბულს გახდებიან... მოდით და მოვილაპარაკოთ ძაღლი ვინ უნდა დააბას, ქათმები ვინ დაამწყვდიოს, ღლევი ვინ მოსჭრას, ღობე ვინ გაამაგროს და სხვა, აქ გავიგებთ ვის რა სიტყვა და ვის რა წამალი მოარჩენს... კაცო, დღეს ქალაქის მუშა იბრძვის და ცდილობს სახელმწიფოებათა შორის საუკუნოებით გამაგრებული ქვიტკირის გალავნები პაინდრ - მოაძგრიოს და ყველა ქვეყნის მშრომელი ხალხი დაამეგობროს და შეაერთოს. ცდილობს იმიტომ, რომ ცხოვრება გაჭირდა, რომ მსუქანი გამხდარს ხმავს, რომ ღონიერი სუსტს ჩაგრავს. ცდილობს იმიტომ, რომ მშრომელი დასტკბეს თავის ოფლით. თქვენ განა არ უჭერთ მხარს თქვენს ძმებს, ქალაქის მუშებს? მეზობლები და მოჭირნახულები რატომ არ ანგრევთ ვენახში ღობეებს? აი. ამ თქვენ ვენახებსაც ღობე სჭირდება მხოლოდ გარედან, რომ პირუტყვ - საქონელმა შიგ არ ისეირნოს, შიგნიდან კი დასჭირდება თქვენი თანხმობა და ამხანაგობა. შეერთებით ყველანი, ამოძრავდით, იმუშავეთ და შრომის ნაყოფიც სამართლიანად გაიყავით.

ეჰე, დალოცვილო. მერე ვინ არის მაგის წინამძღვი? განა ეგ გვეღირსება?

— მაშ მე ხვალ ყველას ჩამოვივლი, ვნახამ, მოველაპარაკები და ვთხოვ, კვირას მოვიდნენ აქ, ამ კაკლის ქვეშ.

— ვერა შვილო, მაგათ თქვენ აქ თავს ვერ მოუყრით, თორემ აი, ათ თუმანს დავხარჯავ სანადიმოზე.

გამართლდა ძია ნიკოლას სიტყვა, მართალია მე ძაან ვეცადე, ყველას ჩამოუარე, დავითანხმე, ზოგმა კიდეც პირობა, მაგრამ სიტყვა გატეხეს და პირობა ვერ შეასრულეს.

ვილოდე, ვილოდე და გამოვწიე.

სახლში რომ ამოველ, სიკოს ახალმოტანილ ფაეტონს შევხედე. სიკო ღამეებს ასწორებს, დღისით ვერ ისვენებს, რის ვაი - ვაგლახით, ტანჯვით და წვალებით, ვალით და ვახშით შეიძინა ეს საცხოვრებელი და ეხლა, ვილაცა მეჰპარეგა და თვალზე რეზინი გადაუჭრია...

— რა ამბავია სიკო, ვინ გიყო ესა? — აბა, რა ვიცი, წუხელ ბაზარში მედგა...

* *

რა კარგია ერთი მშვენიერი გზატკეცილი „კოდამდის“. ავა აქ კაცი, ჩამოიკრავს საკინძს, გაიწევს გულ - მკერდს და თავისუფლად ისუნთქებს ცის თავისუფალ ჰაერს.

გზატკეცილი და შენობებია საჭირო კოდაზე ეს ადგილი საუკეთესო აგარაკად უნდა გადაიქცეს ავადმყოფებისათვის კი არა, დაღლილებისათვის, რამდენ ხალხს სიძლიერეს მისცემს ეს კაცს.

მაგრამ მრწამს და იმედია, ვინც მტკვარი შეაბა უღელში, ის კოდასაც წამოაშენებს.

ილიკო ქურხული.

სასამართლო

ი. ქუთათელაძის საქმე

გუშინ საქართველოს უზენაეს სასამართლოში ამხ. ბერბერაშვილის თავმჯდომარეობით დაიწყო მეაბრეშუმეობის ყოფილ ინსპექტორის **იოსებ გიორგის ძე ქუთათელაძის** საქმის გარჩევა.

საბრალმდებლო დასკვნის წაკითხვის შემდეგ ილაპარაკა ბრალდებულმა. ბრალდებულმა მთელი ორი საათი მოანდომა იმის მტკიცებას, თუ რამდენი ღვაწლი მიუძღვის მას საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების საქმეში. იწყებს ნიკოლოზის დროიდან, გადადის მენშევიკების მთავრობის დროს მუშაობის პირობებზე, შემდეგ ეხება მეაბრეშუმეობის განვითარებას საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში. ყოველთვის ბრალდებული ქუთათელაძე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მეაბრეშუმეობის მეთაური იყო ის, და თუ რაიმე გაკეთდა, ყველაფერი მისი მეოხებით, ხოლო თუ გაფუჭდა ეს იმათი ბრალია, ვინც მას არ ეთანხმებოდა.

ბრალდებულის სიტყვა უფრო მეტად შეიცავ და მეაბრეშუმეობის ისტორიას საქართველოში, ვინემ თავის მართლებას წაყენებულ ბრალდებებისაგან. გუშინდელ სხდომაზე ბრალდებულს სიტყვა არ დაუმთავრებია. სხდომა გადაიდო ორშაბათისათვის.

პროცესს მრავალრიცხოვანი ხალხი ესწრება.

ბრალდებულებს იცავენ დამცველთა კოლეგიის წევრები: **შ. მესხიშვილი და შ. ნუცუბიძე.**

რძლის მოწამვლა

(პირველი დღე)

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **სიჭინავას** თავმჯდომარეობით დაიწყო ცოლ - ქმარ მათე და ანტონინა კაზაჩენკოების გასამართლება რძლის მოწამვლისათვის.

გუშინდელ სხდომაზე წაკითხულ იქნა საბრალმდებლო დასკვნა. საქმის გარჩევა განახლდება ორშაბათიდან.

პროცესი დიდ ინტერესს იწვევს. ბრალს სდებს პროკურორი **ქიქაბიძე.**

გ.

ქალი, რომელიც მუდამ იგინებოდა

18 წლის ქალია **თამარა ჩხიკვიშვილი.** განათლებაც აქვს. როგორც თვითონ ამბობს, ოთხი კლასი დაუმთავრებია. შესახედავადაც სიცოცხლით სავსე ქალიშვილია.

ზის საბრალმდებლო სკამზე, უდარდელად. ისეთი გამომეტყველება აქვს, თითქოს საპირფარეშოში ზის და „მანიკიურს" იკეთებს. ეტყობა, შეჩვევია საბრალმდებლო სკამს, საიდანაც არა ერთხელ გაუსტუმრებიათ ის საპატიმროში, მოსამართლეებს როდი უყურებს. ის მხოლოდ დამსწრე საზოგადოებას ათვალიერებს, თანაც იღიმება.

ეხლაც ისეთივე ბრალდება აქვს წაყენებული, როგორიც არა ერთხელ ჰქონია. ქუჩაში აყალ - მაყალი, მგზავრების შეურაცხყოფა, ადმინისტრაციის წარმომადგენლების აბუჩად აგდება, ლანძღვა - გინება.

უკანასკნელად ის დააპატიმრეს ერთ ბნელ ქუჩაში, სადაც მას მამაკაცებთან ჩხუბის და აურ - ზაურის დროს მოუსწრო ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა. თამარა ისეთი სიტყვებით იგინებოდა რომ გამვლელები ყურებში თითებს იჩრიდენ, რომ არ გაეგონათ. მილიციის დანახვისთანავე მან მოუმატა გინებას, არ დაუტოვებია გაულანძღავი და შეუგინებელი ტელეფონის ბოძებიც კი.

ასეთი იყო თამარა ჩხიკვიშვილი.

სასამართლომ დღეს გამოიტანა განაჩენი ამ საქმეზე.

თამარა ჩხიკვიშვილს, მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა სამი თვით, ხოლო ამ სასჯელის მოხდის შემდეგ საქართველოს საზღვრებიდან გადასახლება 3 წლის ვადით.

საზამთრო სეზონი

აგარაკებზე

პირველ ნოემბრისათვის საქართველოს ყველა კურორტებზე, დამთავრდება საზამთრო სეზონი. 15 ოქტომბერს სეზონი შეწყდება ბორჯომში, ხოლო ოქტომბრის დამლევს აბასთუმანსა და წყალტუბოში. თუ ამინდებმა ხელი შეუწყვეს, განზრახულია სეზონის გაგრძელება წყალტუბოში, რომელიც წელს გასულ წლებთან შედარებით უკეთ არის მოწყობილი: არის სასტუმრო, გაკეთებულია ახალი აბაზანები, მუშაობს სასადილო და სხვა. ავადმყოფთა რიცხვი წყალტუბოში არ კლებულობს, განკურნებულ ავადმყოფთა პარტიას სცვლის ახლად ჩამულ ავადმყოფთა პარტია.

აბასთუმანში საზამთრო სეზონი გაიხსნება პირველ ნოემბრიდან. იმუშავებს ორი სანატორიუმი ტუბერკულიოზით დაავადებულთათვის. ამასთან ერთად მთელ ზამთრის განმავლობაში გახსნილი იქნება სასტუმრო. საავტომობილო მიმოსვლა ბორჯომ-აბასთუმანს შორის გაგრძელდება მთელი ზაფხულის განმავლობაში.

წელს საქართველოს საზამთრო კურორტებზე დიდძალი ავადმყოფებია მოსალოდნელი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებიდან. ვინაიდან ყირიმის აგარაკები მიწისძვრით შენობების დანგრევის გამო წელს ავადმყოფებს ვერ მიიღებს

ბიბლიოგრაფია

БОРИСОВ, «Кооперативная Хрестоматия».

გ. ბ. პიჩიკიანის რედაქციით და წინასიტყვაობით. გვ. 336.

მრავალხელ აღგვინიშნავს, რომ კოოპერატიული ლიტერატურა ჩვენში მეტად მცირეა, დღემდე არ გვაქვს ცოტად თუ ბევრად დამაკმაყოფილებელი სახელმძღვანელო კოოპერაციის თეორიასა და ისტორიაში, მაშინ, როდესაც კოოპერაციას ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა წყობილების დროს და კოოპერატიული განათლება საერთო ეკონომიურ განათლების მეტად სერიოზულ შტოს წარმოადგენს.

არა თუ ქართულ ენაზე, არამედ თვით რუსულ ენაზედაც არ გვაქვს საყურადღებო შრომები, მარქსისტული ნაკვლევები კოოპერაციის თეორიისა და კოოპერაციის ისტორიული წარსულის შესახებ. სერიოზული კოოპერატიული ლიტერატურის სიმცირე განსაკუთრებით საგრძნობია სხვადასხვა ტიპის სკოლებისათვის და განსაკუთრებით უნივერსიტეტებისათვის, სადაც კოოპერაციის თეორია და ისტორია მეტად მდაბალი ხარისხის კოოპერატიული „შრომებით" ისწავლება. სარეცენზიო წიგნის ავტორი სცდილობს ზემოხსენებული ნაკლის შეძლებისდაგვარად შევსებას, მაგრამ არა კოოპერაციის სისტემატიური კურსი ან რაიმე გამოკვლევით, არამედ ქრესტომატიით, რომლის შედგენა საერთოდ არ წარმოადგენს სიძნელეს.

ამხ. ბორისოვის ქრესტომატიის ნაწილობრივი ღირსება, როგორც ლაპარაკობს წიგნის რედაქტორი ამხ. პიჩიკიანი იმაში მდგომარეობს, რომ ავტორი სცდილობდა გამოეყენებია განსაკუთრებით მარქსისტ - ლიტერატორთა შრომები, რაიც საგრძნობლად იძლევა სახელმძღვანელოს იდეოლოგიურ გამძლეობის გარანტიას.

წინასწარ უნდა ითქვას, რომ ქრესტომატიას აქვს სქემატიური და მწყობრად დალაგებულ მასალების კრებულის ხასიათი. კოოპერატიულ თეორიის შესწავლა, როგორც დამტკიცდა ეს ყველა კოოპერატორ - თეორეტიკოსთა მიერ, შეუძლებელია კოოპერაციის ისტორიასთან დაუკავშირებლად, უკეთ—ჯერ საჭიროა კოოპერაციის ისტორიასთან გაცნობა, კოოპერაციის სხვადასხვა სახეობათა შესწავლა იმისათვის, რათა გამომუშავებულ იქნას დასრულებული შეხედულება კოოპერატიულ აზროვნებაზე.

ამ მეთოდს აღიარებენ ბურჟუაზიული კოოპერატორები. ტუგან ბარანოვსკი, ჟიდი, ზასენი და მას ვერ აცდენ ვერც მარქსისტები, რომელთაც მოინდომეს კოოპერაციის სისტემატიური კურსის თუ სერიოზულ გამოკვლევის დაწერა.

ამხ. ბორისოვიც ამ გზას დასდგომია. ამიტომ ქრესტომატიაში ისტორიულ ნაწილს საკმაო ადგილი აქვს დათმობილი. პირველ ნაწილში შემდგენელი აძლევს მკითხველს ნაწყვეტებს სხვადასხვა კოოპერატორთა ნაშრომებიდან, რომელნიც აშუქებენ კოოპერაციის საერთო მნიშვნელობას და ხსნიან მისი წარმოშობის მიზეზებს.

კოოპერაცია კაპიტალიზმის პირმშო შვილია. ის წარმოიშვა მხოლოდ კაპიტალიზმის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, იმ საფეხურზე, როდესაც საგრძნობი შეიქნა მსხვილი კაპიტალისტური წარმოების მიერ წვრილი მეურნეობის განადგურება და დაქირავებულ მუშების განუსაზღვრელი აქსპლოატაცია. პირველ კოოპერატიული ორგანიზაციები წარმოიშვა ამიტომ, როგორც გაერთიანება გალატაკებულ მუშებისა (პირველ მოთხოვნილების საგნების ხელსაყრელ ფასებში შესაძენად) ან როგორც შეთანხმებული თანამშრომლობა წვრილ, დარბეულ მესაკუთრეთა, რომელთაც სურდათ თავი გადაერჩინათ მსხვილი კაპიტალისტური წარმოების გამანადგურებელ გავლენისაგან ან მსხვილი მეურნეობის დაწოლის შესუსტება.

კოოპერაციის წარმოშობა ცნობილია განსაკუთრებით, როგორც გაყვლეფილთა გაერთიანება სავაჭრო კაპიტალის ექსპლოატაციის წინააღმდეგ. ასეთი სახითაა წარმოშობილი კერძოთ როჩდელის პიონერთა საზოგადოებაც, როგორც პირველი პროლეტარული კოოპერაცია. პირველ ნაწილშივე ქრესტომატიის შემდგენელი იხილავს კოოპერაციის სახეებს და აგრეთვე მეტად საინტერესო საკითხს — კოოპერატიული მოგების ბუნებას. აქ მოყვანილია ამხ მეშჩერიაკოვის წიგნიდან სათანადო ადგილი, რომელიც საუცხოვოდ უარყოფს ძველ კოოპერატორთა შეხედულებას იმის შესახებ, რომ კოოპერაციაში არ არის მოგება ან და ორიგინალურ შეხედულებას —რომ ვითომდა მომხმარებელ კოოპერატივების მოგება სულ სხვაგვარი ხასიათისაა ვინემ ჩვეულებრივი სავაჭრო მოგება.

ამის შემდგომ ამხ. ბორისოვი აცნობს მკითხველს კოოპერაციის ადგილს უტოპისტთა მოძღვრებაში და მარქსისტ ავტორების მეოხებით სამართლიანად უარყოფს იმ გავრცელებულ შეხედულებას, თითქო ოუენი ითვლებოდეს კოოპერაციის იდეურ მამად „ოუენის მიკუთვნება კოოპერატორებისადმი, შედეგია სიტყვა „კოოპერაციის" ორგვარი აზრის აღრევისა".

ამხ. ბორისოვი ჰყოფს კოოპერაციის ისტორიის შემდეგ გვარად: ჯერ განხილულია კოოპერაციის იდეების წარმოშობა და კოოპერატიული მოძრაობის არსება შემდეგ გვაქვს ისტორიული მიმოხილვა პროლეტარულ კოოპერაციაზე, წვრილ ბურჟუაზიულ გლეხურ კოოპერაციის შესახებ, ანალიზი კოოპერაციისა სოციალისტურ აღმშენებლობის პირობებში და ბოლოს კი მოკლეთ მოთხრობილია საერთაშორისო კოოპერატიულ გაერთიანების შესახებ. საბჭოთა კოოპერაცია განხილულია მთელ რიგ სოციალისტურ მეურნეობის ზრდასთან დაკავშირებით და მისი ცალკე სახეები, როგორიცაა: სამომხმარებლო, სასოფლო - სამეურნეო, კუსტარულ - სარეწაო, საკრედიტო და საბინაო კოოპერაცია.

ამხ. ბორისოვის მიერ შედგენილი ქრესტომატია არ არის დასრულებული სახის, მასში სუსტათაა გაშუქებული კოოპერატიული თეორია, მას აქვს საკმაო დეფექტები მასალების თანმიმდევრობით დალაგების მხრივ, მასში არაა ვრცლად და მეტი დასაბუთებით ახსნილი ლენინის კოოპერატიული თეორია. მაგრამ ამის მიუხედავად ის ნაწილობრივ აკმაყოფილებს მაინც სკოლების მოთხოვნილებას და მისი თარგმნა ქართულ ენაზე იმავე „ზაკკნიგა"-ს მიერ სასარგებლო იქნებოდა.

დ. გ—ვა.

„სოფლის მეურნეობა" № 2, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის და კომკავშირის ცეკას სასოფლო-სამეურნეო ჟურნალი

გაზ. „ახალ სოფლი"-ს გამოცემა, ფასი 40 კაპ.

იმ მასალების მიხედვით, რომელიც ჟურნალის პირველ ნომერში იყო წარმოდგენილი, რედაქცია იმედს იძლეოდა ჟურნალის უკეთესი მომავლის შესახებ. ეს არ ითქმის მეორე ნომერზე. ჟურნალის ამ ნომერში კომკავშირი არის მხოლოდ კარგად წარმოდგენილი. პირველ ოთხ წერილში დაწვრილებით გაშუქებულია, როგორი მონაწილეობა უნდა მიიღოს კომკავშირმა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა საკითხებში: კომკავშირი და სასოფლო-სამეურნეო თათბირები, კომკავშირი და დაქირავებული ახალგაზრდობა სოფლად, კომკავშირი და სასოფლო სამეურნეო გადასახადი და სხვა.

სპეციალურ ნაწილში აღსანიშნავია მხოლოდ ზოგიერთი წერილები —აპ. კაკაბაძის, გ. ხოფერიას, ელ. ამირანაშვილის და ავ. ბიბილეიშვილის და დ. სამადაშვილის შენიშვნები.

აპ. კაკაბაძის წერილში, — „ჩვენი მესაქონლეობის განვითარებისათვის", სოფლის მეურნეობის ამ მნიშვნელოვანი დარგის განვითარება, სწორად არის დაკავშირებული საქონლის კვებასთან და მის შესაფერ მოვლასთან, რაც ზოოტექნიკის ძირითად საკითხს წარმოადგენს. პირუტყვის რაციონალური კვება მრავალ მხრივ ახდენს გავლენას, როგორც პროდუქციის, ისე გარეგნულ თვისებებზე. ამის შედეგია ინგლისში ისეთ პირუტყვთა ჯიშების მიღება, რომელიც რამოდენიმე ხნის წინეთ 200—300 კილოგრამს იწონიდა,, ხოლო გაძლიერებულ კვების შემდეგ შერჩეული ჯიშების შერჩევით იწონის 700—1000 კილოგრამს. აქედან ცხადია, თუ რა მნიშვნელობა აქვს საქონლის კვების გაუმჯობესებას და ამასთან დაკავშირებით, ჩვენში არსებულ საძოვარ ადგილების შესაფერად დაყენებას.

გ. ხოფერიას წერილის პირველ ნაწილში დაწვრილებით არის განხილული. რა ადგილი უჭირავს მატყლის შემოსავალს აღმოსავლეთ საქართველოს მეცხვარეთა მეურნეობაში, მატყლის მოსავლის საკითხი და მატყლის ფასი. მხოლოდ სახელწოდება „მატყლის პრობლემა საქართველოში" არ არის შინაარსის შესაფერი.

კარგია ვასო ბიბილაშვილის გეგმა მევენახეთა - მეღვინეობის შესასწავლად. სუსტია ნ. იაშვილის წერილი, როგორც სტილისტიურად, ისე ზედმეტი ციტატების დატვირთვით. ადგილებიდან წერილები ისევ ცოტაა. რაც შეეხება ჟურნალის მასალის დალაგებას, არ არის მიზანშეწონილი, პროფესიონალური ხასიათის წერილების, — ვ. ქ. — „სამეცნიერო ტეხნიკურ ძალთა სექციის მიზანი და ამოცანა" და ნ. ხაჭაპურიძის „აგროპერსონალის ხელფასის და ტარიფიკაციის საკითხი საქართველოში", მოწინავე წერილების რიგში მოთავსება, რაც სასოფლო -სამეურნეო ხასიათის ჟურნალს პროფესიონალურ ჟურნალის ხასიათს აძლევს.

აღსანიშნავია, რომ ჟურნალი დაგვიანებით გამოდის, აგვისტოს ნომერი სექტემბრის ბოლო რიცხვებში გამოვიდა.

აგრონომი.

ზვავების წინააღმდეგ

წყალსადენისა და სანიტარულ - ტეხნიკურ მუშაკთა ყრილობამ, რომელიც აერთიანებს თბილისში მომუშავე სპეციალისტებს—ინჟინრებს, სანიტარულ ექიმებს, ბაქტერიოლოგებს, ეპიდემიოლოგებს, ქიმიკოსებს და სხ.. მოისმინა სწავლულ მეტყევეს **როზჩინის** მოხსენება ზვავებთან ბრძოლის შესახებ თბილისში. როგორც ცნობილია წვიმებისა და ნიაღვრებით გამოწვეულ ზვავებს არა ერთხელ მიუყენებიათ თბილისისათვის დიდი ზარალი. გარდა ამისა მთიდან ჩამოტანილ შლამიორლს ხშირად დაუფარავს თბილისის ქუჩები, რომლებზეც გაძნელებულა მიმოსვლა.

ამის წინააღმდეგ საბრძოლველად ქალაქის აღმასკომმა დაიწყო მამადავითზე ტყის გაშენება, როგორც როზჩინმა აღნიშნა თავის მოხსენებაში, 150 დესეტინაზე უკვე დარგულია წიწვიანი ტყე. ტყიან ფერდობებზე წყალი ნაკლები სისწრაფით მოძრაობს. და ის ნიადაგშივე იჟონება.

ახალ საბიუჯეტო წელს განზრახულია ასეთი საშუალებით ბრძოლის გაძლიერება ზვავების წინააღმდეგ.

საღებავების წარმოება

საბჭოთა რესპუბლიკების საფეიქრო მრეწველობა, რომელიც თანდათან ადიდებს თავის პროდ. რაოდ. უფრო და უფრო მეტ საღებავ ნივთიერებას საჭიროებს. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა სხვადასხვა ჯიშის ხეების ფოთლებზე, რომლიდან სხვადასხვა ფერის საღებავი მზადდება.

საქართველოს სატყეო აგარაკების ადმინისტრაციას დავალებული აქვთ გამოარკვიონ, თუ რა საღებავი ნივთიერებისათვის საჭირო ნედლეულების დამზადება შეიძლება სატყეო აგარაკებში და რა რაოდენობით. ბალდათის სატყეო უბნის ადმინისტრაციამ უკვე დაამთავრა ორი სატყეო აგარაკის გამოკვლევა ამ თვალსაზრისით.

გამოირკვა, რომ ხოლოდ ამ ორ სატყეო აგარაკში 7.842 ჰექტარის სივრცეზე შესაძლებელია ყოველწლიურად 1.473.325 ფუთი როდოდენდრონის და 1.161.450 ფუთი დაფნისებური ფოთოლის შეგროვება. ეს ჯიშები საუკეთესო ნედლ მასალას წარმოადგენენ საფეიქრო მრეწველობისათვის საჭირო საღებავების დასამზადებლად.

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩი

დღეს დინამოს სტადიონზე შესდგება ფეხბურთელთა გუნდების „დინამო - პირველი"-ს და „პროფკავშირთა ნაკრები"-ს ამხანაგური მატჩი.

მატჩი დაიწყება დღის 4 საათზე.

ქ. ინაკიევოს გუნდის ჩამოსვლა

თბილისში 22 ოქტომბერს მოელიან ქ. ინაკიევის (დონბასი) ფეხბურთელთა გუნდს, რომელმაც წელს აიღო დონბასის პირველობა ფეხბურთში.

საჭირო განმარტება

(ამხ. ვ. ქურდაძის წერილის გამო)

ა. წ. 15 ოქტომბერს თქვენი გაზეთის № 209 მოთავსებული იყო გორიდან ვ. ქურდაძის ხელმოწერით წერილი, რომელიც ეხება შინდისის და მეჯვრისხევის ხილის სახმობი ქარხნების აშენებას. ავტორი ამბობს, რომ დასახელებული ქარხნების აშენების საქმე ერთობ ნელი ტემპით წარმოებს და ამ გარემოებაზე აქცევს საქართველოს სამეურნეო საბჭოს ყურადღებას.

ასეთ ცნობებს, განსაკუთრებით, როდესაც ისინი ეკუთვნის ადგილობრივ მუშაკებს, ჩვენ დიდის ყურადღებით ვეპყრობით. არის ზომები მიღებული, რომ დაჩქარდეს მუშაობა დასახელებულ ქარხნებზე. სამწუხაროდ ავტორი წერილისა არ უჩვენებს იმ მიზეზებს, რომლებმაც გამოიწვია ხილის სახმობი ქარხნების აშენების შეფერხება. საქმე იმაშია, რომ მეჯვრისხევის ქარხნისთვის საჭირო აგურების მიწოდება მიიღო თავის თავზე გორის აღმასკომმა, რომელსაც აქვს აგურის ქარხანა. ამის ანგარიშში აღმასკომმა მიიღო ა. წ. 23 აპრ. 5.000 მან: ავანსათ და ვალდებული იყო 15 ივნისიდან დაეწყო აგურის მოზიდვა. სამწუხაროდ აღმასკომმა ვერ შეასრულა თავის დაპირება და ამით შეაჩერა ქარხნის აშენების მსვლელობა. ა. წ. 23 ივლისს ს. მ. უ: ს:-ის პრეზიდიუმმა მიმართა აღმასკომს დაეჩქარებინა აგურის მოზიდვა.

მხოლოდ 20 აგვისტოს დაიწყო აღმასკომმა აგურების პირველი პარტიის მოზიდვა, მაგრამ სამწუხაროდ ეს აგური ისეთი ცუდი ხარისხის გამოდგა, რომ ს. მ. უ. ს.-ის პრეზიდიუმი იძულებული შეიქმნა მიეცა ახალშენებათა კომიტეტისათვის განკარგულება, რომ უარი ეთქვა მასზე და გამოეწერა აგური თბილისიდან. ამჟამად გადაწყვეტილია ქარხნის აშენებისათვის გამოყენებულ იქნას ბეტონიტი, რომლის დამზადებას უკვე შეუდექით.

რაც შეეხება შინდისის ხილის სახმობ ქარხანას, მისი აშენება უკეთეს პირობებში ხდებოდა. აქ რუმის აღმასკომი ყოველგვარ დახმარებას უწევდა ქარხნის აშენების საქმეს. შედარებით კარგი ხარისხის აგური. თავის დროზე იქნა მოზიდული ამიტომ ქარხნის მშენებლობა უფრო სწრაფად და წარმატებით მიდიოდა წინ.

აქაც იყო ზოგიერთი დაბრკოლება: მაგ. შინდისის აგურის ქარხანას ესაჭიროებოდა სათბობი მასალა. ამ მასალის შეძენისთვის საჭირო იყო სამხრეთოსეთის ცაკის ნებართვა. ვერც თემის აღმასკომმა, ვერც გორის სამაზრო აღმასკომმა ვერ მოახერხეს ამ კითხვის მოგვარება. ს. მ. უ. ს.-ის პრეზიდიუმმა მიმართა დეპეშით სამხრეთ ოსეთის ცაკს და ეს საკითხი ჩქარა იქნა მოგვარებული.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ ხილის სახმობ ქარხნების აგება არ იყო მოსალოდნელი ამ წლის მოსავლის გამოყენებისათვის, რადგანაც ქარხნების მოწყობილობა შესაძლებელია მიეიღოთ საზღვარგარეთიდან მხოლოდ მომავალ წლის გაზაფხულის დამდეგს.

ახალშენებათა კომიტეტი

წერილი რედ. მიმართ

ამხ. რედაქტორო.

გაზ. „კომუნისტი"-ს 12 ოქტომბრის №-ში „შემთხვევები"-ს განყოფილებაში მოთავსებული ცნობა ხულიგან ვინმე როსტომ აბაშიძის დაპატიმრების შესახებ. გთხოვთ მომცეთ საშუალება განვაცხადო, რომ მილიციის მიერ დაპატიმრებული როსტომ აბაშიძე მე, რკ. გზის მთავარ სახელოსნოს მუშა როსტომ ნიკოლოზის ძე აბაშიძე არა ვარ.

როსტომ ნიკოლოზის ძე აბაშიძე.

იურიდიული დახმარება

კითხვა

დროებით მომუშავენი უნდა იქნენ თუ არა გაფრთხილებული იმის შესახებ, რომ ისინი მიღებულ არიან დროებით სამუშაოზე.

რკინისგზელი ირაკლი ჩი—გიძე.

პასუხი

დროებით მომუშავენი წინასწარ აუცილებლად უნდა იქნენ გაფრთხილებული იმის შესახებ, რომ ის სამუშაო, რომელზედაც ისინი დაშვებული არიან, დროებითი სამუშაოა და არა მუდმივი (იმ შედეგების რიდით, რომელიც გათვალისწინებულია შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 38 და 39-ში) (იხ. საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოს ა. წ. 14 იანვრის დადგენილების მუხ. 2).

კავშირის წევრს (წიგ. № 2051) ალ. სტეფანიშვილს

პასუხი

საშვებულებო ფულიდან რაიმე ნაწილის დაჭერა ავანსების ან და სხვაგვარ დავალიანებათა დასაფარავად არავითარ შემთხვევაში არ დაიშვება. საშვებულებო ფული შვებულებაში მიმავალს უნდა მიეცეს სრულად, სწორად და ყოველგვარ დაჭერა-დაკავების გარეშე. (იხ. ა.-კ. შრომის სახკომატის 1925 წ. 14 მაისის დადგენილება).

უმუშევარ ერმილე ნადარეიშვილს

პასუხი

თანახმად საკავშირო სოცდაზღვევის საბჭოს 1927 წ. 13 იანვრის დადგენილება № 9-ისა, ერთდროული დახმარება ბავშის მოსავლელად და რძის ფული ცხრა თვის განმავლობაში დაზღვევ სალაროდან ეძლევათ მხოლოდ ისეთ უმუშევრებს, რომელთაც ეძლევათ დახმარება უმუშევრობის გამო, ან და რომელთაც ასეთი არ ეძლევათ მისი მიღებისათვის საჭირო ვადის გასვლის გამო, მაგრამ ასეთი დახმარების მიღების უფლება აქვთ საერთო წესით. იმ უმუშევრებს კი, რომელთაც არა აქვთ უფლება მიიღონ უმუშევრობისა გამო დახმარება, აღარ მიეცემათ არც ერთდროული დახმარება ბავშის მოსავლელად და არც რძის ფული ბავშის საკვებად.

საჭიროა ეს წესები მტკიცეთ შეითვისონ უმუშევრებმა და უკანონო მოთხოვნით არც თავი შეიწუხონ და არც ჩვენი დაზღვევის ორგანოები დატვირთონ.

პარტიული კალენდარი

— საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იტყობინება, რომ ორშაბათს, 17 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე ცენტრალური მუშათა კლუბში (პლეხანოვის პროსპ. 123) მოწვეულია არსენალის მე-ჲ რაიონული პარტიული კონფერენცია.

დღის წესრიგში:

1) მოხსენება შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ.
2) კ. პ. რაიკომის ანგარიში, ა. ლ. კ. კ. რაიკომის თანამოხსენება.
3) სარევიზიო კომისიის ანგარიში.
4) მოხსენება კოოპერაციის შესახებ.
5) რაიკომების სარევიზიო კომისიისა და დელეგატების არჩევა სამაზრო - საქალაქო კონფერენციაზე.

არჩეულ დელეგატებს მანდატების მიღება შეუძლიათ რაიკომის საორგანიზაციო განყოფილებაში, დილის 9 საათიდან — ნაშუადღევს 3 საათამდე.

— საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილება ქვემოდ ჩამოთვლილ რაიონებში პარტსკოლის სკოლათა ხელმძღვანელებად გზავნის სახ. უნივერსიტეტის უჯრედის წევრებს:

პირველ რაიონში: სერგო ქუთათელაძეს, შ. ლორთქიფანიძეს.

მეორე რაიონში: გ. მეგრელიშვილს, აპ. ნუცუბიძეს, ა. კალანდარიშვილს, სტ. გურგენიძეს, ი. ადიაშვილს.

მეოთხე რაიონში: კალ. კიბლაძეს, ს. ფანცხავას, და ბ. მეგრელიშვილს.

ჩამოთვლილ ამხანაგებს ევალებათ გამოცხადდენ რაიკომში.

— საქ. კ. პ. (ბ) ცეკას სააგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილებაში, ორშაბათს, 17 ოქტომბერს, დილის 10 საათზე შესდგება თათბირი, რომელზედაც მოწვეულია ამხ. ყურულაშვილი, თადეო ღლონტი, დავით კანდელაკი, ვასილ კანდელაკი, კიტა მეგრელიძე და არჩილ მიქაძე.

— ორშაბათს, ოქტომბრის, 17, საღამოს 5 საათზე დანიშნულია რემედას-ის ც. კ. პრეზიდიუმის სხდომა. გადაუდებელი საკითხების გამო დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: 1) ვ. სტურუა, 2) ს. თოდრია, 3) მ. ჩოდრიშვილი, 4) იმედაძე, 5) ბელიაევი, 6) ათაბეგოვი რუმასი, 7) გენიალიძე, 8) ნაცვლიშვილი, 9) მუაცა, 10) არაზაშვილი, 11) მ. ხომერიკი, 12) მუთლაძე.

ღრმად დამწუხრებული მშობლები: ბესარიონ და ტერეზი, ძმა სერგო, და ვერა; ბიძები: ივანე და ონისიმე; მამიდა—ტასია, ბიძაშვილები: პავლე, იოსები, მაშიკო, ალექსანდრე, ვანო, ზაქარია და სოფიო; სიძეები: ჟორა ახობაძე, მელიტონ გიგინეიშვილი და აპოლონ რაზმაძე; რძლები; ტერეზი, ლეონინე, ოლღა, ნატაშა და ოლია კომახიძეებისა აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს ძვირფას—დაუვიწყარ

კოწია (კონსტანტინე) ბესარიონის-ძე
კომახიძის

უდროოდ გარდაცვალებას გასვენება მოხდება ქალ. სამტრედიიდან, საკუთარ სახლიდან სოფ. საჭილაოში, ნამწირაულის სასაფლაოზე, სამშაბათს 18 ოქტომბერს, ნაშუადღევის 3 საათზე. 158

ღრმად დამწუხრებული ამხანაგები: ანდრიაძე პორფირი, როსებაშვილი იოსები, დუნდუა მიხეილი, ლეჟავა მექი, პაიჭაძე ალექსანდრე, გაბუნია გრიგოლ, ჩოლრიშვილი ვლადიმერ, ბალანჩივაძე დავით, კარბელოვი ბალზიმ, ჯინორიძე გიორგი, მუმლაძე ვასილი, ჯავახაძე მიხეილ, ბიბილეიშვილი ივანე, ფავლენიშვილი დიმიტრი და სიმონიშვილი ვახტანგი აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს დაუვიწყარ ძვირფას ამხანაგის

კონსტანტინე (კოწია) კომახიძის

უდროოდ გარდაცვალებას. (ე)

სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტეხნიკური ფაკულტეტის სტუდენტები: გალაქტიონ ჯიმშელეიშვილი, ვასო სალუქვაძე, შალიკო ცოტაძე, მიშა ქებულაძე, ვანიჩკა გვარჯალაძე, ფილიმონ გაჩეჩილაძე და ივანე გვასალია, გულითადი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, ამავე ფაკულტეტის სტუდენტ. ამხ.

კონსტანტინე (კოწია) ბესარიონისძე
კომახიძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ. სამტრედიაში სამშაბათს 18 ოქტომბერს. 161

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტეხნიკურ ფაკულტეტთან არსებული სამეცნიერო-ტეხნიკური წრე ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და საზოგადოებას, რომ 14 ოქტომბერს, დილის 3 საათზე გარდაიცვალა მე-3-მე კურსის სტუდენტი

კონსტანტინე (კოწია) კომახიძე

დასაფლავება მოხდება ქ. სამტრედიაში სამშაბათს, 18 ოქტომბერს. 159

დამწუხრებულნი ქ. სამტრედიის ტეხნიკუმის [illegible] ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები: [illegible] რულიძე, გრიშა წურწუმია, ოლია ეჯიბია, შუშანა [illegible]ვა პაპავა, იოსებ ნადარეიშვილი, დავით თარგამაძე, ვასო მენგელია, ვერა და ელენა ცაგარეიშვილები, თამარა ესაკია, მალვა ხუჭუა, ევსევი ბახტაძე, ამროსი რუხაძე, ვარლამ ქართველიშვილი, კოლია კოპალეიშვილი, მიშა ნიკურაძე და ვლადიმერ ფხაკაძე აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ—თანამოსწავლის, საყვარელი ამხანაგის და მეგობრის თბილ. სახელმ. უნივ. სტუდენტის

კოწია ბესარიონის-ძე კომახიძის

უდროვოთ დაკარგვას. დაკრძალვა ქ. სამტრედიაში, სამშაბათს, 18 ოქტომბერს. დ. 1—1

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: სტეფანე, პორფილე, ლიზა და მარო, რძლები ვერა და ნინა, სიძეები ნიკიფორე სიხარულიძე და რაჟდენ მახარაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველთა მამის და დანარჩენთა სიმამრის

თედორე დიმიტრის ძე ელიაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კვირას, 16 ოქტომბერს, სოფელ უჩხობში (გურია) ს. ე.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის კახეთის განყოფილება და თანამშრომლები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 14 ოქტომბერს სიღნაღში გარდაიცვალა კახეთის განყოფილების ბუხჰალტერი

ილია ზაქარიას ძე
მჭედლიშვილი

დაკრძალვა 17 ოქტომბერს სოფ. მაღაროში. დეპ. 1—1

სიღნაღის სამრეწველო ეკონომიური ტეხნიკუმის პედაგოგიური საბჭო მწუხარებას გამოსთქვამს საბჭოს წევრის და დაუვიწყარ მეგობრის

ილია ზაქარიას ძე
მჭედლიშვილის

უდროოდ დაკარვის გამო დაკრძალვა 17 ოქტომბერს, სოფელ მაღაროში, ნაშუადღევის სამ საათზე ბ. 66

ულრმესად დაწუხრებულნი და სამუდამოთ გულმოკლულნი მშობლები ნოე და მარია კვირკელიები, დები: მარგალიტა და ვალიდა, ბებიები ივლიტე და ფედოსი აუწყებენ ნათესავებს მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 20 ოქტომბერს ა. წ. სრულდება ერთი წელიწადი, მას შემდეგ, რაც აღარ გვყავს ჩვენი სასიქადულო, ერთად ერთი ვაჟი, ოჯახის ბურჯი და სიამაყე ოზურგეთის სამრეწველო-ეკონომიურ ტეხნიკუმის 1-ლი კურსის ნიჭიერი მოწაფე

თეიმურაზი

რომლის ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მის საფლავზე. ს. უჩხობში. ბ. 58

შვილები ანდრო და გიორგი ცოლშვილით—თამარა უნგიაძისა და ნინო (მაწაწი) ხარაძისა ქმარშვილით, ძმა სიმონ გიორგისძე კალანდაძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 15 ოქტომბერს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი მათი მამა

ნესტორ გიორგის-ძე კალანდაძე

დასაფლავება ს. ახალშენში გურიაში. 162

მუდამ ცრემლებ შეუშრობელნი დედა ანნა, დები: შურა, თამარა და ნუცა, ძმები: ლეონიდე და ილია ორმოცაძეები, ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ამა წლის 13 ოქტომბერს, ღამის 9 საათზე, ქ. სამტრედიის რკინის გზის საავადმყოფოში ხან მოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი და დაუვიწყარი

კონსტანტინე ნიკოლოზის ძე
ორმოცაძე

რომლის დაკრძალვა მოხდება 18 ოქტომბერს ნაშუადღევის 2 საათზე, სოფელ შუხუთში—(გურიაში) ბ. 61

სახელმწიფო ოპერა
დღეს, კვირას, 16 ოქტომბერს. აიდა
მონაწილეობენ: სლივინსკაია, რემეზოვა, აგრანოვსკი, ქარცივაძე, ლებენცოვი.
დირიჟორი სახ. არტისტი ი. პ. ფალიაშვილი.
მთავ. რეჟ. ი. ა. გრიჩნევის ახალი დადგმა.
სამშაბათს, 18 ოქტომბერს ევგენი ონეგინი
ოთხშაბათს, 19 ოქტომბერს სადკო
ხუთშაბათს, 20 ოქტომბერს ფაუსტი. ბილეთები იყიდება.
ბ. 59

ახლო ხანში სახკინმრეწვის კინო თეატრებში აპოლო არფასტო სოლეი
სომხეთის სახ. კინო მრეწველობის საუკეთესო სურათი



შირვან ზადეს რომანის მიხედვით
დადგმა რეჟ. პ. ბარხუდაროვისა და მ. გელოვანის
თვალი ადევნეთ სურათის დადგმის დღეს
ბ. 63

სამშაბათიდან 18 ოქტომბრიდან
კინო თეატრებში
არფასტო და სოლეი
უკრაინის ფოტო კინო-სამმართველოს „ვუფკუ"-ს
დიდი მხატვრული სურათი
ალიმ
ყირიმის ჯიგიტი
მთავარ როლში ხაირი რეჟისორი ტასინი
ბ. 64

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი
0—17 ნ. 1388
მსოფლიო კომიკი ბესტერ კეიტონი საუკეთესო სურათში
სამი ეპოქა
ქსენია დესნი უცხოეთის საუკეთ. მხატვრულ სურათში
„დუმილის კოშკი"
შენიშვნა: ადგილები პარტერში დანომრილია
„მეჟრაბპომ-რუს"-ის იშვიათი სურათი
„კაცი რესტორანიდან"
დადგმა ი. ა. პროტაზანოვის
შენიშვნა: ადგილები პარტერში დანომრილია
ამერიკის ცნობილი მსახიობი ქალი
რუთ როლანდი სურათში
„მზის საცოლე" 1 და 2 სერია ერთად
ანონსი: სამშაბათიდან არფასტოში და სოლეიში „ალიმ"

ა.-კ. რკინის გზების დამზღვევი სალარო
ლიბანის სანატორიუმისთვის
იწვევს სამ ექიმ ორდინატორს,
არა ნაკლებ 3 წლის კლინიკურ სტაჟით და ერთს
ლაბორატორიის გამგეთ.
ჯამაგირი თვეში 150—200 მანეთამდე' მისამართი: პლეხანოვის პროსპ. № 142. თხოვნების მიღება გაგრძელებულია 25 ოქტ.-დე 1927. 157

ქიმიური ჭურჭელი რეაქტივები
„გრუზლაბორსნაბჟენიე"
საქ. ს.მ.უ.ს. ცენტრალურ ქიმიურ ლაბორატორიასთან.
ლაბორატორია—თბილისი, ანჩისხატის 17. საბითუმო—საწვრილმანო მაღაზია—თბილისი პუშკინის 19, ტელ. 18—86.
ბ. 53 2—1

ა. წ. 25 ოქტომბერს დღის 12 საათზე ამ.-კ. რკ. გზების სალიანდაგო და ნაშენთა განყოფილებაში დანიშნულია
შერეული საჯარო ვაჭრობა
რომლითაც იჯარით გაიცემა სადგურ: ხაჩმასში, ბალაჯარაში, აჯიკაბულში და განჯაში ამჟადამად შენებულ 25 საცხოვრებელ სახლებში საგლესო (შტუკატურის) სამუშაოები ტკეჩის მიკვრით, ხოლო გაჯი უნდა იქნეს სამუშაოთა ამღების. სამუშაოთა პირობების გაგება შეიძლება სალიანდაგო განყოფილებაში ყოველდღე სამსახურის საათებში (კლარა ცეტკინის ქუჩა № 73). ბ. 62

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3და 6—8 საათ. თბილისი, ყირანოვის ქ., № 20 1—25

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს" პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი ყოფ.ალექსანდროვის შესახვევი) № 8

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 8—12 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნ ო ე"-ს პირდაპირ 25—7

მედიც. დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული და სიფილისი.
დილ. 9—12, საღ. 6—8. პლეხანოვის პროსპექტი № 7, კ. მარქსის ძეგლთან, შესავალი ამ სახლის კუთხიდან. 5—2

საქართ. საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფკავშირის პირველი საანგარიშო
მეცნიერებათა კურსები
აცხადებს, რომ მსმენელთა მიღება გრძელდება. ყოველგვარი ცნობების გაგება საღამოთი 5—8 საათამდე, კურსების ბინაზე. დიდი ვანქის ქუჩა № 12, შრომის სკოლა № 101. მეცადინეობა დაიწყება 20 ოქტომბერს. 163

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა გამგეობა
აცხადებს, რომ მიმ. წ. 20 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, თბილისის სალიკვიდაციო საწყობში (გორის ქ. 34)
აუქციონით გაიყიდება
ა.-კ. რკ. გზ. სხვადასხვა სადგურებზე დარჩენილი მოუკითხავი ბარგი და ტვირთი.
პირველ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სახელმწიფო წარმოებებს, დაწესებულებებს და, აგრეთვე, კოოპერატიულ ორგანიზაციებს.
იმ შემთხვევაში, თუ არ შესდგება ვაჭრობა ან და გაუყიდავი დარჩება ბარგისა და ტვირთის ნაწილი, მაშინ მეორე ვაჭრობა გაიმართება 24 ოქტომბერს.
მეორე და შემდეგ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას.
დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება თბილისის სალიკვიდაციო საწყობში სამუშაო დროს ან და ვაჭრობის დღეს, მის დაწყებამდე.
დაწვრილებითი განცხადება გამოკრულია თბილისის სალიკვიდაციო საწყობში. ბ. 57

ამბროლაურის და ჭრებალოს უბნების სახ. სასამართლოების აღმასრულებელი გ. ს. ავალიანი
ამით აცხადებს, რომ 29 ოქტომბერს 1927 წ. დღის 1 საათზე სოფ. ხვანჭკარაში სასო ლომთაძის ეზოში საჯარო ვაჭრობით გაყიდის ლომთაძის მოძრავ ქონებას, ერთ საწნახელს, ერთ სპილენძის ქვაბს ერთ მაგიდას და ერთ დიდ ურემს შეფასებულს სუყველას 80 მ., ევა ლომთაძის ვალის დასაკმაყოფილებლათ საფუძვლისა გამო აღმასრულებელი ფურცელი გაცემული ჭრებალოს უბნის სახალხო სასამართლოს მიერ 3 აპრილით 1926 წ. № 486. ბ. 65

ექიმი ჯალალოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფობის მიღება
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 5—21

სათვალეების მორგება
უფასოდ



ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—1

ექიმი მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და დაიწყო ავადმყ.
მიღება
შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონით და სინათლით მკურნალობა
ავადმყ. მიღება ახალი მისამართით ლენინის ქუჩა (ოლღას ქ.) № 11 საღ. 7—8 საათ.
ტელ. 4—82 25—1

ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი
საშარდე, სასქესო, ვენერ., სიფილისი, კანის და ქირურგ. ავადმყოფობანი
(სიმსივნე, ბუასილი, სქესობრ. უძლურება, სიფილისი და ტრიპერი და მათი შედეგები) სპეციალისტი. ელექტრო მკურნალობა და ოპერაცია. ავადმყოფების მიღება დილი 7 ს-დან 11 ს-მდე, საღამოს 5—7 ს-მდე. ქალების მიღება დილის 11 ს-დან 1 ს. პლეხანოვის პრ. № 10, მარქსის მოედანის ახლო, (ყოფ. ვორონცოვის 3645—18—1

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
განაახლა ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 10—1 საათამდე და საღ 6—7 საათამდე
როგორც მოზრდილთა, ისე ბავშვთა შინაგანი ორგანოებისა და ნერვიული სისტემის ავადმყოფობათა მკურნალობა. გაზიანში.
კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქუჩა № 17, ზემო სართული. 25—

ხელოვნურ კბილების
მომზადება და ჩასმა (კაუჩუკზე და ოქროზე) შეღავათიან ფასებში სწარმოებს სტომატოლოგიურ კლინიკასთან არსებულ კბილის ტეხნიკოსთა კურსებზე—პლეხანოვის გამზირი № 126 ავადმყოფების მიღება სწარმოებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით საღამოს 4—6 საათამდე. 25—1

თმის მკურნალობა
და
სამკურნალო კოსმეტიკა
ელექტრო-სინათლით მკურნალობის კაბინეტი.
ი. ვ. პანტოროვიჩი
მიღება 11-დან 3-დე და 6-დან 8-დე. კოსმეტიური მასაჟი და პირის სახის მკურნალობა უცხოეთის უახლეს მეთოდებით.
საბა-სულხანის ქ. (ყოფ. ფრეილინის). 1—25

ექიმი მეგრაბიანცი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
ფილტვების, ფლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე. იონოტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ.. 25—1

ა. წ. 14 ოქტომბერს კურორ. მთავ. სამმართველოში
მოიპარეს პორტფელი
სახაზინო ბეჭედით, ქართული წარწერით „ს. ს. რ. ჯ. ს. კ. კურორტთა მთავარი სამმართველო," ჩაითვალოს გაუქმებულად. ბ. 60

დაკარგა სანგარიშო წიგნაკი № 15 გაცემული საქართველოს აბრეშუმის ტრესტის მიერ ბიქტორ შახარობლისძე ჩიხლაძის სახელზე, ჩ. გ. 164
დაკარგულია დაზღვევ სალაროს წიგნაკი № 52 გიორგი იაგორისძე ვართანოვის სახელზე, ჩ. გ.
დაკარგა ლომბარდის ქვითარი № 023083 ს. ერისთავის სახელზე, ჩ. გ. 161
დაკარგა მუშკოოპის წიგნაკი № 11433 მ. ცინცაძის სახელზე, ჩ. გ.
დაკარგა სახელმწიფო მოგებიანი ობლიგაცია № 2593 სერია № 0,01 გიორგი რუხაძის სახელზე, ჩ. გ. 160
დაკარგა 4 კლასის მოწმობა ლიუბა რუხაძის სახელზე, ჩ. გ. 156

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68